გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№148 (755) 26 - 27 დეკემბერი, 2012 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# 20 გვერდი



## რამდენი ლარით მოემატება პენსია პირველი ჯგუფის ინვალიდებს, პენსიონერებს, მარჩენალდაკარგულებს, პოლიტრეპრესირებულებს

## ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის მთავარი მესიჯები!

## მიზეზი, რის გამოც, დემურ გიორხელიძე „ბანდიტური კანონების" შეცვლას ითხოვს!



რატომაა ბელორუსული კვერცხი და სომხური ყურძენი იაფი და რა საგადასახადო მაქინაციებს მიმართავენ საბაჟოზე იმპორტიორები?

გვ. 7

## შაშკინის მინისტრობისას დაზარალებული დირექტორები რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას მოითხოვენ

გვ. 8

## საკაშვილის საიდუმლო გაფრენები და 2011 წელს დახარჯული მილიონები!




მარტო 2011 წელს, Gulfstream G450-მა 34 ფრენა განახორციელა, 6-ჯერ გაიარა ტექმომსახურება, რაც 5 მილიონი ლარი დაგვიჯდა

გვ. 3

„ვერსიამ" მოიპოვა დოკუმენტი, რომელსაც თავდაცვის სამინისტრომ გრიფი „საიდუმლო" მოხსნა

რეგიონი

## ქობულეთის მაჟორიტარმა მინისძვრით დაზარალებულთა ზუსტი რაოდენობა არ იცის

„ასეთი საშინელი წელი ჯერ არ გვქონია, ხალხს ცოცხლად მანდარინი დაკრეფილი უდაგია „პარკებში" და ულპება!"

## პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას ბოლნისელებიც მოითხოვენ

## „ჯი პი აი ჰოლდინგის" საახალწლო აქცია

გვ. 11

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი
200 ლარი „გუდვილის" ბონუს ბარათზე, თუკი ავტომობილს „ჯი პი აი ჰოლდინგში" დააზღვევთ!

## გიგა ბოკერიას პროკურატურაში დაიბარებენ?!

გვ. 4



რა მასალებია გადაგზავნილი პროკურატურაში, რაში იხარჯებოდა უშიშროების საბჭოს მილიონები და რა კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა გიგა ბოკერიას?

## დავით ბაქრაძე: „მაინცდამაინც გინდათ, ამ ინტერვიუს მერე პროკურატურამ დაკითხვაზე დამიბაროს?"



პარლამენტის ექსსპიკერი „ნაციონალების" ცოდვებს ინანიებს და დოკუმენტებით დადასტურებულ ბრალდებებს პასუხობს

გვ. 5

## პრეზიდენტი ახალ წელს ავღანეთში ქართველ ჯარისკაცებთან ერთად შეხვდება



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალ, 2013 წელს ავღანეთში იმ ქართველ ჯარისკაცებთან ერთად შეხვდება, რომლებიც ამ ქვეყანაში ISAF-ის პროგრამის ფარგლებში მსახურობენ.

ამის შესახებ ინფორმაცია „ფეისბუქზე“, პრეზიდენტის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.

საქართველოს პირველი პირი ჰელმანდის პროვინციაში წინასაახალწლოდ ჩავა, სამხედროებს ახალ წელს პირადად მიულოცავს და ახალი წლის ღამეს სამხედრო ბაზაზე მათთან ერთად გაატარებს.

საქართველოს პრეზიდენტი ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს ავღანეთში უკვე მეორედ მოინახულებს. პირველად, მიხეილ სააკაშვილი მათ 2012 წლის 20 თებერვალს სტუმრობდა, რომლებთან ერთადაც ჯავშანტექნიკით პატრულირებდა.

## შეწყალების კომისიამ დადებითი რეკომენდაცია 131 პატიმარზე გასცა



შეწყალების კომისიამ 430 საქმიდან, დადებითი რეკომენდაცია 131 პატიმარზე გასცა. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართული შეწყალების კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აქედან 118 პატიმარი საპყრობილეებს დატოვებს, 12-ს სასჯელი გაუნახევრდება, ერთ პატიმარს კი ერთი წელი მოეხსნება.

გარდა ამისა, ერთი პატიმრის საკითხი დარჩა ღია და კომისიამ სახალხო დამცველს სთხოვა, ის ციხეში მოინახულოს. თევდორაძის თქმით, ამ პატიმარს სასჯელის ნახევარი მოხდილი არ აქვს, არის მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული და, კომისიის ინფორმაციით, ის მძიმე ავადმყოფია. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, პატიმარი შეწყალებულთა სიას დაემატება.

ელენე თევდორაძის ინფორმაციით, იმ პატიმრებს შორის, რომლებზეც დადებითი რეკომენდაცია გაიცა, არიან ნარკომომხმარებლები, პირველადი ქურდობისთვის მსჯავრდებულები და, ძირითადად, ეკონომიკური დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები, თუმცა ყველა მათგანს სასჯელის ნახევარი მოხდილი აქვს.

პრეზიდენტის სახელზე საპატიმროებიდან გარკვეული რაოდენობის საქმეებზე შევიდა შუამდგომლობა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კომისია ამ საქმეების განხილვას ველარ ასწრებს, პრეზიდენტი გამოიყენებს თავის უფლებას და კომისიის გვერდის ავლით მიიღებს გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, ელენე თევდორაძე არ გამორიცხავს, სიას კიდევ რამდენიმე პატიმრის გვარი დაემატოს.

ელენე თევდორაძის განცხადებით, კომისია ყველანაირად ეცდება, შეწყალებულმა პატიმრებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებები 27 დეკემბერს დატოვონ.

*„ვერსიანიუსი“*

# ქობულეთის მაჟორიტარმა მიწისძვრით დაზარალებულთა ზუსტი რაოდენობა არ იცის

თამარ მელქაძე



**შავი ზღვის აკვატორიაში მომხდარმა 5.7 ბალიანმა მიწისძვრამ აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უსახლკაროდ დატოვა. როგორც აჭარის მთავრობა აცხადებს, სტიქიით დაზარალებული ყველა ოჯახი დახმარებას საკითხის შემსწავლელი კომისიის დასკვნის შემდეგ მიიღებს, მანამდე კი ნაცნობ-მეზობლებში აფარებენ თავს. ვინაიდან, „ვერსიის“ გადაუმოწმებელი ინფორმაციით, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ქობულეთის რაიონის მკვიდრი 90-მდე ოჯახი, სწორედ ქობულეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, ფატი ხალვაშს დავუკავშირდით, რომელმაც, დატვირთული საპარლამენტო ცხოვრების გამო, დაზარალებულებთან შეხვედრა ვერ მოახერხა, თუმცა „აპირებს“(?!).**

— მქონდა ბიუროსთან სამუშაო შეხვედრა, ვაპირებ მოსახლეობასთან შეხვედრასაც. ამ ეტაპზე, დაზუსტებული ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ როგორც ვიცი, სულ 16 ოჯახია, რომელსაც ბინით უზრუნველყოფა სჭირდება. კომისია ჯერ კიდევ სწავლობს საკითხს, დაითვლის თითოეული ოჯახის ზარალს და ყველა ოჯახს დავეხმარებით. შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც მოსახლეობა დროებით საცხოვრებელში იმ დღესვე დააბინავა. სეისმურ ზონაში მაცხოვრებლები უსაფრთხო ადგილას გადავიყვანეთ, რათა განმეორებითი ბიძგების შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი რამ არ მომხდარიყო.

სპეციალური კომისია, მუშაობის დასრულების შემდეგ დაადგენს, ვის, რა დახმარება უნდა გავუწიოთ, რადგან ყველა ერთნაირად დაზარალებული არ არის. გამგეობასთან შეთანხმებით, მოხდება საცხოვრებელი ფართითა და ფულადი სახსრებით დაკმაყოფილება. რა რაოდენობის დახმარება გაიცემა, წინასწარ ვერ გეტყვით. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით, გამოიყოფა საჭირო თანხები.

**— კი, მაგრამ, სანამ ზარალს საბოლოო დაითვლიან, დაზარალებულები ღია ცისქვეშ უნდა იყვნენ?**

— მიწისძვრის დღეს შეუძლებელი იყო ფართის ნახვა და მოსახლეობის გადაყვანა, რადგან ეს მოხდა დღის მეორე ნახევარში. მეორე დღეს ხელისშემშლელი იყო კოკისპირული წვიმა. ამ დღეებში ვიზრუნებთ, რომ დაზარალებული მოსახლეობა სრულად დავაკმაყოფილოთ საცხოვრებელი ფართით.

**— პირადად თუ მოინახულეთ დაზარალებული მოსახლეობა?**

— სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო, რამოდენიმე დღე ვერ შევხვდი მოსახლეობას. ვაპირებ, მოვინახულო დაზარალებული ოჯახები, მაგრამ ყველას ნამდვილად ვერ შევხვდები, რადგან მე ვარ დეპუტატი და უნდა ვიყო პარლამენტში. ახლა რიგგარეშე სესიებია და, ვფიქრობ, საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე ვიმუშაო, ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობაა. ქობულეთის რაიონის არც ერთი მოსახლე არ დარჩება უყურადღებოდ. არსებობს გამგეობა, საკრებულო, უზენაესი საბჭო და ერთად მივხედავთ ხალხს.

**— აჭარის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ციტრუსის ჩაბარების საკითხია. საკმაოდ დაბალია ფასი. მოსახლეობამ ხელისუფლება დაპირების არშესრულებაში დაადანაშაულა და საპროტესტო აქცია მოაწყო... პარლამენტში რეგიონის წარმომადგენელი ბრძანდებით, აქციის მონაწილეებს თუ შეხვდით? იცით, როგორია წლევანდელი მოსავალი? რას აპირებს მთავრობა გლეხების სასარგებლოდ?**

— აქციის მონაწილეებს ვერ შევხვდი, რადგან იმ დროს ქუთაისში ვიყავი. ძალიან გადატვირთული რეჟიმი გვაქვს. რაც შეეხება ციტრუსის ფასს, ეს დამოკიდებულია ხარისხზე. სამწუხაროდ, მოსავლის გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. ასეთ პროდუქტს მხოლოდ ქარხნები იბარებენ და ფასიც დაბალია. არის, შედარებით, მაღალფასიანი მანდარინი, უმაღლესი ხარისხი 50 თეთრი ღირს. ზუსტი მონაცემი არ მაქვს, როცა მანდარინი გაიყიდება, მერე მექნება ზუსტი ინფორმაცია. ამ ეტაპზე, პროდუქტის ექსპორტი ხორციელდება უკრაინაში, ბელორუსში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. რადგან პროდუქტის ხარისხი შედარებით დაბალია, შესაბამისად, დაბალია ღირებულებაც. ციტრუსის პრობლემა მხოლოდ წლევანდელი არ არის. პირადად მაქვს ბაღი და მქონდა შემთხვევა, როცა 7 ტონა მანდარინი გადავყარე. ეს არის წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც ერთ თვეში არც ერთ ხელისუფლებას არ შეუძლია. ახალი ხელისუფლება ერთობლივად ცდილობს ამ საკითხის მოგვარებას.

# რამდენი ლარით მოემატება პენსია პირველი ჯგუფის ინვალიდებს, პენსიონერებს, მარჩენალდაკარგულებს, პოლიტრეპრესირებულებს



მაია მიშელაძე

ეკონომიკა

**ბიძინა ივანიშვილმა, 24 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე, საქართველოს მთავრობის ძირითად პრიორიტეტებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის პირველი წელი მოსამზადებელია, მეორე — კარგი იქნება, მესამე წელს ყველა დაპირება შესრულდება. ფინანსთა მინისტრმა კი, უკვე 25 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ახალი, სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტის დეტალები განმარტა.**

2013 წლის 1 აპრილიდან, ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია გაიზრდება 67 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსიამდე და 125 ლარი გახდება;

**1 სექტემბრიდან, ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდების პენსია გაიზრდება 20%-ით, გაუტოლდება საარსებო მინიმუმს და გახდება 150 ლარი;**

**ინვალიდობის პენსია, რომელიც ახლა 70 ლარია, გაიზრდება 42%-ით და 100 ლარი გახდება;**

**მარჩენალდაკარგულთა 55-ლარიანი პენსია 81%-ით გაიზრდება და 100 ლარი გახდება;**

**პოლიტრეპრესირებულების 55-ლარიანი პენსიაც 81%-ით გაიზრდება და ისიც 100 ლარი იქნება.**

**2013 წლის თებერვლიდან, ყველა ის მოქალაქე, რომელიც ამ ეტაპზე არ სარგებლობს სახელმწიფო დაზღვევით, მიიღებს მინიმალურ სადაზღვევო პაკეტს;**

**1 ივლისიდან საქართველოს ყველა მოქალაქე მიიღებს საბაზისო სადაზღვევო პაკეტს, სადაც შედის გადაუდებელი და გეგმური ოპერაციების, გამოკვლევების, დიაგნოსტიკისა და სხვა მომსახურების დაზღვევა“.**

ნოდარ ხადურის განმარტებით, 2013 წლიდან, მნიშვნელოვანი სიახლე იქნება დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება საშემოსავლო გადასახადში. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა წლიური შემოსავალი არ აღემატება 6 000 ლარს, შესაძლებლობა ექნებათ, მიღებული შემოსავლიდან 1 800 ლარზე გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, „მეცამეტე ხელფასის“ სახით, წლის დასრულების შემდგომ დაიბრუნონ. ხადურის თქმით:

**„იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბიუჯეტი, რომელიც 25 000 000 ლარი იყო, 2013 წელს, 92%-ით გაიზარდა და 48 000 000 ლარი გახდა. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების ასაშენებლად, 2013 წლის ბიუჯეტიდან 50 000 000 ლარია გამოყოფილი;**

**2012 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2013 წლის ბიუჯეტში, ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგდა;**

**სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბიუჯეტი 61.8%-ით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ბიუჯეტი 39.5%-ით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 29.5%-ით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 25.7%-ით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი კი 11.8%-ით გაიზარდა“.**

რაც შეეხება ხარჯების შემცირებას, 2012 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2013 წლის ბიუჯეტში შემცირდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, გუბერნატორების, ფინანსთა სამინისტროს, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხარჯები. ნოდარ ხადურმა აღნიშნა, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, საგრძნობლად შემცირდა სხვადასხვა კონცერტის გასამართი ხარჯები.

საინტერესოა, რა რეფორმების გატარებას გეგმავს ბიძინა ივანიშვილის მთავრობა 2013 წელს და შესაბამისად, რა არის ასახული მომდევნო წლის ბიუჯეტში. ნოდარ ხადურის თქმით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, რეფორმებზე მუშაობა თითქმის ყველა სფეროში დაიწყო. უკვე დაწყებულია მუშაობა და 2013 წელს იგეგმება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შრომის კანონმდებლობის რეფორმა, მეტიც **„ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო კოდექსის გამარტივებას, კერძოდ, ჯარიმების შემცირებას აპირებს. ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მონაწილეობით, ექსპერტებისა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, იქმნება სათათბირო საბჭო, რომელიც საგადასახადო კოდექსის გამარტივებაზე იმუშავებს. ბიზნესმენებისა და ბიზნეს-ასოციაციების მონაწილეობით, ფინანსთა მინისტრთან არსებული ბიზნეს-საბჭო შეიქმნება, რომელიც საგადასახადო კოდექსში შესატან სხვა ცვლილებებს განიხილავს. რაც მთავარია, ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოში, სხვადასხვა უწყების წარმომადგენელთა გარდა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები გარკვეული ვადით დაემატებიან, რომლებიც ერთმანეთს როტაციის წესით ჩაენაცვლებიან“.**

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

# სააკაშვილის საიდუმლო გაფრენები და 2011 წელს დახარჯული მილიონები!

**მარტო 2011 წელს, Gulfstream G450-მა 34 ფრენა განახორციელა, 6-ჯერ გაიარა ტექმომსახურება, რაც 5 მილიონი ლარი დაგვიჯდა**



**პრეზიდენტის „ორი თვითმფრინავის საიდუმლო“ გახსნილია — „ვერსიამ“ მოიპოვა დოკუმენტი, რომელსაც თავდაცვის სამინისტრომ გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა და რომლის მიხედვითაც, მხოლოდ 2011 წელს 5 მილიონია დახარჯული, თუმცა ყველაფერი გასაგებად რომ ავხსნათ, მივყვეთ მოვლენათა განვითარებას.**

სკანდალი, რომელიც თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებას ჯერ კიდევ ნოემბერში, მთავრობის სხდომის მერე მოჰყვა, ასე დაიწყო:

**„80 მილიონ ლარზე მეტი უჯდება ჩვენს სამინისტროს, ბიუჯეტსა და ხალხს საქართველოს პრეზიდენტის დამატებითი თვითმფრინავით უზრუნველყოფა! სწორედ ამ საკითხს გადავხედეთ და ამ ვალდებულებისგან ვთავისუფლდებით. ამ 80 მილიონიდან უკვე გადახდილია 13 მლნ და გადასახდელი დარჩა 74 მილიონი. ამ ხარჯის მოხსნა ჩვენი ბიუჯეტისთვის ეკონომია იქნება და მსგავსს მომავალში აღარ გავიღებთ. მთელი ბიუჯეტი ეფექტურად უნდა დაიხარჯოს ჯარისკაცის, ჩვენი მეომრებისა და სამხედრო შეიარაღებული მზადყოფნის განვითარებისა და არა ერთი კაცის მომსახურებისთვის“,** — განაცხადა ალასანიამ და ნაციონალურ მოძრაობაში, მის მომხრეებსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. აქედან მოყოლებული, ერთი მხრივ, თავდაცვის უწყება გვიმტკიცებს, რომ სააკაშვილი ორი თვითმფრინავიდან ერთს პირადი მიზნებისთვის იყენებს, მეორე მხრივ, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სააკაშვილის მიერ ორი თვითმფრინავით სარგებლობას გააფთრებით უარყოფს!

ბიძინა ივანიშვილის ძალოვანი მინისტრის განაცხადს პრეზიდენტის ადმინისტრაცია შეშფოთებით გამოეხმაურა: **„თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტს ორი თვითმფრინავი ჰყავს, სიმართლეს არ შეესაბამება — პრეზიდენტი გადაადგილებისთვის ერთ საჰაერო ხომალდს იყენებდა, მეორე ბორტი კი მთავრობის განკარგულებაში იყო. არჩევნების შემდეგ, მდგომარეობა უცვლელია — პრეზიდენტი სარგებლობს ერთი ხომალდით, მეორე ბორტი კი ისევ რჩება მთავრობის, კონკრეტულად, თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში“,** — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ, თუმცა ამით არც ოპონენტების ეჭვები გაფანტულა და არც — რიგითი გადამხდელებისა, რომლებმაც, სულ ცოტა ხნის წინ შეიტყვეს, რომ მუდმივად „ჰაერში მყოფი მიშა“, სამთავრობო „ბოინგით“, მარტო „საქმეზე“ კი არ დაფრინავს, ბევრად ძვირადღირებული მეორე თვითმფრინავიც ჰყავს და როცა ოფიციალური ვიზიტით არ იმყოფება საზღვარგარეთ, კაცმა არ იცის, სად დადის!

ეს სკანდალი დღემდე აქტუალური რომაა, თავად სააკაშვილიც გამუდმებით გვიდასტურებს. რამდენიმე დღის წინ, მედიასთან ცნობილი შეხვედრისას განაცხადა: **„ამათი შიშით შევწყვეტ გადაადგილებას?! არ მჭირდება არც ბრონირებული მანქანები და შუშები, არც ამათი თვითმფრინავები. ირაკლი ალასანიამ ოთხი პრესკონფერენცია გამართა იმაზე, რომ პერუში ნახევარი საათით დაჯდა პრეზიდენტის თვითმფრინავი საწვავის ასაღებად, საშუალო პუნქტზე — არ ვიცი, ალასანიას ნასწავლი აქვს თუ არა გეოგრაფია... წაიღეთ თვითმფრინავი! მშვენივრად ვიფრენ ეკონომკლასით. მათი შეძახილები და ქვები გამაჩერებს?! მაგის მეტი რა მინახავს?! დიდი სიამოვნებით დავუბრუნდები საქმეს. დედაჩემს ჰყავს ერთი მანქანა, იმას გამოვართმევ და მე დავჯდები საჭესთან. არ ვხუმრობ სრულიად“.**

ხუმრობის გუნებაზე არც თავდაცვის სამინისტრო ყოფილა. მინისტრის მრჩეველმა, **ვაკო ავალიანმა** სრულიად სერიოზულად განაცხადა, რომ ისტერიკა თემაზე — „მიშას ორი თვითმფრინავი“ მალე დასრულდება, რადგან **„უახლოეს მომავალში, როცა დოკუმენტები გასაჯაროვდება და გრიფი „საიდუმლო“ მოიხსნება, საქართველოს მოსახლეობა დაინახავს, რაში იყენებდნენ მათ თანხებს ნაციონალური მოძრაობის ამჟამინდელი ლიდერები!“**

მაშ ასე — თავდაცვის სამინისტრო პირობას ასრულებს და გრიფი „საიდუმლო“ მის ბალანსზე არსებული თვითმფრინავის საჰაერო მიმოსვლების განრიგის ნაწილს ეხსნება. „ვერსიამ“ ამ დოკუმენტის საჯარო ნაწილი უწყებიდან გამოითხოვა და სულ რაღაც ორგვერდიანი ჩანაწერი, მართლაც, ძალზე სკანდალური აღმოჩნდა. ამ დოკუმენტში მითითებულია საფრენი აპარატი, ულფსტრეამ 450 (რეგ: 4L - GAF). ეს თვითმფრინავი მაღალი საფრენოსნო მახასიათებლებით გამოირჩევა და მის ბორტზე მგზავრთა მაქსიმალური რაოდენობა 19 კაცია. სამაგიეროდ, ერთი ათად სჯობს სააკაშვილის ძველ ლაინერს, CRJ-200-ს, რომელიც ორი წელია, სწორედ ახალი Gulfstream-ით შეცვალა და, 2010 წლის მონაცემებით, მლნ დოლარიც დაუჯდა. სხვათა შორის, ამ კოხტა საფრენ აპარატს, რომელსაც „სოხუმი“ ჰქვია, შორ მანძილზე ფრენა შუალედური დაჯდომის გარეშეც შეუძლია — ასე რომ, „ალასანიას გეოგრაფია“ სააკაშვილის ყველა არაგეგმურ დაშვებასთან არაფერ შუაშია. ახლა რა არის სკანდალური ამ დოკუმენტში — მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანს, კონკრეტულად, რა მიზნით ხორციელდებოდა ფრენები სხვადასხვა მიმართულებით, 2011 წლის მანძილზე და მგზავრობდა თუ არა ამ კონკრეტული რეისებით პრეზიდენტი, ფაქტი ერთია:



| | | | |
|---|---|---|---|
| [illegible] | 61 683,98 | 3268855 19.08.2011 | 14-19.08.2011 |
| [redacted] | 32 327,31 | 3268856 22.08.2011 | 19-21.08.2011 |
| [illegible] | 11 503,93 | 3268857 25.08.2011 | 21-25.08.2011 |
| [illegible] | 10 703,78 | 3268858 29.08.2011 | 25-27.08.2011 |
| [illegible] | 230 944,96 | 3268865 31.08.2011 | |
| [illegible] | 15 387,08 | 3268832 6.07.2011 | 01-06.07.2011 |
| [illegible] | 13 791,78 | 3268833 11.07.2011 | 08-10.07.2011 |
| [illegible] | 68 834,50 | 3268839 25.07.2011 | 13-25.07.2011 |
| [illegible] | 299 534,27 | 3268845 31.07.2011 | |
| [illegible] | 54 985,22 | 6810789 23.06.2011 | [redacted] |
| [illegible] | 17 527,43 | 6810794 30.06.2011 | 30.06.2011 |
| [illegible] | 218 780,14 | 6810797 30.06.2011 | |
| [illegible] | 13 148,72 | 6810790 27.06.2011 | 24-25.06.2011 |
| [illegible] | 12 907,10 | 6810792 28.06.2011 | 26-28.06.2011 |
| [illegible] | 13 916,08 | 6810793 29.06.2011 | 29.06.2011 |
| [illegible] | 278 289,62 | 3223825 30.11.2011 | |
| [illegible] | 12 831,25 | 3223817 1.11.2011 | 29.10-01.11.2011 |
| [illegible] | 12 465,97 | 3223818 7.11.2011 | 04-06.11.2011 |
| [illegible] | 76 579,99 | 3223819 14.11.2011 | 10-13.11.2011 |
| [illegible] | 8 131,75 | 3223820 22.11.2011 | 22.11.2011 |
| [illegible] | 33 685,24 | 3223826 1.12.2011 | 30.11-01.12.2011 |
| [illegible] 3268871 [illegible] | 20 085,72 | 3223822 30.11.2011 | 19-24.09.2011 |
| [illegible] | 11 427,76 | 3223802 3.10.2011 | 01-02.10.2011 |
| [illegible] | 14 384,07 | 3223803 5.10.2011 | 04-05.10.2011 |
| [illegible] | 32 670,30 | 3223805 10.10.2011 | 08-10.10.2011 |
| [illegible] | 9 999,24 | 3223806 10.10.2011 | 15.10.2011 |
| [illegible] | 8 409,53 | 3223807 17.10.2011 | 17.10.2011 |
| [illegible] | 12 845,49 | 3223808 24.10.2011 | 20-23.10.2011 |
| [illegible] | 12 516,58 | 3223811 26.10.2011 | 24-26.10.2011 |
| [illegible] | 9 399,87 | 3223812 28.10.2011 | 28.10.2011 |
| [illegible] | 205 695,05 | 3223815 31.10.2011 | |



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 705 135,27 | | |
| ახალი [illegible] Gulfstream G450 (reg. 4L-GAF) | [illegible] | 39 042,43 | 3268866 2.09.2011 | 28.08-02.09.2011 |
| | [illegible] | 71 739,54 | 3268867 8.09.2012 | 04-08.09.2011 |
| | [illegible] | 11 893,61 | 3268869 14.09.2011 | 10-14.09.2011 |
| | [illegible] | 13 078,92 | 3268870 19.09.2011 | 16-18.09.2011 |
| | [illegible] | 47 208,02 | 3268871 26.09.2011 | 19-24.09.2011 |
| | [redacted] | 47 574,70 | [redacted] | 26-30.09.2011 |
| | [illegible] | 297 221,05 | 3223801 30.09.2011 | |
| | [illegible] | 1 981,62 | 3268873 30.09.2011 | 13-25.07.2011 |
| | [illegible] | 252 355,85 | 3268847 4.08.2011 | 26.07-04.08.2011 |
| | [illegible] | 14 941,73 | 3268849 8.08.2011 | 08.08.2011 |

**„ვერსიამ“ მოიპოვა დოკუმენტი, რომელსაც თავდაცვის სამინისტრომ გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა**

**რამდენიმე რეისი, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www. president.gov.ge), ბლოკში „შეხვედრები და ვიზიტები“, სადაც, წესითა და რიგით, სააკაშვილის უკლებლივ ყველა ფრენა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ასახული უნდა იყოს, უბრალოდ, არ ჩანს! შესაბამისად, ის ფრენები, რაც პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტების სიაში არაა, არაოფიციალური გამოდის. ამ დოკუმენტით, მარტო 2011 წელს, Gulfstream G450-მა 34 ფრენა განახორციელა და 6-ჯერ გაიარა ტექნიკური მომსახურება — ეს ყველაფერი კი, ჯამში, 5 მილიონი ლარი დაგვიჯდა!**

„ვერსიამ“ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდიდან სააკაშვილის მიერ 2011 წელს განხორციელებული, უკლებლივ, ყველა გასვლითი შეხვედრა ამოიღო და ძალიან საინტერესო ფაქტს წააწყდა — პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტების თარიღები, ხშირად, არ ემთხვევა დოკუმენტში მითითებული ფრენების თარიღს. მაგალითად, 2011 წლის ივნისში სააკაშვილი ქვეყნიდან, ოფიციალური ვიზიტით, 1 ივნისს იტალიაში გაფრინდა, იტალიის პრეზიდენტის პირადი მოწვევით. უკვე 2 ივნისს სააკაშვილი აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა რომში. 24 ივნისს პრეზიდენტი ხვდება ევროკომისარ შტეფან ფულეს, ბრიუსელში, ანუ ეს მისი გასვლითი, სამუშაო შეხვედრებია, რაც ჩანს კიდეც თავდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილ დოკუმენტში. აქ ერთმანეთს ემთხვევა სააკაშვილის ვიზიტი ბრიუსელში შტეფან ფულესთან და 23 ივნისს შესრულებული ფრენა, მაგრამ იმ ფაქტს რა ვუყოთ, რომ ამავე თვეში, 28, 29 და 30 ივნისს, სააკაშვილი სამჯერ ჩაფრინდა ბათუმში და უკან იმავე დღეს დაბრუნდა, ამაში კი თითქმის 50 000 ლარი გადავიხადეთ? ან რა ვუყოთ 19 აგვისტოს შესრულებულ რეისს თბილისი-ბათუმი-ნიცა-მილანი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით, როცა პრეზიდენტმა იტალიაში ჩვენს ხარჯზე გაისეირნა და ამაში 61 683 ლარი დახარჯა? ეს მაშინ, როცა ოფიციალური ვიზიტების ჩამონათვალში გვაქვს 2 აგვისტოს შეხვედრა ნორვეგიაში გადარჩენილ ქართველთან, 28 აგვისტოს ფრენა პერუში, ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასასწრებად და 29 აგვისტოს პერუს ვიზიტის გაგრძელება? თუ მილანური ვოიაჟი საქმიანი, ოფიციალური ვიზიტია, რატომ არაა ასახული პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ მონაცემებში და თუ სააკაშვილი ჩვენს ხარჯზე, იტალიაში გასართობად და „შოპინგებზე“ დაფრინავს, მაშინ რაში ტყუის თავდაცვის სამინისტრო, ჩვენ კი სააკაშვილის გართობისთვის ქამრებს რატომ გვაჭერინებენ?!

დოკუმენტში კიდევ რამდენიმე მსგავს, ძვირადღირებულ და არაოფიციალურ ფრენას გადავაწყდით, რაც, ცხადია, ბიუჯეტიდანაა დაფინანსებული. ასეთია: თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით უამრავი რეისი, ასევე, ლონდონში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ, 2011 წლის 11 ნოემბერს, მისი არაოფიციალური გაგრძელება 13-14 ნოემბერს, როცა ინგლისში დაწყებული ვიზიტი გერმანიაში გვირგვინდება — ჩვენი პრეზიდენტი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონთან შეხვედრაზე გვეგონა და თურმე, გერმანიაში, მიუნჰენში გადაფრენილა და რეისში თბილისი-ბათუმი-ნორთჰოლდი-მიუნჰენი-თბილისი 75 579 ლარიც დაუხარჯავს!

ასეთ დროს, რთულია, მინისტრს თავდაცვის ბიუჯეტიდან არამიზნობრივი ხარჯების გაღების შეწყვეტაში არ დაეთანხმო. ხოლო თუ სამინისტრო ცდება, მაშინ გააკეთოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შესაბამისი განცხადება და გვითხრას, ვინ და რა მიზნით დაფრინავდა, თუნდაც, „ვერსიის“ მიერ დასახელებული ამ კონკრეტული რეისებით, ჩვენს ხარჯზე!

## ბიძინა ივანიშვილმა, თეა წულუკიანმა, გიგი უგულავამ და ვანო მერაბიშვილმა კათოლიკეებს შობა მიულოცეს



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კათოლიკურ სამყაროს შობის ბრწყინვალე დღესასწაული მოულოცა. როგორც პრემიერის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, **„დღეს მსოფლიოს ქრისტიანული სამყარო შობის დღესასწაულს აღნიშნავს. მილიონობით ქრისტიანისთვის ეს ყველაზე დიდი დღეა. ეს არის მაცხოვრის დაბადების, ახალი ერის დაწყების დღე – ამ დღემ მთლიანად შეცვალა კაცობრიობის ისტორია, შეცვალა ადამიანი, მისი აზროვნება, ცხოვრების წესი, დამოკიდებულება სამყაროსადმი, სიცოცხლისადმი, მოყვასისადმი, ამან მისცა დასაბამი ევროპულ ცივილიზაციას. დღევანდელი დღე მინდა, მივულოცო თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, ყველას, ვინც დღეს – 25 დეკემბერს აღნიშნავს შობის დღესასწაულს. მინდა, გისურვოთ ბედნიერი მომავალი, სიხარული, წარმატება და კეთილდღეობა. მრავალი შობა გეზეიმოთ მშვიდობიან და ერთიან საქართველოში“.**

„ნეტგაზეთის“ კორესპონდენტის, ნინო კახიშვილის ინფორმაციით, შობის დღესასწაულის ცერემონიის პირველი ნაწილი, თბილისში, ლესელიძეზე მდებარე კათოლიკურ ტაძარში ტელეოპერატორების სიმრავლით გამოირჩეოდა. კათოლიკე მოქალაქეებისთვის შობის მისალოცად, იუსტიციის მინისტრი, თბილისის მერი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი, ვანო მერაბიშვილი მივიდნენ.

ცერემონიის დასაწყისში, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს ტრიბუნიდან კათოლიკეებისთვის შობის დღესასწაულის მილოცვა სთხოვა.

**„ყველას გილოცავთ ამ დიდ დღეს. სულიერი თავისუფლების დღეს ყველა ქრისტიანისთვის. ჩვენ ერთი რწმენის წარმომადგენლები ვართ, რაც უნდა განსხვავებული არსებობდეს ჩვენს შორის. როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, რომელიც სულ რამდენიმე დღეში იზეიმებს ამ დღესასწაულს, გილოცავთ მთელი გულით, თქვენ ხართ ჩვენი სისხლი და ხორცი. მინდა, მოგცეთ გარანტია, როგორც მთავრობის წარმომადგენელმა, ჩვენი ხელისუფლების პირობებში, რელიგიური თავისუფლება იქნება ხელშეუხებელი, და ჩვენ არავის, პირველ რიგში კი, ჩვენს თავს არ მივცემთ იმის უფლებას, რომ რომელიმე რელიგია, იქნება ეს უმცირესობა თუ უმრავლესობა, ხელისუფლებამ ან ვინმემ თავის იარაღად გამოიყენოს. ჩვენ ვართ ისეთი რელიგიური თავისუფლების მომხრე, რომლის პირობებში, ყველა რელიგიას აქვს თავისუფალი აღმსარებლობის ნება, სახელმწიფოს აქვს თავისი პოზიტიური ვალდებულებები, სხვა მხრივ, სახელმწიფო არ ერევა აღსარების თავისუფლებაში. ჩვენ ვართ დღეს აქ, სიყვარულის ადგილას, ქრისტიანულ ტაძარში და მე არავინ მძულს, რადგან ვარ ჭეშმარიტი ქრისტიანი, მაგრამ როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, მე და ჩემი მთავრობა ვართ და ვიქნებით ყოველთვის სიმართლის ერთგულნი და ვიბრძოლებთ სამართლიანობისთვის“,** — განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის შემდეგ, კათოლიკეებს შობა თბილისის მერმა, გიგი უგულავამ მიულოცა და განაცხადა: **„ჩვენი მრავალფეროვნება არის ჩვენი საგანძური და ჩვენი რელიგიური თავისუფლება არის ის ქვაკუთხედი, რომელსაც ეფუძნებოდა, ეფუძნება და მომავალშიც დაეფუძნება ჩვენი სახელმწიფო. ვისურვებ, რომ ჩვენ ამაზე არ გველაპარაკოს, და ამის საჭიროება არ ყოფილიყოს, არც პოლიტიკოსების და რაც უფლებადამცველების მხრიდან. მაშინ მართლაც, ჭეშმარიტ მშვიდობას მივაღწევთ“.**

რაც შეეხება კიდევ ერთ პოლიტიკოსს, ვანო მერაბიშვილს, რომელიც ასევე ესწრებოდა შობის დღესასწაულის ცერემონიას, მან ეკლესია კომენტარის გარეშე დატოვა.

# ბოკერიას „ნაღდი ფულის გატანის გამო“, პროკურატურაში დაიბარებენ?!



## რა მასალებია გადაგზავნილი პროკურატურაში, რაში იხარჯებოდა უშიშროების საბჭოს მილიონები და რა კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა გიგა ბოკერიას?

ეკა სეხნიაშვილი

**პროკურატურის ახალი საკბილო ცნობილია. უშიშროების საბჭოს მდივანს, სავარაუდოდ, პროკურატურაში დაიბარებენ, თუ ამის მიზანშეწონილობას კბილაშვილის უწყება საჭიროდ ჩათვლის. თავად ივანიშვილმა უკვე გაახმაურა, რომ პროკურატურა უშიშროების საბჭოს მასალებს სწავლობს.**

**„რაც შეეხება გიგა ბოკერიასთან დაკავშირებით, იქ გრიფი „საიდუმლო“ ედო, თუმცა იქ საიდუმლო არაფერი ჩანს, ელემენტარულად, ეს ფული ლობისტებზე იხარჯებოდა, მეც ახლა ვსარგებლობ იმ ინფორმაციით, რასაც თვენახევრის განმავლობაში, ხადურმა მიაღწია, ფინანსთა მინისტრსაც არ აძლევდნენ იმის საშუალებას, რომ გრიფი გაეხსნა და ეს ინფორმაცია მიეღო. ფინანსთა მინისტრი დაუშვეს, ეს ინფორმაცია მისგან მაქვს. იქ უფრო ბევრი კითხვაა, ამასთან დაკავშირებით, ყველაფერი პროკურატურას გადაეცა და დაველოდოთ მისგან იქნება ალბათ, ინფორმაცია. ძალიან ბევრი კითხვებია, ძალიან ბევრი ნაღდი ფულია გატანილი, ეს არ არის მარტო ამ წელიწადის. ბოლო 3 წელს თუ ნახავთ, 50 მილიონზე მეტია, როგორც მე ვიცი და ყველაზე სასაცილო რაცაა, ამ სამსახურმა 30 მილიონით დაფინანსება მოითხოვა, ფინანსთა მინისტრი რამდენჯერმე შეეკითხა, რომ მანახეთ, რად გინდათ ეს ფული და მოგცემთო, ვერ მოუტანეს. ბოლოს, 1 800 000 დასჯერდნენ. ეს არ ბადებს კითხვებს? გამოვიდეს ბოკერია და გააკეთოს განცხადება, რაში სჭირდებოდა ეს ფული. ამას, ძირითადად, ლობისტებს უხდიდნენ. დაასწროს პროკურატურას და საზოგადოება გაარკვიონ“**, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კონკრეტულად, რას მოიცავს მასალები, რომელ დოკუმენტაციას სწავლობს კბილაშვილის უწყება, რა თანხებზეა საუბარი და რაში იხარჯებოდა ბოკერიას უწყებიდან საბიუჯეტო სახსრები, რაზე შეიძლება შეედავოს გამოძიება ბოკერიას, ეს ინფორმაცია ,,ვერსიამ“ მოიძია. მანამდე კი, ,,ვერსია“ უშიშროების საბჭოს მდივნის პოზიციის გარკვევას ეცადა, თუმცა საბჭოში ჩვენს ზარებს არ უპასუხეს. ,,ვერსია“, კომენტარისათვის „ტაბულას“ მთავარ რედაქტორს, **თამარ ჩერგოლეიშვილს** დაუკავშირდა:

— ქალბატონო თამარ, თქვენი მეუღლის მისამართით ბიძინა ივანიშვილმა საკმაოდ მწვავე განცხადებები გააკეთა..

**— ჩემი პრინციპია, რომ ჩემი მეუღლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, მე ჟურნალისტებს კომენტარს არ ვაძლევ, უშიშროების საბჭოს დაუკავშირდით..**

— სამწუხაროდ, ტელეფონს არ პასუხობდნენ და როგორ ფიქრობთ, დაიბარებენ თქვენს მეუღლეს პროკურატურაში?

**— არ ვიცი, შეიძლება დაიბარონ, შეიძლება, არ დაიბარონ.. არაფერია გამორიცხული, ჭკუა დაუშლით თუ თანამდებობა?! პრესსამსახურს დაუკავშირდით... უკაცრავად, მე ვერაფერს მოგახსენებთ..**

**„იმედი მაქვს, ივანიშვილის მორიგ ტყუილს (რომელსაც შეგნებულად ამბობს, თუ უკიდეგანო სიბრიყვით მოსდის, არ ვიცი) უშიშროების საბჭოდან „ძალიან ბევრი ნაღდი ფულის გატანასთან დაკავშირებით“ — უშიშროების საბჭო პასუხს გასცემს“,** — ეს შეფასება კი ჩერგოლეიშვილმა საკუთარ ფეისბუქზე გამოაქვეყნა. უშიშროების საბჭომაც ივანიშვილს საჯარო განცხადებით უპასუხა, რომ ლობისტურ კომპანიებთან ურთიერთობა მას, მხოლოდ და მხოლოდ, საერთაშორისო ურთიერთობის მოგვარების, ნატო-სთან ინტეგრაციისა და სხვა სახელმწიფოებრივი მიზნებისთვის სჭირდებოდა, თუმცა ივანიშვილს ეს პასუხი არ აკმაყოფილებს, მით უმეტეს, პროკურატურას, რომელსაც ახლა ბოკერიაზე „სანადიროდ“ უწყების მასალები უკვე წინ უდევს. მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ბოკერია კურირებს საქართველოს ხელისუფლებისა და ლობისტური კომპანიების ურთიერთობას. სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდგომ მიიღო, საგარეო საქმეთა სამინისტრო ლობისტებთან ბოკერიამ ჩაანაცვლა.

ახლა კი ,,ვერსიის“ მიერ მოძიებული მასალები, კონკრეტული ლობისტური პირები და კომპანიები, რომლებიც გიგა ბოკერიას უწყებამ ბოლო წლების განმავლობაში იქირავა და კონკრეტული ციფრები და მასალები, რომლითაც პროკურატურა დაინტერესდა.

### რა მასალებია გადაგზავნილი პროკურატურაში, რაში იხარჯებოდა უშიშროების საბჭოს მილიონები და რა კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა გიგა ბოკერიას?

**გრეგორი მანიატისი** – უშიშროების საბჭოს მიერ დაქირავებული ერთ-ერთი ლობისტი პირია. 2012 წელს მისი ჰონორარი, რომელსაც საქართველოს უშიშროების საბჭო უხდიდა, 360 000-ს შეადგენს, 2011 წელს მას 330 000$ გადაუხადეს, 2010 წელს მისმა ხელფასმა 270 000 დოლარი შეადგინა, 2009 წელს გრეგორი მანიატისთან ერთად, ჩნდება სააკაშვილის მუდმივი თანმხლები პირი – **დენ კუნინი,** კუნინისა და მანიატისის შემოსავალმა 2009 წელს 360 000 ევრო შეადგინა. შემდეგი კომპანია „გეფარდ გოვერმენდს ეფიენსია“, ამ კომპანიას საქართველოს უშიშროების საბჭომ ერთ-ერთ კონტრაქტში 180 000 დოლარი გადაუხადა. 2010 წლის განმავლობაში, იმავე კომპანიას საქართველოს საქართველოს მთავრობამ 436 800 დოლარი გადაუხადა, პლუს, ყოველთვიურად, 1 400 ადმინისტრაციული ხარჯებისთვის, ამ კომპანიის ხელმძღვანელი კონგრესის ყოფილი სპიკერი რიჩარდ დი გეფარდია. „გეფარდის“ მომსახურება საქართველოს ბიუჯეტს 632 800 დოლარი დაუჯდა. „გეფარდს“, მაგალითისთვის, დაევალა საკაშვილის გამოსვლის მომზადება ევროკავშირში, მასვე ევალებოდა ლობისტური საქმიანობის გაწევა ნაციონალური ხელისუფლების აშშ-ს ადმინისტრაციასა და სახელმწიფო დეპარტამენტში.

ამავე წელს, საქართველოს მთავრობას კიდევ ერთი გავლენიანი ლობისტური კომპანია ჰყავს დაქირავებული. **„პოდესტა გრუპი“** – ეს კომპანია ძალიან დიდი გავლენით სარგებლობს აშშ-ს დემოკრატიულ პარტიაში, ამ კომპანიის მეპატრონე ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო. პირველი, 600 000-დოლარიანი კონტრაქტი ამ ლობისტურ კომპანიასთან საქართველოს უშიშროების საბჭომ 2010 წლის 12 იანვარს გააფორმა. 2011 წლის ივლისში უშიშროების საბჭო ისევ აფორმებს 6-თვიან კონტრაქტს „პოდესტა ჯგუფთან“ 300 000 დოლარზე, სადაც მითითებულია, რომ ხელშეკრულება ავტომატურად განახლდება 2012 წლის 1 იანვრიდან ისევ 6 თვით, თუმცა 2012 წლის ბოლოს, კომპანიას მხოლოდ ერთი თვით გაუხანგრძლივეს კონტრაქტი. ,,პოდესტა“ გახლდათ ის ლობისტური კომპანია, რომელიც „მისტრალზე“ ქართული ხელისუფლების განსაჯაროებაზე მუშაობდა „ვაშინგტონ პოსტის“ მეშვეობით; იგივე გამოცემაში მას უნდა ეზრუნა ეკა ტყეშელაშვილის ინტერვიუს განთავსებასა და საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნისა და აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლების საერთო სადილზე.

2009 წლის 10 თებერვლიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობასა და ეროვნული უშიშროების საბჭოს ლობირებდა გრიგორი მატიანისი, რომელზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 231 000 დოლარი გაიცა, მისი ამოცანა იყო საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიული კომუნიკაცია, მათ შორის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრისთვის: გამოსვლების, სტატიებისა და შეფასებითი განცხადებების მომზადება.

2010 წლის 22 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობას ლობირებას უწევს **Gephardt Group Govenment Affairs, LLC,** ამისთვის განკუთვნილია თანხა 436 800 დოლარი, რომელიც ლობირებასა და სამთავრობო ურთიერთობების კუთხით, მომსახურების გაწევაზე დაიხარჯა.

2010 წლის 29 იანვრიდან 2010 წლის 31 იანვრამდე, საქართველოს მთავრობასა და ეროვნული უშიშროების საბჭოს ლობირებას უწევს **Maniatis, Gregory A./The Ithaca Group LLC** გამოყოფილი თანხა 270 000 დოლარი.

საქართველოს უშიშროების საბჭოს სახელით აშშ-ში რეგისტრირებულ ლობისტურ კომპანია **Gephardt Group Government Affairs** -თან კონტრაქტი 2012 წლის 1 ივლისს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ გააფორმა. კონტრაქტის ღირებულება 180 ათასი აშშ დოლარია და მისი მოქმედების ვადა 2012 წლის 31 დეკემბრამდეა. ლობისტური კომპანია **Gephardt Group Government Affairs** იღებს ვალდებულებას, რომ ის აშშ-ში აიცილებს ყველა იმ ქმედებას, რამაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს უშიშროების საბჭოს რეპუტაციას ან უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს მთავრობისა და უშიშროების საბჭოს ინტერესებზე, რეპუტაციასა და აქტივებზე.

2012 წლის 19 ივნისს ლობისტური მომსახურებისთვის უშიშროების საბჭომ კიდევ ერთი ხელშეკრულება გააფორმა კომპანია Prime Policy **Group**-თან. კონტრაქტი 2012 წლის 19 ივნისიდან 19 დეკემბრამდეა დადებული და საქართველოს უშიშროების საბჭოს, ექვსი თვის განმავლობაში, ლობისტური მომსახურებისთვის 150 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. გეგმები კონტრაქტის მიხედვით ძალიან მრავლისმეტყველია და საქართველოს მთავრობის ცალკეული პირების — სააკაშვილის, ბაქრაძის და ა.შ. დადებითი კუთხით წარმოჩენასაც ემსახურება. ასევე 2012 წლის 10 იანვარს, ლობისტურ კომპანია **Orion Strategies LLC**-თან, საქართველოს მთავრობამ ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის საერთო ღირებულება 270 ათასი აშშ დოლარია (რაც თვეში 45 ათასი აშშ დოლარი გამოდის), კომპანია ლობირებას უწევს ეროვნული უშიშროების საბჭოს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის მიზნით.

# „მაინცდამაინც გინდათ, ამ ინტერვიუს მერე პროკურატურამ დაკითხვაზე დამიბაროს?“



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

## „ნაციონალების“ რა ცოდვებს ინანიებს და რას პასუხობს დოკუმენტებით დადასტურებულ ბრალდებებს დავით ბაქრაძე



**ეხმაურება ჭორებს ნაციონალური მოძრაობისთვის სახელის შეცვლისა და ვადამდელი არჩევნების აპრილში დანიშვნის შესახებ, გვიმხელს პარტიის გრძელვადიან სტრატეგიას, პასუხობს ბრალდებებს ბიუჯეტის ფულის პირადი მიზნებისთვის მოხმარების თაობაზე და როგორც ამბობს, ნანობს ყველა იმ ტრაგედიას, რაც ხელისუფლებაში მისი ყოფნისას ქვეყანაში დატრიალდა — „ვერსიის“ კითხვებს პარლამენტის ექსთავმჯდომარე, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე პასუხობს:**

— ახლო მომავალში, ყველა რაიონული წარმომადგენლობის დონეზე, ღია ვებ-გვერდებს გავაკეთებთ, სადაც აზრის დაფიქსირება არავის შეეზღუდება. იგეგმება ყოველდღიური შიდადებატები სხვადასხვა თემებზე, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, რისი ნახვაც, ასევე „ლაივში“ იქნება შესაძლებელი. აქვე, არ ვადასტურებ ჭორს პარტიის სახელის შეცვლის თაობაზე — წინააღმდეგი ვიქნებოდი, ეს თემა განხილვაზე რომ დამდგარიყო, თუმცა არც დამდგარა. ჩვენი სახელი უკვე ბრენდად ჩამოყალიბდა.

**რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატს — ამაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა, თუმცა ვანო მერაბიშვილი პარტიის გენმდივანია და გამორიცხული არაა, სწორედ ის იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი, როგორც, მინიმუმ, 4-5 სხვა ადამიანი, მათ შორის, ახალი სახეც. კონკრეტულ გვარზე საუბარი ახლა, უბრალოდ, შეუძლებელია. პარალელურად, ვაანალიზებთ, რა ვერ გავაკეთეთ სწორად. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მიმაჩნია, რომ ამ წლებში სერიოზული პრობლემები დაგროვდა სახელმწიფოს მიდგომაში ბიზნესთან, გადასახედია მიდგომა არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების მიმართაც, რადგან იზოლაციასა და დაპირისპირებამდე მივედით სამოქალაქო სექტორთან.**

ჩემთვის ისიც მიუღებელია, რომ დღეს არასამთავრობოები, ფაქტობრივად, შეზრდილნი არიან ახალ ხელისუფლებასთან და ერთ კრიტიკულ განცხადებასაც არ აკეთებენ!

**— ახლა არ მოგწონთ ეს სიტუაცია, არა?**

— არ მომწონს და კი, ბატონო, ისიც ცუდი იყო, ჩვენს ხელისუფლებასა და არასამთავრობოებს შორის კომუნიკაცია რომ არ არსებობდა.

**— რადგან შეცდომების გაანალიზების პროცესში ხართ, შეგიძლიათ, ინანოთ და აღიაროთ ყბადაღებული ბრალდებები: 26 მაისი, 6 მაისი, 15 ივნისი, გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, რობაქიძისა და სხვათა მკვლელობები?**

— შემიძლია, ვაღიარო და ვინანო ყველა ის ბრალდება, რაც ადამიანურ ტრაგედიებთანაა დაკავშირებული. გირგვლიანი, რობაქიძე და ყველა სხვა შემთხვევა, ადამიანურად, უმძიმესი იყო, თუმცა როცა პოლიტიკურ შეფასებებზეა საუბარი, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა რჩება. ყოველთვის ვცდილობდი, პოლიტიკოსობა და ადამიანობა ერთმანეთთან თავსებადი ყოფილიყო, თუმცა, შეიძლება, ეს ყოველთვის არ გამომდიოდა!

**— კიდევ ერთი ყბადაღებული თემაა დაჭერები — ამას პოლიტიკურ დევნად მარტო იმიტომ აფასებთ, რომ ოპოზიციაში ხართ?**

— ნებისმიერი ადამიანის წარსული შეიძლება იქნას გამოძიებული — ჩემიც, თქვენიც და გვარამიასიც. ახლა მიდის ბუტა რობაქიძის საქმის გამოძიება და ყველანი ვთანხმდებით, რომ ეს იყო ტრაგედია. თუ ვინმეს დანაშაული გამოიკვეთება, სამართლიანი გამოძიების პირობებში, ეს არ იქნება პოლიტიკური დევნა. როცა არსებობს დანაშაულებრივი კვალი საქმეში და ვიღაცას აპატიმრებენ, ეს დევნა არ არის, მაგრამ როცა საქმის შედგენა პიროვნების გამო ხდება, სწორედ ეს მიმაჩნია პოლიტიკურ დევნად.

**— აფრასიძეების საქმეზე გიორგი ბარამიძე რომ დაიჭირონ, ეს დევნა იქნება თუ — სამართლიანობის აღდგენა?**

— აპრიორი არც ერთ ლიდერს არ ვიცავთ — გააჩნია, როგორ წავა გამოძიება. რაც უნდა არაპოპულარული რამ ვთქვა, აფრასიძეების ოჯახი ბევრ პრობლემას ქმნიდა სვანეთში და, ფაქტობრივად, კრიმინალის ცენტრი იყო. კრიმინალთან ბრძოლა კი დანაშაული არ არის. სხვა თემაა, რა ფორმით ჩატარდა ეს ოპერაცია, მოხდა თუ არა ძალის გადამეტება სამინისტროს მხრიდან და აგებს თუ არა ამაზე პასუხს მაშინდელი შს მინისტრი. კლიშეებით საუბარი არ მინდა, ბარამიძე ჩემი მეგობარია, მაგრამ მეც რომ მეხებოდეს საქმე, წინასწარ ვერ ვიტყვი, ვიდევნები თუ არა პოლიტიკური ნიშნით.

**— სხვათა შორის, შალვა რამიშვილი დიდი ხანია, საბანკო გადარიცხვას გიფრიალებთ და ამბობს, რომ ბიუჯეტის ფულით თქვენი მეუღლე და მისი დაქალები აფრიკაში „აგრიალეთ“, ნადირობდით და ა.შ. ახლა პროკურატურამ რომ დაგკითხოთ და დაგიჭიროთ, ეს პოლიტიკური დევნა იქნება?**

**— ეს უსამართლობაა — საბუთი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, სწორედ იმის დამადასტურებელია, რომ სამხრეთ აფრიკაში ოფიციალური ვიზიტით ვიყავი, ლომი კი, გალიის გარეთ, თვალით არ მინახავს, არც ნადირობა მიყვარს. ეს რამიშვილის მიერ მოპოვებული საბუთი კი არა, მივლინების ოფიციალური დოკუმენტია. სამხრეთ აფრიკა ჩვენი მთავარი პარტნიორია კონტინენტზე, არაღიარების პოლიტიკაში, ამიტომ ხანდახან ასეთ ეგზოტიკურ ქვეყნებშიც გვიწევს სიარული.**

**— თქვენი ცოლის დაქალებთან ერთად?**

— ცოლი და მისი დაქალები ჩემთან ერთად არ ყოფილან. ეს საბუთი ჩემი დაცვის სასტუმროს ხარჯებია. ბიუჯეტის არც ერთი თეთრის ხარჯზე, ჩემი მეუღლე არსად წამიყვანია. თუ ოდესმე მივლინებაში ერთად ვყოფილვართ, ყველა ხარჯი ჩემი გადახდილი იყო — ამას სრული გულახდილობით ვამბობ!

**— რამიშვილი კი ამტკიცებს, რომ ხელთ სხვა მასალებიც აქვს და პროკურატურაში აპირებს მისვლას — ამიტომ მაინტერესებს, დარღვევა თუ აღმოგიჩინეს, იტყვით, რომ ეს პოლიტიკური დევნა იყო?**

— ტყუილია-მეთქი და რაც უნდა, ის შეიტანოს!

**— ე.ი. ან ტყუილია, ან — პოლიტიკური დევნა და არასოდეს, არც ერთი „ნაციონალი“ არაფერშია დამნაშავე?**

— ცოლის დაქალები სახელმწიფო ფულით რომ წამეყვანა სადმე, ხმასაც არ ამოვიღებდი, ვიტყოდი, შემეშალა-მეთქი, მაგრამ არ წამიყვანია და რა გავაკეთო?! გინდა, დევნა დაარქვი, გინდა, „უდევნობა“ — არსად არავინ წამიყვანია ბიუჯეტის ფულით და რა ვქნა?! ვინც უნდა, ის დაკითხონ — ცოლი, ცოლის დაქალები და სიდედრის ნათესავები! ეს ოფიციალური მივლინება ჩემზეა გაფორმებული და არა — ჩემი ცოლის დაქალებზე, ჩემს ძმაკაცებსა და ჩემი შვილის კლასელებზე!

**— მახსოვს თქვენი განცხადება 26 მაისის მერე — ის ფაქტი, რომ ადამიანები ოპოზიციაში არიან, მათ უდანაშაულობის ინდულგენციას არ აძლევსო. როგორ მოხდა, რომ ოპოზიციაში გადასვლის მერე, თქვენ მიიღეთ ეს ინდულგენცია?**

— არაფერი შეცვლილა — ინდულგენცია და იმუნიტეტი არავის მიუღია. ნებისმიერი დამნაშავე, იმისგან დამოუკიდებლად, ხელისუფლებაშია თუ ოპოზიციაში, უნდა დაისაჯოს!

**თუ გინდათ, ტყუილი ვაღიარო და ციხეში ჩემი ფეხით წავიდე — წავალ! ჩემი წარსული ხელშეუხებელი არაა. თუ ამ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას ციხეში ჩემი ჯდომა სჭირდება — ჩავჯდები! თუ ამოცანა დათო ბაქრაძის დაჭერა იქნება, რა თქმა უნდა, დამიჭერენ და ჩემი 8 წლის შვილსაც გამოუძებნიან რაღაც „დანაშაულებრივს“. მაინცდამაინც გინდათ, ამ ინტერვიუს მერე პროკურატურამ დაკითხვაზე დამიბაროს?! ამ საშიშროებას ისედაც ყველა გრძნობს, ვინც ხელისუფლებაში იყო, მაგრამ განგაში ნამდვილად არ აგვიტეხავს. მიმაჩნია, რომ მართალი ადამიანი ვარ, მაგრამ თუ ციხეში მომიწევს ჩაჯდომა, არც ამით დაინგრევა ქვეყანა, უბრალოდ, საწყენია, რომ ახალ მთავრობაში ახლა მხოლოდ ძალოვანი ბლოკის მოქმედებები ჩანს.**

**— როგორც ეს თქვენს შემთხვევაში იყო, 2003 წელს, თან ჯერ ე.წ. ოქროს 100 დღეც არ გასულა!**

— მე ის მაწუხებს, რომ დაჭერების პარალელურად, სხვა პროცესი ქვეყანაში არ მიდის. ჩვენი მთავარი ამოცანა ის კი არაა, არჩევნებამდე მშვიდობით მივიდეთ, არამედ ის, რომ არჩევნებამდეც და ამის მერეც, ქვეყანა წინ მიდიოდეს.

**— პრეზიდენტმა მკაფიოდ თქვა, რომ ქაოსში შევდივართ, „ოცნება“ იმაზე მალე დასრულდება, ვიდრე თავად ჰგონია, რომ შს თანამშრომლები შს მინისტრს არ არ უნდა დაემორჩილონ, ახლა ვეტოს ადებს უმრავლესობის კანონპროექტს — ეს ღია კონფრონტაცია არ არის?**

— ვეტოს რაც შეეხება, ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ბრძოლის ნაწილია.

*დასასრული მე-6 გვერდზე*





# ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის მთავარი მესიჯები!

**24 დეკემბერს „შერატონ მეტეხი პალასში“ ბიძინა ივანიშვილის მეორე პრესკონფერენცია გაიმართა პრემიერ-მინისტრის რანგში. 150 ქართველი და უცხოელი ჟურნალისტის კითხვებს „ქართული ოცნების“ ლიდერმა ჩვეული გულწრფელობით უპასუხა. ვინაიდან პრესკონფერენციის პირდაპირი ტრანსლაცია საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაიცა, „ვერსია“ გთავაზობთ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მესიჯს, რომელიც პრემიერმა ივანიშვილმა გააჟღერა. აქვე შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი 26 დეკემბერს აზერბაიჯანს ეწვევა, სადაც გაზის ტარიფსა და დავით გარეჯის პრობლემებსაც განიხილავს, 17 იანვარს, სომხეთში, ხოლო შემდეგ თურქეთში გაემგზავრება. რაც შეეხება აშშ-ში დაგეგმილ ოფიციალურ ვიზიტს, იგი მარტში ან აპრილში გაიმართება.**



## „თუ ნაციონალური მოძრაობა რიგგარეშე არჩევნებზე მართლაც წამოვა, პროცესები უფრო სწრაფად ჩაწყნარდება!“

**„ნაციონალური მოძრაობა მომავალ წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე წამომსვლელი არ არის“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, თუ ეს განხორციელდება, რამდენადაც ამის ინიციატორი თავად არის, მზადაა, პირადი ხარჯები გაიღოს:

**„შემიძლია, დავისაჯო პირადი ხარჯებითაც, რისი საშუალებაც მე მაქვს, მაგრამ მე გარწმუნებთ ერთს, არ მოხდება ეს. არ არიან ისინი წამომსვლელები. ეს არის ბლეფი. მათ არ აქვთ არავითარი თამაში, გაკოტრებულები არიან და ცდილობენ, ერთმანეთი გაამაგრონ, ერთმანეთს აიმედებენ. ამას საქართველოს მოსახლეობა ალბათ, სერიოზულად ვერ ღებულობს, მაგრამ ჩემი პასუხი არის ადეკვატური. თუ მართლა ასე გინდათ, აბა, გამოდით. ხომ გვემუქრებიან, რომ აი, მოვალთ და მოვბრუნდებითო. მობრუნდნენ და თუ მართლაც წამოვლენ, ძალიან კარგი იქნება, რადგან პროცესები ჩაწყნარდება უფრო სწრაფად. შეიძლება ის შედეგები, რასაც მივიღებთ, კიდეც ღირდეს იმ ხარჯებად, რასაც გავწევთ“.**

## „საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს“

პრემიერის განცხადებით, საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს, რადგან ეს კარგი საფუძველია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა აღსადგენად. მისივე თქმით, ასეთი საფუძველი რომც არ ყოფილიყო, ის უნდა მოეგონებინათ და რაკილა არსებობს, მასზე უარის თქმა საჭირო არაა.

**„ოლიმპიადის ჩატარებას მივესალმებით. საქართველომ მასში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ჩვენი მხრიდან, როგორც მეზობელი, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ოლიმპიადა მშვიდობიანად და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდეს“,** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, მან გაიხსენა ძველი საბერძნეთი, როცა ოლიმპიადების დროს ომები წყდებოდა. **„ჩვენ რა გვჭირს ისეთი, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობა ვერ მივიღოთ, ჩვენი სპორტსმენები დავსაჯოთ და არც სტრატეგია არ შევქმნათ, რომ რუსეთთან დავალაგოთ ურთიერთობა და მეგობრული ურთიერთობა აღვადგინოთ“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## არც ერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ, რაც ხდებოდა საქართველოში — ბიზნესმენი თუ ნებისმიერი მოქალაქე შეიძენდა ტელევიზიას და ამით პოლიტიკურ გადატრიალებას ახდენდა!

როგორც პრემიერმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, არ აპირებს მედიაზე კონტროლს: **„არც ერთ შემთხვევაში არ ჩავერევით მედიის მუშაობაში და მის კოორდინაციაში. უბრალოდ, ჩვენ შევქმნით პოლიტიკურ სიტუაციას უფრო სტაბილურს, გაცილებით სტაბილურს“.**

მისი თქმით, არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს ბიზნესმენისა თუ ნებისმიერი მოქალაქის მიერ ტელევიზიის შეძენას და ამით პოლიტიკურ გადატრიალებას: **„არც ერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ და არ მოხდება ის, რაც ხდებოდა საქართველოს უახლოეს ისტორიაში, რომ ბიზნესმენი თუ ნებისმიერი მოქალაქე შეიძენდა ტელევიზიას და ამით პოლიტიკურ გადატრიალებას ახდენდა. ოდნავ თუ რამეს ამის მსგავსს შეამჩნევთ, ხმა ამოიღეთ და გარწმუნებთ, რომ ჩემი რეაქციაც იქნება მყისიერი. ვერ მოხდება ტელევიზიის ქონით პოლიტიკური გამარჯვებები. ეს პროცესი დასრულდება, მე ამის გარანტიას გაძლევთ“**. მისი თქმით, არავის ექნება საშუალება, რომ ტელევიზიის ფლობის შედეგად, პრეზიდენტი გახდეს. **„სიტუაციას დავასტაბილურებთ ისე, რომ ვერააყირავებს ვერ ცერთი ბიზნესმენი და ვერც მეორე პოლიტიკოსი“,** – აღნიშნა მან.

## „პრეზიდენტობას არ ვაპირებ!“

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს პრეზიდენტობის სურვილი არ აქვს და, როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადა, პოლიტიკაში დიდხანს დარჩენასა და თანამდებობის შეცვლას არ აპირებს:

„პრეზიდენტობას არ ვაპირებ. საერთოდ, თანამდებობის შეცვლას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ. როგორც ადრე განვაცხადე, იქ ვიქნები, სადაც ჩემს ქვეყანას დასჭირდება. მაგრამ მე არ ვარ ტიპიური პოლიტიკოსი, რომელიც კარიერის ცვლილებებსა და პოლიტიკაში დიდხანს დარჩენას აპირებს. შესაბამისად, არ მაქვს ეს სურვილი.“

## დსთ-ში საქართველოს დაბრუნების საკითხი არ განიხილება

საქართველოს პრემიერმა კომენტარი გააკეთა ბელორუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს განცხადებაზე იმის შესახებ, რომ იგი მზადაა, საქართველოს დაუჩოქოს და დსთ-ში დაბრუნება სთხოვოს. პრემიერის განმარტებით, მსგავსი საკითხი არ განიხილება.

**„დსთ-ში დაბრუნების მსგავსი არაფერი განიხილება, მაგრამ განიხილება ის, რომ ჩვენს ყველა მეზობელ და მეგობარ ქვეყანასთან, რომელიც დსთ-ს წევრია, გავამყაროთ ურთიერთობები. ამისთვის ნებისმიერ ფორმას გამოვიყენებთ, რომელიც ხელს არ შეუშლის ჩვენს სტრატეგიას – ევროპულ ინტეგრაციას“,** – აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერი შეეხო დავოსში რფ-ის პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან შეხვედრის შესაძლებლობასაც და განაცხადა, რომ გამორიცხული არაფერია, თუმცა, ჯერ საამისო მზაობა არ არის.

**„რაც შეეხება დავოსში შეხვედრის შესაძლებლობას რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან, კონკრეტული არაფერი გაგვაჩნია, მე არ გამოვრიცხავ, თუმცა ჯერ მზაობა არაა ამისთვის, უნდა იყოს მზაობა. ალბათ, უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, რომ მოხდეს შეხვედრა მაღალ დონეზე. ჩემი გადმოსახედიდან, ეს ნაადრევი იქნება, თუმცა გამორიცხული არაფერი არ არის. ჩვენ არ ვმუშაობთ აქტიურად ამ შეხვედრასთან დაკავშირებით“,** – აღნიშნა ივანიშვილმა.

## ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტი ახალ კონსტიტუციას მოერგოს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტი ახალ კონსტიტუციას მოერგოს.

**„დღეს ძველი კონსტიტუციით მოქმედებს პრეზიდენტი, ახალი კონსტიტუციით დანარჩენი მთავრობა. როგორ მოგწონთ? ესეც მაგათი შექმნილია",** — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება პრეზიდენტის ვადას, როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, მას პირველ ეტაპზე ამასთან დაკავშირებით გარკვეული რეაქციები ჰქონდა.

**„მე მქონდა რეაქციები, რომ 20 იანვარს უმთავრდება ვადა. ჩვენი საპრეზიდენტო ვადა 5-წლიანია და რატომ უნდა იყოს კიდევ დამატებით 10 თვე, თუმცა მე, პირადად, პოლიტიკური ნიშნით ამას აღარ ვითხოვ და ჩემს გუნდსაც იგივე ვურჩიე და გადავწყვიტეთ, რომ ქვეყანას იმიჯი შევუნარჩუნოთ, რადგან ძალიან გაგვიჭირდება, ეს ავუხსნათ საერთაშორისო თანამეგობრობას“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

# „მაინცდამაინც გინდათ, ამ ინტერვიუს მერე პროკურატურამ დაკითხვაზე დამიბაროს?“

*მე-5 გვერდიდან*

ის, რომ პარლამენტი ამ ვეტოს გადალახავს, პრეზიდენტმაც კარგად იცის. ასე რომ, მისი მხრიდან ვეტოს არა გადაულახავი ბარიერი, არამედ დამოკიდებულების გამოხატვაა ამ საკითხისადმი. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ოპოზიციაში ვარ თუ არა, ამ ქვეყანაში ვცხოვრობ ჩემს ოჯახსა და შვილებთან ერთად და არ მინდა არჩევნების მოგება იმის ხარჯზე, რომ მერე, ჩემი შვილი ქუჩაში ველარ გავუშვა!

**— ამ რეალობას უშვებთ? თან უმრავლესობის დეპუტატები ამბობენ, თუ სააკაშვილის ომი უნდა, მიიღებს კიდეცო!**

— ნურავინ დაგვემუქრება, ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ თუ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ წავალთ, მოგებული მხარე არ გვეყოლება, რადგან 90-იან წლებში ყველა დამარცხდა! შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მყარი პოზიცია გვაქვს — მსგავსს არაფერს დავუშვებთ!

**— ანდა, ვერ გამოიწვევთ, რადგან ოპონენტების აზრით, 200 კაცსაც ველარ გამოიყვანთ ქუჩაში.**

— ხალხის თვლას რომ იწყებს ხელისუფლება, ზუსტად მაშინ იწყებს მისი საქმე ცუდად წასვლას, ამას საკუთარი გამოცდილებიდან ვამბობ. ჩვენ გვაქვს საპარლამენტო ტრიბუნა და ჩვენი ბრძოლის ძირითადი ხაზი სწორედ ამ ტრიბუნაზე გაივლის. არ ვადასტურებ ამ შეთქმულების თეორიებსა და აჟიოტაჟს აპრილში „მეორედ მოსვლასთან“ დაკავშირებით. უახლოესი არჩევნები იქნება მხოლოდ საპრეზიდენტო და ის 2013 წლის ოქტომბერში ჩატარდება.

**— ბიძინა ივანიშვილმა თქვა, კი გავყვებოდი აპრილში არჩევნებზე, მაგრამ თვითონ არ უნდათ, რადგან ერთი „ნაციონალიც“ ვერ შემოვა პარლამენტშიო.**

— ჯარა! ვადამდელი არჩევნები იმიტომ არ ჩატარდება, რომ ქვეყანა კონსტიტუციური ციკლიდან არ ამოვარდეს. როცა ოპოზიცია გამუდმებით ვადამდელ არჩევნებს ითხოვდა, მაშინაც ამას ვამბობდი და კვლავ მხარს ვუჭერ ნებისმიერი არჩევნების კონსტიტუციურ ვადაში ჩატარებას, რადგან ვადამდელი არჩევნები ქვეყნისთვის ცუდია.

**— ისევე, როგორც მუდმივად ბოიკოტის რეჟიმში მყოფი საპარლამენტო ოპოზიცია!**

— სხდომის გაცდენის გამო, ოპოზიცია დაისაჯა კიდეც და მიმდინარე ფასებიც დადგინდა: დეპუტატისთვის ქვის სროლა ღირს 100 ლარი! ისე გამოვიდა, რომ ხალხი, ვინც დეპუტატებს ქვებს ესროდა, 100 ლარით დააჯარიმეს, ხოლო ის დეპუტატები, ვინც სხდომა გააცდინა — ორი დღის ხელფასით, 100 ლარზე მეტია! თუმცა პოლიტიკური ტურბულენტობა, ემოციური მოქმედებები და ფრაზები ამ ქვეყანაში აღარავის უნდა უკვირდეს.

**— თქვენი ფრაზის მერე, აგვისტოს ომის დროს, თავი ჩანგლებითა და ბარებით დაიცავითო, რაღა გაგვაკვირვებს?!**

**— ესეც „ჩემი ცოლის დაქალების ამბავს“ ჰგავს. ეს ძალიან კარგი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება მიაწებო ადამიანს ინტერპრეტირებული განცხადება. რა ჩანგალი, რის ჭიქა — თუ სადმე ნახავთ, რომ მე ასეთი რამ ვთქვი, ექსკლუზიურად, თქვენ გაზეთში მოვიხდი ბოდიშს!**

**— კი მაგრამ, მეც გისმინეთ და მთელმა საქართველომაც — სამეგრელოში შემოდიან რუსები და რითაც შეძლებთ თავი დაიცავითო, არ თქვით? სხვათა შორის, დაანონსდა, რომ მალე, აგვისტოს ომის საქმესაც გამოიძიებენ.**

— გამოიძიებენ და გამოიძიონ! ამოიღეთ განცხადების ტექსტი პარლამენტის ტელეარქივიდან და ნახეთ — მე ვთქვი, არმია იცავს პოზიციებს, მაგრამ მტერმა უნდა იცოდეს, რომ თუ საჭირო გახდება, ყველანი დავიცავთ ჩვენს სამშობლოსო! ახლა ხომ არ ვიყვირებდი, ასე არ მითქვამს-მეთქი.



# მიზეზი, რის გამოც, დემურ გიორხელიძე „ბანდიტური კანონების“ შეცვლას ითხოვს!



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**„ამ მიმართვის ადრესატი მცირე და საშუალო ბიზნესის ყველა ის წარმომადგენელია, ვინც სხვადასხვა კარტელური შეთანხმებების გამო, ვერ ახერხებს, ფეხი მოიკიდოს და აწარმოოს ბიზნეს-საქმიანობა საქართველოს ბაზრებზე. მცირე და საშუალო ბიზნესი, წლების განმავლობაში, ათობით ათასი ჩვენი თანამოქალაქისთვის ძირითადი შემოსავლის წყარო იყო. დღეს ეს ხალხი მიზანმიმართულად შექმნილი მონოპოლიებისა თუ სხვადასხვა კარტელური შეთანხმებების გამო, ან უსახსროდ დარჩა, ან იძულებული გახდა, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულიყო... ამ მიზნით, 24 დეკემბრიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ამოქმედდა ანტიმონოპოლიური ცხელი ხაზი. ნებისმიერ მეწარმეს შეუძლია, დარეკოს შემდეგ ნომრებზე: 2 99 10 02, 2 99 10 03, 2 99 10 04“, — ასე მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა მეწარმეებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამინისტროში უკვე მზადდება კანონი ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ.**

**რატომ გახდა საჭირო ანტიმონოპოლიური ცხელი ხაზის ამოქმედება, როგორი უნდა იყოს კანონი ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ, რა ტიპის კარტელური და მონოპოლიური გარიგებებია ბაზარზე, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ადგილობრივი ბაზარი უხარისხო პროდუქციისგან დავიცვათ და ამავდროულად, არ დავარღვიოთ თავისუფალი ბაზრის პრინციპი. „ვერსიის“ კითხვებს საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ანალიტიკოსი, დემურ გიორხელიძე პასუხობს:**

## რატომაა ბელორუსული კვერცხი და სომხური ყურძენი იაფი და რა საგადასახადო მაქინაციებს მიმართავენ საბაჟოზე იმპორტიორები?



— ბაზარი თავის თავს რომ არეგულირებს და სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს, „პრაფანებისა“ და დილენტატების მოგონილია, რადგან ბაზარი იმ შემთხვევაში არეგულირებს ბევრ რამეს, როდესაც თამაშის წესები დაცულია. ანტიმონოპოლიური სამსახური აუცილებელია. მეტიც, თუ ამ სამსახურს უფლება არ ექნება, ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო წესით დაშალოს მონოპოლიები, მოახდინოს ბაზრის სეგმენტაცია, იგი არაფექტური იქნება.

> **საქართველო კარტელური გარიგებების ქვეყანაა, სადაც ორი-სამი კაცი, საკუთარი ჯიბის ინტერესებიდან გამომდინარე, ლარზე ვალუტის კურსს აწესებს, ადგენს საწვავისა და მედიკამენტების ფასებს, ცხადია, მათ არანაირი ანტიმონოპოლიური რეგულირება არ აინტერესებთ. 9 წლის განმავლობაში, ისინი ხელისუფლებას „ჯიბეში“ ჰყავდა და რასაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა, აი, რატომაა ასეთი განუკითხავი ძარცვა ქვეყანაში. ანტიმონოპოლიურმა კანონმდებლობამ საბაზრო ეკონომიკის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, იმ ადამიანის, მეწარმის ხელშეუხებლობა უნდა უზრუნველყოს, რომელიც ლეგალურ სფეროში მოქმედებს.**

თუ სურვილი მაქვს, საშუალებაც უნდა მქონდეს, ნავთობპროდუქტების ან ფარმაცევტული კომპანია გავხსნა და არ უნდა მოიძებნოს არც ერთი გავლენიანი ჯგუფი, რომელიც ხელს შემიშლის. რაც მთავარია, ხელი არ უნდა შემიშალოს ისეთმა ბანდიტურმა ორგანიზაციამ, როგორიც საბაჟოა, რადგან დღეს საბაჟოზე მხოლოდ პრივილეგირებული მეწარმეების ტვირთებს ატარებენ და თუ გაბედავ რამე პროდუქტის შემოტანას, ვიდრე არ დაგილპობენ, ან არ დაგაქცევენ, იქამდე არ გამოგიშვებენ. შეუძლებელია, ქვეყანაში პრივილეგირებულ ჯგუფებზე აგებულმა ეკონომიკამ იმუშაოს, შეუძლებელია, ადამიანი განვითარდეს, თუ მას თავისუფალი მოქმედების საშუალება არ აქვს.

**— ბატონო დემურ, ქვეყანაში უკვე არსებობს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, ანტიმონოპოლიური რეგულირების აღდგენა ამ სამსახურის რეფორმას გულისხმობს თუ, ახალი სააგენტო უნდა შეიქმნას?**

— საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, რა ჰქვია ამ სამსახურს, ან დამოუკიდებელია, თუ არა, მთავარი აქ ისაა, რაც საქართველოში 22 წელი არ ყოფილა — პოლიტიკური ნება, რომ ასეთმა სამსახურმა იმუშაოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ამ სამსახურში დასაქმებულებს ჰქონდეთ ფუნდამენტური უფლება, შეფასების, ანალიზის საფუძველზე, არგუმენტირებულად წარუდგინონ სასამართლოს ირიბი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც, მოითხოვენ ბაზრის სეგმენტაციასა და მონოპოლიის დაშლას.

**— რამდენიმე მაგალითს გეტყვით, ბელორუსიდან საქართველოში იმპორტირებული კვერცხი გაცილებით იაფია, ვიდრე ქართული. ამ თემაზე ვრცელი ჟურნალისტური მოკვლევაც გვქონდა, რომლითაც სქემა გავშიფრეთ — ქართული კვერცხი ძვირია იმიტომ, რომ უკრაინიდან, ან ბელორუსიდან შემოტანილს ყიდულობენ, რომელსაც საკუთარი კომპანიის შტრიხ-კოდს ადებენ... გარდა ამისა, საგარეჯოელი გლეხები გაიფიცნენ, რომლებიც სომხეთიდან იმპორტირებული ყურძნის გამო, პროტესტს აცხადებენ. უკაცრავად, მაგრამ საბაჟოზე არსებული განუკითხაობის მიუხედავად, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემოღება იმპორტის აკრძალვას ნიშნავს?**

— პირდაპირ ვთქვათ, იმპორტის არანაირი შეზღუდვა არ შეიძლება, რადგან ეს კატასტროფული შეცდომა იქნება. უბრალოდ, საბაჟოზე უნდა აღდგეს ხარისხის კონტროლი, რადგან დაუშვებელია, უხარისხო პროდუქცია ქვეყანაში დაუბრკოლებლად შემოდიოდეს.

> **ყველაზე არსებითი მომენტი ამ პოლიტიკაში არის ისეთი ბანდიტური ორგანიზაციის რეორგანიზაცია და მისი ცივილურ ფარგლებში მოქცევა, როგორიცაა საქართველოს საბაჟო, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა. ეს არის საბაჟო, რომელიც მხოლოდ ხელისუფლებასთან ასოცირებული, პრივილეგირებული ადამიანების ტვირთებს ატარებს განუკითხავად.**

> **2012 წლის მარტში, წინა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და საერთოდ, ტერმინალებიც მოსპო, რაც იმას ნიშნავს, რომ არანაირი განბაჟება საჭირო აღარ არის და ეს ამ გავლენიანი, მონოპოლიური ჯგუფების ინტერესებისთვის გაკეთდა.**

საბაჟო ყველაზე ვიწრო ადგილია, მაგრამ იოლად მოგვარებადი პრობლემაა, სწორედ ამ პრობლემის მოგვარება იქნება სერიოზული ინფორმაცია ბიზნესისთვის, რომ მთავრობა არ ხუმრობს და საერთო წესებს ამკვიდრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი ქმედება წინასწარვე, მარცხისთვის იქნება განწირული. არც ბელორუსული კვერცხი უნდა აიკრძალოს და საერთოდ, არაფერი უნდა აიკრძალოს, ყველამ დაუბრკოლებლად უნდა შემოიტანოს ნებისმიერი, განბაჟებული პროდუქცია, ოღონდ კანონის დაცვითა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

> **თუ მონოპოლისტის შემოტანილი არ არის, ბელორუსული კვერცხი ვერაფრით იქნება ადგილობრივ პროდუქციაზე იაფი, ეს თეორიულადაც შეუძლებელია. იაფი იმიტომაა, რომ იმპორტიორმა ინვოისები გააყალბა, არ გადაიხადა დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) და ათასნაირი მონოპოლიური თახსირობა ჩაიდინა, რითაც საბაჟო მხოლოდ მონოპოლიურ ჯგუფებს ემსახურება. აბა, გაბედეთ და, თქვენ შემოიტანეთ კვერცხი ბელორუსიდან, სანამ არ აყროლდება და სუნი არ აუვა, არავინ განგაბაჟებინებთ იმ კვერცხს! ან სომხური ყურძენი რატომ უნდა იყოს იაფი? როგორ, სომხეთიდან ყურძენი ხომ უნდა წამოიღოთ, ტრანსპორტირების ხარჯი ხომ უნდა გადაიხადოთ, ხომ უნდა განაბაჟოთ?**

მიუხედავად ამისა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იმპორტი უნდა აიკრძალოს, სომხური კი არა, იქნებ, ბერძნული ყურძნის შეძენა მინდა. მე, როგორც მომხმარებელს, არჩევანის უფლება უნდა მქონდეს და საბაზრო ეკონომიკის მთელი ბედნიერებაც სწორედ ეს არის. როგორც კი მომხმარებელს არჩევანის უფლებას შეუზღუდავ, როგორც კი მეწარმეს კონკურენციის გარეშე დატოვებ, ანუ ბაზარზე იმპორტს შეზღუდავ, კატასტროფულ ნაბიჯს გადადგამ. მთავარია, იმპორტი კანონის ფარგლებში მოექცეს, თორემ ბაზარი ღია უნდა იყოს და არავის უნდა ჰქონდეს მონოპოლიის უფლება. გამოსავალი ის არის, რომ საბაჟოს ნორმალური ფუნქციონირება, ასევე ხარისხის კონტროლი აღდგეს და არავის ექნება პრობლემა.

**— ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრობისას მიღებული კანონით, იმპორტირებული პროდუქცია ქვეყანაში ნულოვანი განბაჟებით შემოდის, საბაჟოზე მდგომარეობის მოწესრიგებაში ამ კანონის შეცვლას გულისხმობთ?**

— მსო-ში გაწევრიანებისას, გარკვეული ვალდებულებები ავიღეთ. ამ ქვეყანაში, 22 წელია, ეკონომიკა ხელისუფლებასთან ასოცირებული და მტაცებლური ჯგუფების საჯიჯგნადაა გადაქცეული. შედეგად, შესანიშნავი რესურსის მქონე მიტოვებული სოფელი და მეწარმე მივიღეთ, რომლებსაც შეუძლიათ, წესიერად აკეთონ საქმე. სამაგიეროდ, ხელისუფლების პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ, უმაღლესი ეშელონების კონკრეტულ ოჯახებთან იყო დაკავშირებული, ეს არ არის სახელმწიფო, ეს არის მტაცებლური ორგანიზაცია მცირერიცხოვანი ჯგუფებისთვის. მოდი, ჩვენს ისტორიაში, ერთხელ მაინც მოვიქცეთ ისე, როგორც მოიქცა დასავლეთი, რომელმაც საკუთარ ხალხს მისცა ნიჭისა და უნარის განვითარების საშუალება, რადგან თამაშის წესები დააწესა, სახელმწიფო კანონმდებლობაში მოაქცია, სადაც სამართალი გახადა უზენაესი და არა — კანონი. კანონი არის ბანდიტების მიღებული და თუ „ოცნება“ ამ ბანდიტურ კანონებს არ შეცვლის, ისევ საშინელ რუსულ „ტრუბაში“ ამოყოფს თავს.

**— იმპორტის შეზღუდვა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან წინააღმდეგობაში არ მოვა, რომელიც ევროკავშირთან უნდა გავაფორმოთ?**

— არანაირი პრობლემა ევროკავშირთან, ან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან არ იქნება. ყველა ქვეყანას აქვს უფლება, შეამოწმოს პროდუქცია, რათა ის ნაგავი, რომელიც მეათეხარისხოვანი ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი და „ნაციონალების“ მხარდაჭერით 9 წელია, შემოდის, აღარ შემოვიდეს!

## facebook NEWS



*გოჩა კელენჯერიძე*

### მიშა საშიშია — მიშა ციხეში!..

მე მჯერა, რომ ყველა ერთად მივაღწევთ სამართლიანობის აღდგენას საქართველოში, რომელსაც ხელი ვერ უნდა შეუშალოს კრიმინალურმა ნაცრევანშმა.

გულწრფელ და ეფექტურ მხარდაჭერად მხოლოდ კეთილი ნების ფხიზელ კრიტიკას მივიჩნევ და ვემიჯნები მლიქვნელი ტაშით მხარდამჭერებს. ადამიანის ნამდვილი დახმარებაც ხომ ეგ არის, რომ შეცდომა დროზე დაანახო და რაციონალური გეზის მიღწევაში დაეხმარო ფხიზელი კრიტიკით და ეს კი ყველა ჩვენთაგანის მამულიშვილურ ვალად მიმაჩნია, რადგან ბ-ნი ბიძინა ადამიანია და თუ იგი წარმოვიდგინეთ ყოვლისშემძლე უცხოპლანეტელ განძად, რომელიც ყველა ნატვრას შეგვისრულებს და გადაგვარჩენს ისე, რომ ჩვენ ფეხიფეხზე შემოდებულებმა არ ვუთხრათ ის, რასაც ცოდნა და სინდისი გვავალებს — საკუთარი ვალდებულება არ ვიგრძნოთ სამშობლოს, ერთმანეთისა და ადამიანის, ღმერთის წინაშე — თვალსადახელსშუა და უკვე მერამდენედ — ვინძლო უკანასკნელად — ერბოსქილისმპოვნელი გამდიდრებული გლეხის ოცნებასავით დაიმსხვრევა ჩვენი მთავარი სასიცოცხლო უფლება — ვიყოთ თავისუფალნი საკუთარ მიწაზე...

ქართველებო, გაძლიერდით — ბედნიერი ქართველების საქართველოს მოპოვებისთვის, რომელიც ოცნებიდან განხორციელებულ უფლებად უნდა აქციოს დარბაისელმა საქართველომ!..

## facebook NEWS

*ცირა გოდერძიშვილი*



### მიმართვა პრეზიდენტს და ნაც. უმცირესობას ამნისტიის კანონპროექტთან დაკავშირებით!

საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულობების შემდგომ, ერის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ციხისკადრების შემდგომ, ერის გენოციდის, ახალგაზრდა ბიჭების დაცხრილვის, უდანაშაულო ბიჭების კრიმინალებად მონათვლის, ნაწამები ბიჭების ფსიქიური და სხვა დაავადებებით დასნებოვნების, ოჯახების გაუბედურების, ერის გაღატაკების, ზ. ჟვანიას, პატარკაციშვილის, გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის, ვაზაგაშვილის, ენუქიძის და სხვა საქართველოს მოქალაქის მიმართ ჩადენილი დანაშაულობების შემდგომ, ერთხელ მაინც გეყოთ ვაჟკაცობა და მიიღეთ სამართლიანი გადაწყვეტილება — დროზე მოაწერეთ ხელი ამნისტიის აქტს!

ამნისტიის აქტი არის პირველი ნაბიჯი საქართველოში სამართლის სამართლიანობის აღდგენის!

საქართველო აღარ არის დიქტატორული რეჟიმის პირობებში და სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის პატიმართა მილიონიანი ოჯახის წევრები, ნაწამები პატიმრები ითხოვენ — სამართლიანობას — ამნისტიის აქტზე დროულ ხელის მოწერას!

ერთხელ მაინც, გააკეთეთ თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში სიკეთე, ამდენი დანაშაულობების შემდგომ!

თორემ, ძალიან დიდია საპროტესტო განწყობა...

## facebook NEWS



*გოგა ხაჩიძე*

„მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი ძმობილო?!“

— თუ მართლა არაფერს არ გიშლის, ჭეშმარიტად ლიბერალური მიდგომაა...

*თენგო ორჯონიკიძე*

ბატონო გოგა, რამე საახალწლო სიმღერას არ დაწერდით? აგერ, ბიძინას წელიც მოგვადგა კარზე და ივანის შვილების და რომ სიმბოლურად მიგეძღვნათ რამე? ოღონდ, არაინტელექტუალური იყოს, თორე დაგიჭერენ.



## facebook NEWS

*ნატო გოგელია*



### რუსთავის №6 ციხეში პატიმარი ჩამომხრჩვალი იპოვეს

2012 წლის 24 დეკემბერს, 15:45 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა 6 დაწესებულებაში დაფიქსირდა სავარაუდო სუიციდის შემთხვევა. ინფორმაციას ამის შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტრო ავრცელებს. „გურია ნიუსის" ინფორმაციით, პატიმარი 28 წლისაა. **„ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციით, მსჯავრდებული თ.კ. უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორმა, #1 ახალი სარეჟიმო კორპუსის #4 საკანში, ჩამომხრჩვალი იპოვა. მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა მსჯავრდებულის გადარჩენა ვერ მოხერხდა. თ. კ. სასჯელს იხდიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო.**

**მსჯავრდებულის ოჯახის წევრებს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ეცნობათ აღნიშნული ფაქტის შესახებ. ამავდროულად, დაუყოვნებლივ მოხდა საგამოძიებო ორგანოების ინფორმირება და ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება",** — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

## facebook NEWS



*კონსტანტინე ჩიკვილაძე*

გაეცანით ნიუსს, გაიგეთ, რისი და რატომ ეშინია რაულ ხაჯიმბას და აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთ გზას ნათლად დაინახავთ, თუ ვინმემ მაინც ვერ გაიგო, მომწერეთ, აგიხსნით.

### რაულ ხაჯიმბას საქართველოს დსთ-ში დაბრუნება აშინებს

ოკუპირებული აფხაზეთის ოპოზიციური პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმის" ლიდერი რაულ ხაჯიმბა დეფაქტო მთავრობას საქართველოსთან მიმართებაში აკრიტიკებს. როგორც „ამერიკის ხმა" იუწყება, რაულ ხაჯიმბამ „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმის" ყრილობაზე განაცხადა, რომ „დღეს საქართველოშიც კი უკეთ გაერკვნენ ომის პრობლემატიკაში".

**„ჩვენები კი ამ ყველაფერს ივიწყებენ, თუ საიდან და როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. დღეს საქართველოს პასუხისმგებლობაზეც კი არ საუბრობენ. ჩვენ თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ ჟენევის მოლაპარაკებების მიმართ. ჟენევაში ჩადიან ე.წ ავტონომიის წარმომადგენლები და ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო, პრეზიდენტი, პოლიტიკური ბომონდი, ამის თაობაზე არაფერს ამბობენ. ახლახან ბელორუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ მიგვითითა, როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ უნდა მოიქცეს საქართველო და სად უნდა დააბრუნონ",** — განაცხადა ხაჯიმბამ. ამასთან, ხაჯიმბა კითხვას სვამს – **„როგორ იმოქმედებს აფხაზეთზე თუ საქართველო დსთ-ში გაწევრიანდა".**

**„წარმოიდგინეთ, რომ საქართველოს ისევ შეიყვანენ დსთ-ში. დსთ-ს წევრი ქვეყნებიდან კი ჩვენ მხოლოდ რუსეთმა გვაღიარა. როგორ იმოქმედებს ეს მომავალში აფხაზეთთან მიმართებაში?!",** — აღნიშნა ხაჯიმბამ.



*ზურა დათუაშვილი*

ხაჯიმბა 20 დეკემბერს პარტიის ყრილობაზე გამოვიდა სიტყვით და აშკარად იგრძნობოდა საგანგაშო ნოტები...



*კონსტანტინე ჩიკვილაძე*

რა იწვევს განგაშს, ხომ ხვდებით? საქართველოს რუსეთთან მეტი ინტეგრაცია, შესაბამისად, გასაღებიც აქ უნდა ვეძებოთ აფხაზეთის დასაბრუნებლად, იგივე სამაჩაბლოსაც ეხება.



*ზურა დათუაშვილი*

დავიღალე ფორუმებზე მაგის მტკიცებით ორი წელია და გინების მეტი არაფერი დამიმსახურებია. რუსეთი თუ ახსენე, ყველას მაშინვე კრემლის ჩექმა ელანდება და აგენტის იარლიყი გარანტირებული გაქვს.



*კონსტანტინე ჩიკვილაძე*

დიახ, ბატონო, ასეა. ეს ყველაფერი გაკეთდა საქართველოს მთავარი დამაქცევრის აშშ-ს პირდაპირი დავალებით, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ, ფორუმებზე სპეციალური დავალებით არიან „მივლენილი" სხვადასხვა ჯიშისა და ინტელექტის, ძირითადად განუვითარებელი და უწიგნური ახალგაზრდები და არა მხოლოდ ახალგაზრდები, რომლების ქმნიან იქ ამინდს, ფონს, ისეთს, როგორიც აწყობს სააკაშვილსა და ამ ხელისუფლებას. მათ კარგად იციან, რამხელა მნიშვნელობა აქვს იქ ნათქვამ სიტყვას, მით უმეტეს, როდესაც ასეულობით იუზერი ერთი და იგივეს „აწვება". ფორუმ გე-ზე, განსაკუთრებით ფორუმ.გე-ზე, შესულ, გაუთვითცნობიერებულ ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ყველა ასეთივე პრიმიტიულად და პროამერიკულად მოაზროვნეა, როგორც ის ხალხის მასა, რომელიც ხელოვნურად ქმნიან ასეთ ფონს. ეს სერიოზული პრობლემაა საქართველოსთვის და საჭიროა ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ მოხდეს პროქართული, რეალისტური იდეოლოგიის მქონე იუზერების მასიური შეყვანა ამ ფორუმზე, იმისთვის, რომ ამ პრიმიტივებს წავართვათ ინიციატივა ხელიდან.

# შაშკინის მინისტრობისას დაზარალებული დირექტორები რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას მოითხოვენ



## სკოლის დირექტორები სკანდალურ ფაქტებს ახმაურებენ!

ნელი თორდია

**შაშკინის მინისტრობისას დაზარალებულმა დირექტორებმა საინიციატივო ჯგუფი შექმნეს და რეპრესიების მსხვერპლად აღიარების მოთხოვნით, განათლების სამინისტროს მიმართეს. ავლაბარში, 84-ე საჯარო სკოლის დირექტორი ერთ-ერთია, ვინც განათლების სამინისტროს საქმის სასწრაფოდ შესწავლას ითხოვს. 84-ე სკოლა, 2006 წელის 18 მარტს, ხანძარმა გაანადგურა და ვინაიდან სასწავლო პროცესის გაგრძელება შეუძლებელი იყო, 600-ზე მეტი მოსწავლე 93-ე სკოლის ამორტიზირებულ შენობაში გადაიყვანეს. მაშინ თბილისის მერმა და ისანი-სამგორის რაიონის დეპუტატმა, ბიძინა ბრეგაძემ სკოლის დაწვაში ოპოზიციონერი დეპუტატი ვალერი გელაშვილი დაადანაშაულეს, მოტივით — გელაშვილს სკოლის ტერიტორიის შეძენა სურდა და მას შემდეგ, რაც განათლების სამინისტროსგან უარი მიიღო, შენობა დაწვა, რათა სასურველი ტერიტორია ხელში ჩაეგდოო. რეალურად, ვინ იყო დაინტერესებული სკოლის ტერიტორიის შეძენით და რას გადააყოლეს დამწვარი სკოლის დირექტორი „ვერსიას" 84-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი გიორგი შავლაძე უამბობს:**

— 84-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული, სერტიფიცირებული დირექტორი ვიყავი. თანამდებობიდან 2011 წლის ზაფხულში გამათავისუფლეს და მიზეზად საატესტატო გამოცდების დაბალი მაჩვენებელი დაასახელეს, თუმცა რეალური მიზეზი სხვა იყო... გემახსოვრებათ, სკოლა 2006 წელს დაიწვა, რასაც ოპოზიციონერ დეპუტატს, ვალერი გელაშვილს აბრალებდნენ. სკოლის რეაბილიტაცია 2007 წელს დაიწყეს, მაგრამ მალევე გააჩერეს მოტივით, თითქოს, ინვესტორი დამწვარი სკოლის ტერიტორიას ყიდულობდა და სანაცვლოდ, სკოლას უკეთეს ადგილას გვიშენებდა. საუბარი იყო მეტრო „ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიაზე. მშენებლობის დასაწყებად საჭირო იყო პროექტის განახლება, რომელიც მერიის შპს-ს უნდა განეხორციელებინა. მისი ხელმძღვანელი იყო მანუჩარ მახათაძე. ხუთჯერ გავიდა პროექტი კომისიაზე, მაგრამ მიღებაზე ყველა წევრმა უარი თქვა. როგორც მითხრეს, უგულავას უთქვამს, არავითარი სკოლა, ეს მიწა მე მჭირდება და აქ სკოლა არ უნდა აშენდესო. არც მალავს ამას არქიტექტორი, სადაც გინდა, იქ ვიტყვიო. მაშინვე ვთქვი, რომ სკოლის რეაბილიტაციისთვის ყველაფერს გავაკეთებდი. გამოვუცხადე პედაგოგებსაც, მშობლებსაც და ბავშვებსაც, რომ არ დავნებდებოდი და დავიწყე ბრძოლა... ვწერე წერილები სამინისტროში, რესურსცენტრსა და „ნაცმოძრაობაში"... სწორედ ეს გამახსენეს თანამდებობიდან მოხსნის მერე — ვერც სკოლა გადაარჩინე და შენც გადაყევიო. წარმოდგენა არ მაქვს, ვისია ამჟამად ის ტერიტორია, მაგრამ ვიცი, რომ გვერდით საცხოვრებელი სახლის შენდება. ვერ დავიბრალებ, რომ პოლიტიკური ნიშნით გამათავისუფლეს, რადგან სრულიად ნეიტრალური ვიყავი, მაგრამ ვინაიდან საკვანძო საკითხებში დავუპირისპირდი მმართველ პარტიას, „ნაციონალებისთვის" მიუღებელი აღმოვჩნდი.

— **როგორც ვიცი, სკოლაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებითაც გქონდათ უთანხმოება განათლების სამინისტროსთან.**

— შაშკინი კარგი მენეჯერი იყო და იცოდა, სკოლაში როგორ კეთდებოდა ფული. ჩემს სკოლაში ორჯერ ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და მიღება-ჩაბარების აქტზე არც ერთხელ არ მოვაწერე ხელი იმიტომ, რომ ჩატარებული რემონტი უხარისხო იყო და არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. ვიცოდი, ხელს თუ არ მოვაწერდი, ფულს ვერ ჩარიცხავდნენ და ცუდ დღეში ჩაცვივდებოდნენ, მაგრამ იმ საბუთებზე ხელი რომ მომეწერა, შეიძლება, დღეს ციხეში ვყოფილიყავი. სკოლის რემონტზე დასაქმებული ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი რაღაც პერიოდი დაჭერილი ჰყავდათ და, მოგვიანებით, თავად ამ ადამიანმა აღიარა, რამდენი გადაახდევინეს თავისუფლებისთვის. ჩემი გათავისუფლების შემდეგ, დირექტორად პოლიციის სამმართველოდან განყოფილების უფროსი მოიყვანეს და იმ პერიოდში ჩატარდა 200 000 ლარამდე ღირებულების რემონტი. რემონტის ეტყობა რამე სკოლას?! მარტო რემონტი კი არა, რაც ფულთან იყო დაკავშირებული, ყველაფერს შაშკინი და „ნაციონალები" აკონტროლებდნენ. მათ გარეშე ერთ ლურსმანსაც ვერ შეიძენდი. უსაშველოდ იყო „გაბერილი" სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის გამოყოფილი თანხები და არც ერთ სკოლაში არ შესულა შესაბამისი რაოდენობის სახელმძღვანელოები. აღარაფერს ვიტყვი ვიდეოკამერებში გაკეთებულ ფულზე, უბრალოდ, მაინტერესებს, შაშკინი ახლა იქიდან რომ გზავნის მესიჯებს, ჩემს შვილს ვიღაც დაემუქრა, ან მე უნდა მესროლა მისთვის და ან იმასო, იმაზე რატომ არ ფიქრობს, თვითონ რამდენი ბავშვი გააუბედურა? რამდენი ადამიანი დატოვა უმუშევარი? რამდენს დაადებინა ბანკის ვალი და სახლ-კარი გააყიდვინა? არსებობდა შაშკინის სიტყვიერი ბრძანება, რომლის ძალითაც, მის მიერ გათავისუფლებულ დირექტორს სამსახურში ვერავინ მიიღებდა. ასევე ყველა სკოლას გადასცა ცირკულარული წერილი — ესა და ეს ბავშვები ფიქსირდებიან მიტინგებზე და არც ერთმა სკოლამ არ მიიღოთო.

**გიორგი შავლაძემ განათლების სამინისტროს მოწოდებაც გაითვალისწინა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით, სკოლის სამეურვეო საბჭოს მიაკითხა, რადგან იგი მინისტრის მიერ დანიშნული კი არა, საბჭოს მიერ არჩეული დირექტორი იყო, თუმცა, როგორც ბატონი გიორგი ამბობს, სკოლას ამჟამად, მანდატური ქალბატონი ხელმძღვანელობს, რომელმაც ოპერატიულად განიხილა მისი წერილი, რისი უფლებაც არ ჰქონდა, შეაგროვა ხელმოწერები, რომ იგი სკოლას არ სჭირდება და პირდაპირ გამოუცხადა, შეგიძლიათ, დაბრუნებისთვის იბრძოლოთ, მაგრამ მე დარჩენისთვის ვიბრძოლებო. შავლაძისვე ინფორმაციით, დღეს თბილისში, დირექტორის თანამდებობაზე, 25 ბადრაგი და უამრავი მანდატური მუშაობს.**

**საჯარო სკოლებიდან გათავისუფლებულ დირექტორთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, 58-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი დავით ფაღავა კი აცხადებს, რომ** დღეისთვის ნაციონალურ მოძრაობას დარჩა მხოლოდ ორი დასაყრდენი ძალა: თვითმმართველობები და სკოლებისა თუ ბაგა-ბაღების დირექტორები, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განათლების სისტემაში ყველაზე მეტი ამომრჩეველია.

— „ნაციონალები" თავიანთ დირექტორებს აგულიანებენ, ხომ ხედავთ, ვერავინ გეხებათ, მყარად იდექით, ჩვენ მალე დავბრუნდებით და მანამდე თუ რაიმე საფრთხე შეგექმნათ, ჩვენ პოლიტიკურ დევნას დავარქმევთ, თქვენ კი განგაში ატეხეთო. საკუთარ დირექტორებს ხომ ასე ეფერებიან, ჩვენთან ურთიერთობა კი ჩვენი სისხლის დალევის პათოსით მიმდინარეობდა — დაგიჭერ, ციხეში ჩაგაგდებ, ერთი ადგილის თამაშს შეეშვი, „ვი უ მენია ბუდეტე პახატ" და ასეთებს, შაშკინისგან მიჩვეულები ვიყავით. ზოგადად, ჟარგონის ენაზე გველაპარაკებოდა. კარგად შემუშავებული მოსმენა-დასმენის ინსტიტუტის წყალობით, ეს ადამიანი ფლობდა სრულ ინფორმაციას თითოეულ დირექტორზე და, ბუნებრივია, ჩემი შეხედულებებიდან გამომდინარე, მისთვის მიუღებელი აღმოვჩნდი. არ მომწონდა ის, რომ განათლების სამინისტრო დახურული ტიპის დაწესებულებად იყო ქცეული და ყველა შეშინებული სახით დადიოდა, რომ ჩემი კოლეგა ქალბატონები სამინისტროს მონსტრადქცეული ადმინისტრაციის უფროსთან გენრიეტა მუმლაძესთან შესვლამდე, ენის ქვეშ „ვალიდოლს" იდებდნენ, რადგან ყველას ჩხრეკდნენ. ქალებს კაცები ჩხრეკდნენ. იმდენად ეშინოდათ, ვინმეს ჩამწერი მოწყობილობა არ შეეტანა, რომ ერთ-ერთი სკოლის დირექტორს ჩამწერის ძებნაში შარვალი ჩახადეს. როგორ უნდა მომწონებოდა ეს ყველაფერი?

— **სკოლის დირექტორებს ამაზე რა რეაქცია ჰქონდათ?**

— ყველა გაოგნებული იყო, მაგრამ სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ჩემი გათავისუფლების მიზეზს გეტყვით — სკოლაში დარღვევა რომ ვერ მიპოვეს, შაშკინმა გამოაცხადა, სამინისტროში დაიდგმება ლოტოტრონი, ყოველ დილას დატრიალდება და რომელ დღესაც რომელი სკოლაც ამოვა, იქ მონიტორინგის ჯგუფი შევაო. ცხოვრებაში ლატარიაში არაფერი მომიგია, მაგრამ შაშკინის ლოტოტრონში ძალიან იღბლიანი აღმოვჩნდი — კვირაში სამი დღე ჩემი სკოლა ამოდიოდა და ყოველ მესამე დღეს გენინსპექცია მყავდა. აშკარა იყო, სამინისტროს ჩემი თავიდან მოცილება ჰქონდა გადაწყვეტილი. ასეც მოხდა.. ჩემი წამოსვლის შემდეგ სკოლა, ფაქტობრივად, დაიშალა. ერთი წლისთავზე კი, 43-ე საჯარო სკოლას შეუერთდა.

— **სასამართლოში სარჩელის შეტანაზე არ გიფიქრიათ?**

— ბატონი შაშკინი იმდენად ხშირად გვიმეორებდა, რომ ყველა სასამართლო მისია და რამდენიც უნდა იჩივლონ პედაგოგებმა, ვერაფერს გახდებიან, რომ ეს სურვილი არც გამჩენია. მე და ჩემს მდგომარეობაში მყოფმა ადამიანებმა შევქმენით რეპრესირებულ დირექტორთა ჯგუფი. მარტო თბილისიდან 70-ზე მეტი სკოლის დირექტორია, ზოგი ჩამოსვლას ვერ ახერხებს და სოციალური ქსელებით გვეკონტაქტება.

ვითხოვთ, გადაიხედოს შაშკინის ბრძანებით გათავისუფლებული დირექტორების საქმეები, გაირკვეს მათი ბრალეულობა და მიეცეს ფაქტებს სამართლებრივი შეფასება. უკანონოდ გათავისუფლებული და პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან წამოსული დირექტორები კი ტოტალურად აღიარებული სისტემის რეპრესიების მსხვერპლად სცნონ, კანონმდებლობის შესაბამისი ლეგიტიმაციის მქონე დირექტორებს შესთავაზონ ის ადგილები, რომლებიც ამჟამად დაკავებული აქვთ ნაკლები ლეგიტიმაციის მქონე დირექტორებს ან მოვალეობის შემსრულებლებს.

# პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას ბოლნისელებიც მოითხოვენ



## რეპორტაჟი ბოლნისიდან

მერაბ ბერიძე

**არჩევნებისშემდგომი ბოლნისი, სხვა რაიონებისგან განსხვავებით, სიმშვიდით გამოირჩევა. აქ არ ყოფილა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ბრძოლა და გაწევ-გამოწევა. პატარა ქალაქში ყველა ერთმანეთს იცნობს და როგორც ჩანს, ურთიერთობებს უფრთხილდებიან. ჩვენთან საუბრისას, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა კანდიდატმაც აღნიშნა, რომ ადგილობრივი გამგებელი „ნორმალურად“ იქცევა და მას შესაბამისად პასუხობენ. ამ ფონზე, ბოლნისში ჩასვლა და სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების ადგილზე განხილვა გადავწყვიტეთ.**

დავიწყოთ ბოლნისის საავადმყოფოს ერთ-ერთი მიტოვებული კორპუსიდან, სადაც სოციალურად დაუცველი ოთხი ოჯახია ჩასახლებული. მათ უახლოეს ხანში ბინებით დაკმაყოფილებას ჰპირდებიან, რადგან ტერიტორია გაყიდულია. მანამდე, იგორ მინაგოვი და მეგი მახარაშვილი, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ.

**მეგი მახარაშვილის** თქმით, ბინის ქირას რომ ველარ იხდიდნენ, რაიონის გამგებელმა დროებით, აქ შემოასახლა: **„საცხოვრებელი პირობები არ ვარგა, რა ვქნათ, სხვა წასასვლელი არსად გვეგულება. აი, შეხედეთ, როგორ კედლებში გვიწევს არსებობა. გათბობაზე, აბანოზე და სხვა პირობებზე საუბარიც არ არის. დროებით შემოგვიყვანეს და დაგვაიმედეს; სატყეო სამმართველოსთან, სოციალურად დაუცველებისთვის კორპუსის მშენებლობა თითქმის დასრულებულია და იქ შეგიყვანთო. ვნახოთ, სიტყვას შეასრულებენ თუ არა. ცოლ-ქმარი არსად ვმუშაობთ და ქირის ფულს ვერ გადავიხდით“.**

ოჯახის უფროსი ამბობს, რომ სადმე სამუშაო თუ გამოჩნდება, არ ეზარება და ყველგან მიდის: **„მშენებლობა იქნება, შეშის დაჩეხვა, ნაგვის გატანა თუ სხვა, უარს არცერთ საქმეზე არ ვამბობ. ორ ბავშვს გაზრდა სჭირდება. სოციალურად დაუცველების შემწეობა, ოჯახზე თვეში ასორი ლარი, საერთოდ არაფერში გვყოფნის. ძირითადად, ჩემი ფიზიკური მუშაობით გავდივართ ფონს. აი, ახლაც, ვიყავი გასული, ვერაფერი ვნახე და ხელცარიელი დავბრუნდი. ერთს შეშა ჰქონდა დასაჩეხი, მივედი და უკვე დაუჩეხავთ; დამასწრეს, ასეც ხდება ხოლმე. აქ ჩემნაირი სხვაც ბევრია“.**

**იგორ მინაგოვი** ხელისუფლებას სთხოვს, რომ ჭერით დროულად დააკმაყოფილონ: **„დაპირებული ბინა მომცენ ან თუნდაც, სხვაგან შემასახლონ და ქირის ფული გადამიხადონ. იმედია, რაღაცას იზამენ და ქუჩაში ასე არ დაგვტოვებენ. საავადმყოფოს ტერიტორია, ეს კორპუსები შესყიდულია და აქ დიდხანს არ გაგვაჩერებენ. სამსახურისთვისაც ბევრჯერ მივედი გამგეობაში. თანამშრომელმა, პეტრე დანელიამ ჩემი მონაცემები ჩაიწერა და დღემდე არ დაურეკავს. ამ დღეებშიც ვიყავი მისული. ჯერ არაფერია და თუ რამე გამოჩნდება, შეგატყობინებთო“.**

ძველი თუ ახალი დროების დევნილები ბოლნისშიც მრავლად არიან. სოხუმელი ლიდია პლუტოლიდი აქ მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც თბილისში, ყოფილი სკოლის შენობიდან ძალით გამოასახლეს. პატარა ქალაქში გათხოვილ გოგოსთან თავი შეაფარა და მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში, უჯამაგიროდ მუშაობს.

**ლიდია პლუტოლიდი: „ეროვნებით უკრაინელი ვარ, ზაპაროჟიეს ოლქში დავიბადე და გავიზარდე. 1966 წელს დავოჯახდი და იქიდან მოყოლებული, 1993 წლამდე სოხუმში ვცხოვრობდი. ქმარი აფხაზეთში მოიკლეს, მაშინ ამას განსაკუთრებული მიზეზი არ სჭირდებოდა. არ იბრძოდა, პირველი ჯგუფის ინვალიდი იყო. რაღაც ვერ თქვა იმათ მოსაწონად და სეპარატისტებმა ადგილზე გაათავეს. შვილი უგზო-უკვლოდ, ომის მერე დამეკარგა. ჯერ რუსეთში იყო, მერე ბელორუსში და 1995 წლიდან ვერსად ვპოულობთ. თავად ავტომატის წინ სამჯერ ვიდექი, ოქროს და ფულს ითხოვდნენ. არავის ვუსურვებ იმას, რაც გადავიტანე. ომის დამთავრებისთანავე, ოქტომბერში, სოხუმში სახლი დაგვიწვეს და ქუჩაში დავრჩით. ამავე დროს, ხუთი მეზობელი მოკლეს, ყველანი ქართველები. ამის შემდეგ უკრაინაში დავბრუნდი ნათესავებთან. ხოლო იქიდან თბილისისკენ წამოვედი. ჯერ უახლოეს ნათესავებთან ვცხოვრობდი, მერე დევნილები მიტოვებულ ბინაში შევედით. ბოლოს, ვარკეთილის მეოთხე მიკრორაიონში, რუსულ სკოლაში ვცხოვრობდით, როგორც ძველი, ასევე ახალი ომის დევნილები. გასული წლის 24 იანვარს, ძალის გამოყენებით გამოგვასახლეს. ზამთარში, დილის შვიდ საათზე, სამასი სამართალდამცავი გამოგვიგზავნეს და ბინებიდან გამოგვყარეს. ბოლნისში ნათესავებთან თავი შევაფარე. დევნილების სამინისტროშიც ვიყავი; შემპირდნენ, იანვრის მერე საბინაო პრობლემას მომიგვარებენ. არცკი ვიცი, ამას როგორ გააკეთებენ. სიმართლე გითხრათ, ამ დაპირებებისგან დავიღალე. სამი განცხადება დავწერე, მათ შორის პრეზიდენტზე, შედეგი არ არის“.**

მეზობლის მაღაზიაში ხელფასს არ უხდიან. ამბობს, რომ საკუთარი ნებით არაფერს იღებს: **„სხვანაირად მეხმარებიან, რაღაცებს მაწვდიან ხოლმე. ფეხი მოვიტეხე და ხანდახან, ჩემთვის წამლებს ყიდულობენ. სამი თვე ვიწექი და არ მიმატოვეს, რითაც შეეძლოთ, მეხმარებოდნენ. თან, აქ, მაღაზიაში ყოველთვის არ მოვდივარ. ამას ვაკეთებ, როცა მთხოვენ“.**

ქალბატონი ლიდია ახალ ხელისუფლებას სთხოვს, რომ სადმე საცხოვრებელი კუთხე გამოუნახონ: **„ჩემი ოთახი მინდა მქონდეს, მეტი არაფერი. გოგოს სამი შვილი ჰყავს, ძალიან დიდი ოჯახია და შეწუხება მეუხერხულება, თუმცა არ ვნებდები და ბრძოლას ვაგრძელებ. ბევრ დაპირებას იძლევიან და ვნახოთ, როგორ შეასრულებენ. ვიცი, რომ თბილისში დევნილები თვითნებურად ბინებში შევიდნენ, სადაც არც წყალია, არც — გაზი და ელექტროენერგია. მე სად შემიძლია ასეთ ადგილებში შესვლა? იმ სიცივეში ვინ მომიტანს წყალს ან სხვა რაიმეს? ალბათ გახსოვთ, დეკლარაცია დაგვაწერინეს სოხუმში დატოვებულ ქონებაზე, რისთვის? ეს ვის სჭირდებოდა? აფხაზეთში სიამოვნებით დავბრუნდებოდი. მთელი ცხოვრება იქ ვმუშაობდი და ყველა ნაცნობ-მეგობარი იქ მყავდა. დღესაც, როგორც უახლოესი ადამიანები, ისე ვხვდებით ერთმანეთს. სოხუმში დაბრუნების იმედი 2008 წლამდე მქონდა. ახლა, ეს მოლოდინი ნაკლებია. მთავრობებს ერთმანეთში არანაირი თანხმობა არ აქვთ და ჩვენ ვინ მოგვხედავს, დაგვაბრუნებს? ამ დროს, უბრალო ხალხმა კი დიდი ხანია მოილაპარაკა და შერიგება უნდა“.**





ბოლნისის სათნოების სახლი, მარჩენალ-დაკარგულ ცხრა მოხუცს ემსახურება. ისინი მომსახურებით კმაყოფილნი არიან. დაწესებულებას რამდენიმე ადამიანის მიღება კიდევ შეუძლია. აქვე, ყოველდღიურად რაიონის სოციალურად დაუცველებიც მოდიან და ცხელი სადილი მიაქვთ. ექთანი **ირინა რეხვიაშვილი** ამბობს, რომ სათნოების სახლს ადგილობრივი გამგეობა აფინანსებს: **„ელემენტარული პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი. კარგი იქნება, აბანოს თუ გაარემონტებენ. დირექტორი, ვაჟა კენჭოშვილი ბევრს ცდილობს, მაგრამ დახმარება სჭირდება. შუქი, გაზი, წყალი გვაქვს, გადასახადებს სახელმწიფო იხდის. სათნოების სახლში ბიბლიოთეკა არ არის და წიგნებს, გაზეთებს არავინ გვაწვდის. ჩვენთან მხოლოდ ბოლნისის გაზეთი მოდის, სადაც ადგილობრივი ახალი ამბები იწერება. აქ ყოფილი მასწავლებლები, განათლებული ადამიანები არიან და კითხვა უნდათ“.**

ამბობს, რომ ასი ლარი აქვს ექთნის ხელფასი: **„შრომა დიდია, ანაზღაურება — ნაკლები. საწოლში ჩავარდნილებიც გვყავს; ყურადღებას არ ვაკლებთ და ბოლომდე გვერდით ვუდგავართ. მოხარულები ვიქნებით თუ ჩვენს შრომას დააფასებენ და ცოტა ხელფასს მოგვიმატებენ“.**

**მზია მეზურიშვილი**, მცირეწლოვან შვილთან ერთად, დროებით, შეასახლეს სათნოების სახლში: **„ბათუმიდან ვარ და აქ ქმარს ჩამოვაკითხე ალიმენტის საკითხის მოსაგვარებლად. ამასთან, ყოფილი მეუღლის ბინას ვითხოვ, რომ შვილი ქუჩაში არ დამრჩეს. ჩემი მდგომარეობის შესახებ ყველანი საქმის კურსში არიან და შეძლებისდაგვარად, მეხმარებიან“.**

პენსიონერი **ნინო რეხვიაშვილი** მთელი ცხოვრება დაწყებითების პედაგოგად მუშაობდა. 2005 წლის შემდეგ სათნოების სახლში აღმოჩნდა: **„მარტოხელა ვიყავი და სხვა წასასვლელი არსად მქონდა. აქ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. თავზე არაფერი გადაგვდის, მაგრამ არც რაიმე გვაკლია. ძალიან კეთილი, მოსიყვარულე თანამშრომლები არიან და თბილი, ოჯახური გარემო არის შექმნილი. ფუფუნება ვის არ უნდა, მაგრამ არსებულ რეალობასაც ვითვალისწინებთ. პრობლემებს რაც შეეხება, სათნოების სახლი ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის, რაც ფუნქციონირებს რემონტი არ გაკეთებულა. დირექტორი ძალ-ღონეს არ იშურებს, მაგრამ ყველაფერს ვერ გაწვდება. დახმარება გვჭირდება, რაღაც-რაღაცები შესაკეთებელი და გასაახლებელია. საერთოდ, ასეთი ტიპის სათნოების სახლები შემოწირულობებით არსებობს; სამწუხაროდ, არავინ გამოგვეხმაურებია. „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი წარმოშობით აქაურია და ჩვენსკენ არცკი გამოუხედავს. და კიდევ: ვთხოვთ ხელისუფლებას, ადგილობრივი გამგებელი გიორგი დაუშვილი თანამდებობაზე დაგვიტოვონ. მისი ყოველი დღე იმაზე ფიქრით იწყება, გაჭირვებულ ადამიანებს როგორ დაეხმაროს. კარგი იქნება, თუ ჩვენს დამოკიდებულებას გაითვალისწინებენ“.**

ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბანში მთავარი გასაჭირი უმუშევრობაა. ამის გამო ახალგაზრდები ოჯახებს ვერ ქმნიან. შექმნილი მდგომარეობა ყველაზე მტკივნეულად სოფლის სკოლაზე აისახება, სადაც მოსწავლეების რაოდენობა კატასტროფულად არის შემცირებული. რაჭისუბნის საჯარო სკოლის დირექტორი **გულნაზ რეხვიაშვილი** ამბობს, რომ მომავალი წლის სექტემბერში პირველ კლასში მხოლოდ ერთ ბავშვს ელიან.

**„ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები დაუსაქმებელნი არიან. ხელფასი რომ არ აქვთ, დაოჯახებაზე უარს ამბობენ. საკუთარ თავს რომ ვერ არჩენს, ცოლი-შვილი როგორღა დაიმატოს? სადმე მშენებლობა თუ გამოჩნდება, მაშინვე აკითხავენ. სხვათა შორის, რაჭველები ხელმარჯვეები არიან და ნებისმიერ სეზონურ სამუშაოებზე უარს არ ამბობენ. ოჯახები რომ არ იქმნება, ეს ყველაზე მტიკვნეულად სკოლის ცხოვრებაზე აისახება. ამჟამად, სულ 75 მოსწავლე გვყავს და აქედან, 15 აზერბაიჯანელია, ჩვენი მეზობელი სოფლებიდან დადიან. რაჭისუბნის მკვიდრი, 60 ბავშვია დარჩენილი. გაისად ადგილობრივი დასახლებიდან მხოლოდ ერთ ბავშვს ველოდებით; ისევ აზერბაიჯანელები თუ შეგვივსებენ კონტინგენტს, თორემ პირველი კლასი საერთოდ არ გვეყოლება“.**

სოფლის სკოლას ცენტრალური გათბობა არ აქვს და შეშის ღუმლებით თბება: **„შეშა საკმარისად გვაქვს. საკლასო ოთახებში ტემპერატურა ნორმალურია და ამაზე მეტიც არის.**

*დასასრული მე-10 გვერდზე*

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

# „ასეთი საშინელი წელი ჯერ არ გვქონია, ხალხს ტონობით მანდარინი დაკრეფილი ულაგია „პადვლებში“ და ულპება!“

**მანდარინის მოსავლის რეალიზება, ყველა სხვა გასულ წელთან შედარებით, სოფლის მოსახლეობას განსაკუთრებულ თავსატეხად ექცა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ციტრუსის უხვმოსავლიანობით გამორჩეულ სოფლებში მოსახლეობა უკვე ზარალზე ალაპარაკდა, რაც ურეალიზაციოდ დარჩენილი, კარგად ნაწამლ-მოვლილი მანდარინისა და ფორთოხლის გაუსაღებლობით მიადგათ.**

**„კიდევ კარგი, ხრამი მაქვს აქვე, ახლოს და ვყრი გაფუჭებულ ციტრუსს, ზოგი მაგის გამო ტრაქტორს ქირაობს და ფულს იხდის. ასეთი საშინელი წელი ჯერ არ გვქონია, არ ვიცი, რა ხდება, ამბობენ, საბაჟოზე გადასახადებმა მოიმატა“,** — გვეუბნება მერიის თემის სოფელ ნაღობილევში მცხოვრები დიმა ბაქანიძე, — **ხალხს ტონობით მანდარინი აქვს დაკრეფილი და ულაგია „პადვლებში“ გასაყიდად. ველოდებით, იქნებ ვინმე მსურველი გამოჩნდეს, მაგრამ ჯერ არავინ მოსულა. მე, პირადად, 8 ტონა მაქვს დაკრეფილი და არც ერთი კილო ჯერ არ გამიყიდია. თავს მაინც ინახავდეს კარგად. 500 ლარი მარტო მკრეფავებს მივეცი, ყუთები ნისიად ავიღეთ და 3 ლარი თითოში გადასახდელი მაქვს. ფაქტობრივად, ვზარალდები. მოსავალი წელს, შარშანდელთან შედარებით, გაცილებით მეტია, მაგრამ რეალიზაცია და ფასები, ცუდი და უკიდურესიც“.**

თანასოფლელის მსგავსად, ციტრუსის წლევანდელ კარგ მოსავალსა და კატასტროფულად დაბალ ფასებზე საუბრობს გურამ ღლონტი, რომელსაც მოწეული 13 ტონა მოსავლიდან ჯერ მხოლოდ 2 ტონა აქვს რეალიზებული, ისიც უმაღლესი ხარისხისა და უმცირეს ფასში:

**„შარშან რეალიზაციაც მოწესრიგებული იყო და ფასიც 60 თეთრამდე. 6 ტონა მანდარინი მქონდა შარშან და არც ერთი კილო არც გადამიყრია და არც გაუყიდავი დამრჩენია.**



უკრაინაში ექსპორტი საბაჟოზე ფასის მომატების გამო შეჩერდა, რას ჰპირდება სოფლის მეურნეობის სამინისტრო გურულ გლეხებს

**ახლა 20 თეთრიდან მაქსიმუმ 40 თეთრამდეა, რისი გაყიდვაც ამ დრომდე შევძელი, არჩეული წაიღეს და 40 თეთრი გადამიხადეს უმაღლესი ხარისხის მანდარინში. რა ვუყო დარჩენილ 11 ტონას? უკვე ლპობა დაიწყო. თითო კილოგრამის მოკრეფაში 5 თეთრი მაქვს გადახდილი, სამჯერ შევწამლე, ეს ძალიან ძვირი ჯდება და ახლა იმ თანხასაც ვერ ვიღებ უკან, რაც დავხარჯე. სოფელში უმრავლესობამ ბაღები დაუკრეფავი დატოვა, რა აზრი აქვსო. ხალხს იმედი ჰქონდა, გამოვიზამთრებთო და ამანაც არ გაამართლა“.**

260-კომლიან სოფელში მოსახლეობის უმრავლესობის ძირითადი შემოსავალი ციტრუსია. მთელი წლის განმავლობაშიც სწორედ ამ სეზონური შემოსავლის იმედად არიან ხოლმე, თუმცა წლევანდელმა სეზონმა, როგორც აქაურები აცხადებენ, მარტო იმედების გაცრუება კი არა, დიდი ზარალიც მოუტანა მათ. სახლის პირობებში დასაწყობებული ციტრუსი მყიდველს ამაოდ ელოდება, მისი მოვლა-შეწამვლისთვის შეძენილ პრეპარატებში და მკრეფავებისთვის გადახდილი თანხა კი, როგორც გვიყვებიან, ვალად ადევთ: **„მანდარინის ხსენებაც აღარ გვინდა უკვე. რითიც ადრე ვცხოვრობდით, თავიც გაგვქონდა და სახლებსაც ვაშენებდით, ბოლო რამდენიმე წელია, მხოლოდ ვზარალდებით. ხელისუფლება იმისთვის ხომ არსებობს, რომ ხალხის გასაჭირი მიიტანოს ახლოს გულთან და დახმარება გაგვიწიოს?!“**

მოსახლეობა დახმარებას ხელისუფლებისგან ელის, რომელიც თავის მხრივ, იმაზეა დამოკიდებული, გააიაფებს თუ არა საბაჟო გადასახადებს და უკრაინულ ბაზარს დაიბრუნებს თუ არა საქართველო. როგორც, მაგალითად, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში **ლაშა ღლონტი** აცხადებს, ხელისუფლებამ იცის, რომ მოსავალიც მაღალია, რეალიზაციაც გართულებული და ფასებიც ძალიან დაბალი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ უმეტესად, დაბალხარისხიანობით გამორჩეული ქართული პროდუქცია, დიდი ბაზრების დაპყრობას ვერ შეძლებსო:

— ძირითადი გამტანები მუშაობდნენ უკრაინის რესპუბლიკაზე, იქ კი მოხდა საბაჟო განაკვეთების აწევა და ამ შემთხვევაში, გადამამუშავებლები თუ ბიზნესმენები თავს იკავებენ გატანაზე, რადგან მოგება აღარ რჩებათ. სანამ ეს პროცესები დარეგულირდება, რეალიზაცია დროებით შეჩერდა. სამინისტრო აქტიურად მუშაობს, რომ მოხდეს ფასების ნორმალიზაცია და შემდეგ განახლდეს რეალიზაცია.

**— გარდა უკრაინისა, ქართულ ციტრუსს, სხვა რომელი ქვეყნის ბაზარზე შეუძლია თავის დამკვიდრება? ამ კუთხით თუ მუშაობს ხელისუფლება?**

— რა ხარისხიც ციტრუსიც ჩვენ გაგვაჩნია ბოლო წლებში, ამით ვერ შევალთ ვერც ერთ ბაზარზე. დაუმუშავებელი და შეუწამლავია პროდუქტი. ბაღების 80% ღვთისანაბარაა მიტოვებული და ამიტომაც ვიღებთ არასტანდარტულ მოსავალს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ხარისხიანი პროდუქციის მოყვანა, ევროპული ბაზრის მოთხოვნები რომ დავაკმაყოფილოთ.

**— ეს თავსატეხი მოსახლეობას უკვე წლებია გაუჩნდა, მოვლილი და ნაწამლი პროდუქციის რეალიზებასაც ველარ ახერხებს.**

— ჩვენს მუნიციპალიტეტში არის საადრეო მანდარინი, მისი სიმწიფეში შესვლა ხდება 20-25 დღით ადრე, როცა ბაზარზე ციტრუსი შეტანილი არ არის და აქვს მაღალი ფასი. ასეთს დანახარჯი არ გააჩნია, რადგან შენახვა არ სჭირდება. სამინისტროს მიერ ათამდე ჯიშის საადრეო მანდარინია შემოტანილი იაპონიიდან, რომელიც გამოცდის ვადაშია და გაისად უკვე შეგვეძლება იმის თქმა, რომ ეს ჯიშები გამომდგარია ჩვენი კლიმატური პირობებისთვის.

**— ხელისუფლება რას აკეთებს იმისთვის, რომ მოსახლეობამ არ იზარალოს და მცირედი მოგება მაინც ნახოს?**

— ჩვენ გვქონდა სამინისტროსთან საუბარი, გამოვითხოვეთ კონტრაქტები იმ კომპანიებისა, ვინც დასავლეთ საქართველოში ციტრუსის რეალიზებაზე მუშაობს. ავუხსენით მათ, რომ სარეალიზაციოდ გარკვეული რაოდენობის ციტრუსი გვაქვს გამზადებული.

**— თუ იცით, წელს მოსავალი რამდენია ოზურგეთში?**

— 10-11 ათას ტონამდე იქნება. აქედან, 2 ათას ტონამდე უკვე რეალიზებულია. სოფელ მერიაში მიმღები პუნქტი მუშაობს არასტანდარტული და მაღალი ხარისხის მოსავლის მიღებაზე.

**— ისიც, მცირედი რაოდენობით...**

— დაახლოებით, 350-400 ტონამდე.

**— ფასებზეც წუხან, კატასტროფულად დაბალიაო.**

— როცა ექსპორტზე ვერ გადის პროდუქცია, ადგილობრივ ბაზარზე მისი დიდი რაოდენობით მოხმარება არ ხდება, ამიტომაცაა დაბალი ფასი.

**— ფაქტობრივად, წლევანდელმა სეზონმა მოსახლეობას იმედი გაუცრუა. ბაღების უმრავლესობა დაუკრეფავია, ამბობენ, ვზარალდებითო. შემსყიდველებსაც დღემდე ამაოდ ელიან.**

— იმიტომ, რომ ჯერ ზღვიდან გააქვთ სარეალიზაციოდ, მუშაობენ აჭარაზე, გაცილებით იაფიც უჯდებათ. თან იქ ციტრუსი უფრო ხარისხიანია.

**— აჭარა ჩვენი სერიოზული კონკურენტია, მაგრამ მოსახლეობას ახსოვს დაპირება, რომ ციტრუსი რეალიზების გარეშე არ დარჩებოდათ.**

— ჩვენ, ამ ეტაპზე, შევძელით მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, ვინ არიან რეალიზატორები, რათა მათთან დავაკავშიროთ მოსახლეობა. მოკლე დროში თუ ფასები დარეგულირება საბაჟოზე, რეალიზატორები გარკვეულ ფასად შეისყიდიან ციტრუსს. დამოკიდებულნი ვართ იმაზე, უკრაინა დაწევს თუ არა ფასებს საბაჟოზე.

**— თუ ასე არ მოხდა, გამოდის, მოსავალი მთლიანად უნდა იზარალოს მოსახლეობამ?**

— მარტო ჩვენი კი არა, იმ ქვეყნის ინტერესიცაა, რომ ბაზარზე შევიდეს ქართული პროდუქცია. ციტრუსი მალფუჭებადია, მაგრამ არსებობს შენახვის ისეთი ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებით, პროდუქტი სახლის პირობებშიც შეინახება. მარტში ციტრუსის ფასი 3-4 ლარამდე იწევს, ამ დროისთვის კი ფასები ადგილობრივ ბაზრებზე 10 თეთრიდან იწყება და საშუალოდ, 40-50 თეთრია.

# პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას ბოლნისელებიც მოითხოვენ

*მე-9 გვერდიდან*

**ამასთან, არ გვაქვს სველი წერტილები და სასკოლო ბუფეტი. კაპიტალური შეკეთებისას ეს საკითხებიც უნდა მოწესრიგებულიყო; ახლა, ცოტა არ იყოს, ჭირს ამის გაკეთება. ბავშვებს სამ საათამდე მშიერი ყოფნა უჭირთ. შემდეგ კაპიტალურ შეკეთებამდე კი ეს პრობლემა ვერ მოგვარდება“,** — ამბობს დირექტორი.

ბოლნისელი რაჭველები ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს იმედიანი თვალით უყურებენ: **„წინა ხელისუფლების იმედიც მქონდა, მათ მუშაობაში კი ბევრი შეცდომები იყო. ამავე დროს, ვინც მუშაობს, იმას ხარვეზებიც მოსდის. ახალ მთავრობას დაპირებები უფრო მეტი ჰქონდა... არ ვიცი, განათლების მინისტრმა ეს ინფორმაცია სწორად ვერ გადმოგვცა თუ რა იყო, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირა გაორმაგდაო; როცა საუბარი იყო, უფასოდ სწავლებაზე. პენსიების გაზრდასაც ბევრი არაფერი ეტყობა. მეორე მხრივ, იმდენი დანაშული გამოიკვეთა, თურმე ქვეყანა ინგრეოდა. ჩვენ პირიქით გვეგონა ყველაფერი. ორი თვე კი ძალიან ცოტაა და შეფასებაზე ლაპარაკი ზედმეტია. იქნებ გვეშველოს და ქვეყანაში ცხოვრება გაუმჯობესდეს, ყველანი ამ მოლოდინში ვართ“,** — დასძენს გულნაზ რეხვიაშვილი.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ბოლნისში 1951 წლიდან ფუნქციონირებს. აქ დაცული ექსპონატები დამთვალიერებლების დიდ ინტერესს იწვევს. ჩვენთან საუბრისას, მუზეუმის დირექტორი ოთარ აბულაძე ამბობს, რომ მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა გაუმჯობესდეს და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოეწყოს.

**ოთარ აბულაძე: „ადრე ბოლნისსა და დმანისში უფრო მეტი მიმოსვლა იყო, მათ შორის მეზობელი სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. დამთვალიერებლების ნაკადიც გაცილებით დიდი იყო. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტისა და ზოგადად, სასაზღვრო კონტროლის გაძლიერების გამო, მოძრაობა შენელდა. ჩამოსული ტურისტები, ძირითადად, დმანისის ნაქალაქარით ინტერესდებიან და გზად ჩვენთანაც შემოივლიან ხოლმე. დამთვალიერებლების ძირითადი მასა, 60-70 პროცენტი სკოლები არიან. მეზობელი რაიონებიდან და თბილისიდანაც ხშირად ჩამოდიან. უფრო მეტად ნახულობენ ბოლნისის სიონს, ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ სახლ-მუზეუმს, დმანისის ნაქალაქარს. ამ დროს, სკოლის მოსწავლეები, როგორც წესი, ჩვენთანაც შემოდიან. ვინც ერთხელაა ნამყოფი, ის მეორედაც ჩამოდის. ჩვენს მხარეში,**



**რუსთავს საჩვენებელი მუზეუმი აქვს. ასეთივე მუზეუმები რაიონებს რომ გვქონოდა, ძალიან კარგი იქნებოდა. მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის მუზეუმი სერიოზულად მისახედია. ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც უკეთესად უნდა გაკეთდეს და თანამედროვედ მოეწყოს. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით მუშაობა მიდის; თვითმმართველობა ამაში ძალიან გვეხმარება. ახალ შენობას გვპირდებიან“.**

კულტურის მუშაკები ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს „პრაგმატულად“ უყურებენ: **„ვასრულებდით წინა ხელისუფლების მითითებებს; მოვიდა ახალი მთავრობა და გვინდა, რომ არსებულ მოთხოვნებს თვალი გავუსწოროთ. არ ვართ საჯარო მოსამსახურეები. ბოლნისის მუნიციპალიტეტის, კულტურის გაერთიანების ფილიალად ვითვლებით. ვასრულებთ იმ მითითებებს და დავალებებს, რასაც რაიონის მესვეურები გვაძლევენ“.**

დაბოლოს, პრეზიდენტ სააკაშვილის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით, ხელმოწერების შეგროვება ბოლო დროს ბოლნისის რაიონშიც დაიწყეს. ორგანიზაცია „ერთსულოვნება — საზოგადოების უფლებებისთვის“ ადგილობრივი აქტივისტის, ლია ციხელაშვილის განცხადებით, ქართულ მოსახლეობასთან ერთად, აღნიშნულ მოთხოვნას აზერბაიჯანული ეროვნების მოქალაქეებიც უერთდებიან.

**„ქალაქი ბოლნისში უერთდება მოწოდებას, რომ თანამდებობიდან გადადგეს მიხეილ სააკაშვილი. სხვათა შორის, რაიონის აზერბაიჯანულ სოფლებშიც მხარს გვიჭერენ და ამას პეტიციაზე ხელმოწერით გვიდასტურებენ. ყველა არა, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობა აღნიშნულ წინადადებას იზიარებს“,** — აცხადებს ციხელაშვილი.

თბილისიდან ბოლნისამდე ერთი საათის სავალია. ადამიანები იგივე პრობლემებით და იმედებით ცხოვრობენ, როგორც ეს ქვეყნის დედაქალაქში ხდება, თუმცა განსხვავებაც არის — ცვლილებები აქ ცოტა გვიან აღწევს. ნებისმიერი ხელისუფლება რეგიონებს, როგორც საარჩევნო ხმებისთვის ბეღელს, ისე განიხილავდა. ეს, განსაკუთრებით, ქვემო ქართლს ეხებოდა. ამ მანკიერ ტრადიციას ბოლო უნდა მოეღოს და განვითარება ყველა რაიონსა თუ სოფელს თანაბრად უნდა შეეხოს. არსებული რეალობა კი, ამ თვალსაზრისით, კატასტროფულია. უსიამოვნო ფაქტს ხაზს ვუსვამთ — რაჭისუბნის სკოლაში მომავალ სასწავლო წელს ერთ ბავშვს ელიან. ახალი ხელისუფლების პოლიტიკა, მასობრივი უმუშევრობის შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. რეგიონში მცხოვრები ადამიანები ამის მოლოდინში არიან. შემდეგ არჩევნებზე ისინი შიშის გარეშე მივლენ და ბევრად თავისუფალ არჩევანს გააკეთებენ. პოლიტიკოსებმა, ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც, ეს ფაქტორი სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ.

# მიირთვი „პეპსი“ და მოიგე „ნოკია“!

„პეპსის“ ტრადიციული საახალწლო გათამაშების შედეგი, დღევანდელი მონაცემებით, ასეთია — უკვე სამი ათასზე მეტი გამარჯვებული! მათი ნაწილი, 25 დეკემბერს, კომპანიის ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა აქციონერმა, არჩილ არველაძემ, რუსთაველზე, „სმარტში“, პირადად დააჯილდოვა.

ნამდვილად გადამდები იყო იმ ადამიანების სიხარული, ვინც „პეპსის“ მიერ დაწესებული სასურველი პრიზები მოიგო. ერთ-ერთი მათგანის, გიორგი ინაიშვილის მოკლე კომენტარიც კმარა იმის გასაგებად, როგორი განწყობა აქვთ გამარჯვებულებს.

**გიორგი ინაიშვილი: „ხშირად ვყიდულობ „პეპსის“. გუშინ კი ვიყიდე და აღმოვაჩინე, რომ „ნოკიას“ არაჩვეულებრივი მობილური ტელეფონი მოვიგე. ეს შესანიშნავი საჩუქარია საახალწლოდ. დიდი მადლობა კომპანიას იმისთვის, რომ ქართველ მომხმარებელს უგემრიელეს სასმელს სთავაზობს და საჩუქრებითაც ანებივრებს“.**

„ნოკიას“ ტელეფონები („ნოკია ლუმია 800“ „ვინდოუსის“ პროგრამული უზრუნველყოფით, „ნოკია აშა 200“ ორი სიმ-ბარათით და QWERTY კლავიატურით), 50 000 წუთზე მეტი სასაუბრო დრო და „პეპსის“ ექსკლუზიური 6-ქილიანი შეკვრა— ეს იმ საოცარი პრიზების ჩამონათვალია, რომლებიც, „პეპსის“ საახალწლო გათამაშებაში, უკვე მოიგეს. 10 დეკემბერს დაწყებული აქციის ფარგლებში, სხვადასხვა დასახელების პრიზები, 20 იანვრამდე, ყოველ 5 წუთში თამაშდება. ასე რომ, არ არის გამორიცხული, მომდევნო გამარჯვებული ნებისმიერი თქვენგანი იყოს. მით უფრო, რომ გათამაშებაში მონაწილეობისთვის, კომპანიის აქციონერის, არჩილ არველაძის თქმით, მხოლოდ ერთი პირობაა საჭირო — მიირთვით „პეპსი“.

**არჩილ არველაძე: „უკვე მეხუთე წელია, ვაწყობთ წამახალისებელ გათამაშებებს ჩვენი მომხმარებლებისთვის და სხვადასხვა სახის ორიგინალურ პრიზებს ვთავაზობთ მათ. „პეპსი“ მსოფლიოში საუკეთესო გამაგრილებელი სასმელია და იმისთვის, რომ მოიგოთ ეს მრავალფეროვანი პრიზები, მხოლოდ ერთი პირობა არსებობს — მიირთვით „პეპსი“. ამ დროისთვის, უკვე გვყავს 3 000-ზე მეტი გამარჯვებული. ასეთი აქციებით კიდევ ერთხელ გამოვხატავთ პატივისცემას ჩვენი ერთგული მომხმარებლების მიმართ. ყველას ვუსურვებ წარმატებას. მათ „პეპსისგან“ საჩუქრები არ მოაკლდებათ“.**







## კომპანია „პეპსი“ ტრადიციული საახალწლო გათამაშების ფარგლებში არაჩვეულებრივ პრიზებს გთავაზობთ

კომპანიის გენერალური დირექტორის, **დავით ლომჯარიას** განცხადებით კი, „პეპსის“, დღეში, საშუალოდ, 200 გამარჯვებული ჰყავს. **„გაგზავნილი კოდების მიხედვით, ყოველ 5-წუთში ერთხელ, რამდენიმე პრიზი თამაშდება. ჩვენ გვსურს, საჩუქარი ძალიან ბევრმა მომხმარებელმა მიიღოს. „პეპსი“ მათ უამრავ სიახლესა და სასიამოვნო სიურპრიზს ჰპირდება. ჩვენი მიზანია, მომხმარებელს მეტი სტიმული მივცეთ და მათ მიმართ პატივისცემა გამოვხატოთ. კომპანია „ნოკიასთან“ თანამშრომლობით შევძელით, საახალწლო გათამაშებაში დაგვეწესებინა ისეთი შესანიშნავი პრიზები, როგორიც ამ ბრენდის ტელეფონებია. ჩვენ უკვე გვყავს 3000-ზე მეტი გამარჯვებული. მოხარულები ვართ, რომ მოგების შანსი, ჯერ კიდევ აქვს, „პეპსის“ ბევრ მოყვარულს“.**

„პეპსის“ ყველა იმ მოყვარულს, რომელიც უკვე არის, ან 20 იანვრამდე გახდება საახალწლო გათამაშების გამარჯვებული, პრიზების მიღება შეუძლიათ: თბილისი — რუსთაველის გამზირზე მდებარე სუპერმარკეტი „სმარტი“, ქავთარაძისა და ფარნავაზ მეფის ქუჩებზე მდებარე „გუდვილი“, „კარფური“, სუპერმარკეტები „ფურშეტი“ (ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია) და „ფრესკო“ (მუხიანი, გობრონიძის 18); რეგიონები — ქუთაისში: რუსთაველის 144-ში მდებარე სუპერმარკეტი „პოპული“, ზუგდიდში: „ნიკორას“ მაღაზია რუსთაველის 111-ში, თელავში: სუპერმარკეტი „ლიმბო“ (ქეთევან წამებულის 3) და ბათუმში: „ვილმარტი“ (ინასარიძის 12ა).

***ნინო ლურსმანაშვილი***

# „ჯი პი აი ჰოლდინგის“ საახალწლო აქცია

**21 დეკემბერი მშვიდობიანად დასრულდა,სამყარო გადარჩა, ასე რომ, თქვენი ავტომობილის დაზღვევა კვლავ აუცილებელია, რაც მთავარია, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამინდის გაუარესებასთან ერთად, საგრძნობლად მატულობს მოტეხილობის, დაჟეჟილობისა და ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი. სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“ გთავაზობთ საუკეთესო პირობებს ავტოდაზღვევისთვის და ამასთან, კომპანიის ფეისბუქზე აქვეყნებს ამერიკულ კვლევას 21 დეკემბრისადმი მოსახლეობის განწყობასთან დაკავშირებით.**




200 ლარი „გუდვილის“ ბონუს ბარათზე, თუკი ავტომობილს „ჯი პი აი ჰოლდინგში“ დააზღვევთ!




ამერიკული კვლევის მიხედვით, კითხვაზე — რა განწყობა გაქვთ სამყაროს დასასრულის მიმართ, გამოკითხულთა 37% მიაჩნდა, რომ ბედნიერია, 19% აფიქსირებდა, რომ სევდიანი იყო, 16% — გაბრაზებული იყო, 7% სამყაროს დასასრულს მოუთმენლად ელოდა, 7% — აღფრთოვანებული იყო ამის გამო, 6%-ს 21 დეკმებრის ეშინოდა, 5%-ს — არ სჯეროდა და მხოლოდ 3% ნერვიულობდა. კითხვაზე — როგორი იყო „უკანასკნელი დღის გეგმები“, გამოკითხულთა 69%-მა წვეულება მოაწყო, 13%-მა ცხოვრება ჩვეულ რიტმში განაგრძო, 9%-მა ალკოჰოლი მიიღო, 4%-მა პროდუქტებო მოიმარაგა, გამოკითხულთა 3%-ის, 21 დეკემბრის გეგმა სექსი იყო და გამოკითხულ ამერიკელთა მხოლოდ 2% ლოცულობდა ამ დღეს.

„ჯი პი აი ჰოლდინგში“ აცხადებენ, რომ ახლა საუკეთესო დროა ავტომობილის დაზღვევისთვის. თუ ავტომობილს დააზღვევთ 2013 წლის 14 იანვრამდე, გუდვილის ბონუს ბარათზე საჩუქრად მიიღებთ 200 ლარს. 200 ლარის გახარჯვა შესაძლებელია გუდვილის სუპერმარკეტების ქსელში 2013 წლის მანძილზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეკონ ჯი პი აი ჰოლდინგის ცხელ ხაზზე — 2 50 51 11 და გამოიძახონ სადაზღვევო კონსულტანტი ადგილზე. **ამასთან, დაზღვევის ფასის და სხვა დეტალების გაგება შესაძლბელია კომპანიის ფეისბუქის გვერდზე www.facebook.com/GPIH.GE**

საახალწლო აქციის ფარგლებში ავტომობილის დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვეულ რისკებში შედის: **ავტოავარია, სეტყვა, ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, ქურდობა, ძარცვა, გატაცება, საგნების ვარდნა, ვანდალიზმი (სხვა პირის მიერ, ავტომობილის ბოროტი განზრახვით დაზიანება).** თუ ავტომობილს „ჯი პი აი ჯოლდინგში“ დააზღვევთ, კომპანია ზემოთ აღნიშნულ რისკებთან ერთად მთელი წლით შემოგთავაზებთ უფასო სერვისებს, მათ შორის, **24-საათიან უფასო ტექნიკურ დახმარებას გზებზე:** საბურავების გაბერვა/გამოცვლა; საწვავის ადგილზე მიტანა; უფასო ევაკუატორის მომსახურება; მანქანის დაქოქვა სპეციალური ხელსაწყოთი.

**24-საათიანი ავტო-მომსახურების ჯგუფის სერვისი** — ავტოსაგზაო შემთხვევისას სერვის-მენეჯერის მომსახურება ადგილზე; სერვის-მენეჯერის მიერ დაზღვევასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების მოგვარება; პატრულთან დოკუმენტაციისა და პროცედურული საკითხების მოგვარება; დაზიანებული ავტომობილის ევაკუატორით გადაყვანა; დაზღვეული მძღოლის ტრანსპორტირება.

რაც მთავარია, თუკი ავტომობილს „ჯი პი აი ჰოლდინგში“ დააზღვევთ, მთელი წლის მანძილზე, **500 ლარამდე ზარალს ადგილზე დაგირეგულირებენ.** სადაზღვევო შემთხვევის დროს, „ჯი პი აი ჰოლდინგის“ ზარალების მენეჯერი, ადგილზე შეაფასებს თქვენი ავტომობილის ზარალს. ზარალის ინვოისს კი „ჯი პი აი ჰოლდინგის“ ვაკის ფილიალში გაანაღდებთ იმავე დღეს, ან მოგვიანებით თქვენი სურვილისამებრ.

***მაია მიშელაძე***

ნელი თორდია

# ავადმყოფი პატიმრების ბედს დღესაც ახალაიასა და კალმახელიძის „ხელის ბიჭი“ გიორგი გორაძე წყვეტს!

**რატომ რჩებიან ციხეებში ევროპული სასამართლოს მიერ უკანონო პატიმრებად მიჩნეული ადამიანები, დაავადებულ პატიმართა ხარჯზე საბიუჯეტო თანხების დაზოგვის რა მეთოდი შეიმუშავა სახელმწიფომ და რატომ ჭიანურდება იმ ტუსაღთა საქმეების შესწავლა, რომლებიც ამბობენ, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ახალაიას კლანის წევრები კვლავ რჩებიან? — ამ და სხვა საკითხებზე „ვერსიას“ ადვოკატი მამუკა ნოზაძე ესაუბრა:**



— სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საპატიმროებში ჯერ კიდევ იმყოფებიან მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებული პატიმრები, რომელთაც კვალიფიციური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა იმიტომ არ უტარდებათ, რომ ბიუჯეტს თანხები არ აქვს. სახელმწიფომ, თანხების არარსებობისა და საქმის გაადვილების მიზნით, მძიმე დაავადებების მქონე პირებს შეწყალება შესთავაზა, რაც პატიმრებისთვის, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მიუღებელი აღმოჩნდა. მაგალითად, დენიზ ყვარელაშვილი, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არაადამიანური და ღირსების შემლახავი პირობების გამოსასწორებლად 5 წელია იბრძვის და ამასობაში, მძიმედ დაავადდა. ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ის უკანონო პატიმარია, ჩვენს სასამართლოში კი, ყველა პროცესი წააგო. ამის გამო, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესად დამძიმდა, მაგრამ ყვარელაშვილი შეწყალებაზე მაინც უარს ამბობს, რადგან ეს, არაადეკვატურობასთან ერთად, ევროპული სასამართლოს უპატივცემულობა იქნება. ყვარელაშვილის გარდა, საპატიმროებში, ასევე, იმყოფებიან ციროზის უმძიმესი ფორმით დაავადებული გიგა ფურცხვანიძე, სიმსივნის უმძიმესი ფორმით დაავადებული ნიკოლოზ მირზაშვილი, უშანგი ქოიავა და სხვები.

— **მათ შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ იცის?**

— სოზარ სუბარს, რა თქმა უნდა, ვაცნობე და იმედია, ასეთი ადამიანების მიმართ სახელმწიფო მიდგომას შეცვლის. არ შეიძლება, უდანაშაულო ადამიანს არჩადენილი დანაშაულის აღიარება მოსთხოვო, მაგრამ სამწუხაროდ, იმ კომისიას, რომელიც მძიმედ დაავადებული პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლების საქმეებს განიხილავს, ახალაიასა და კალმახელიძის „ხელის ბიჭი“ გიორგი გორაძე ხელმძღვანელობს, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ნებისმიერ მითითებასა და სურვილს ისევ უსიტყვოდ ასრულებს. მძიმე ავადმყოფებს, რომელთა საქმეები ევროსასამართლომ შეისწავლა, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლად აღიარა, ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარს მოტივაციის გარეშე ეუბნება. სამწუხაროდ, სოზარ სუბარი ამ ადამიანთან მიმართებაში ადეკვატურ გადაწყვეტილებას არ იღებს და დღესაც გორაძე წყვეტს, ციხიდან ვინ გამოუშვას და ვინ — არა.

— **ბატონო მამუკა, ალბათ, იცით, რომ სუბარის რეკომენდაციით გათავისუფლებული „მომაკვდავი“ პატიმარი, ციხიდან გამოსვლის მეორე დღესვე, მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს...**

— ვხვდები, რასაც მეკითხებით, მაგრამ წლების განმავლობაში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების გაყალბება და ჯანმრთელ პატიმრებზე უმძიმესი დასკვნების გაცემა „ნაცმოძრაობის“ შერჩევითი სამართლის საფუძველზე ხდებოდა. მაგალითად, პარტიზანული მოძრაობა „ტყის ძმების“ ლიდერს დავით შენგელიას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა სახელმწიფოს ხარჯზე ჩაუტარდა და ვითომ მძიმე ავადმყოფობის გამო, გაათავისუფლეს. ასეთ „ავადმყოფებს“ „ნაცმოძრაობა“ ათავისუფლებდა და როცა 120 გათავისუფლებულიდან დანაშაულს მხოლოდ ერთი სჩადის, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს უკანასკნელი მძიმე ავადმყოფების კატეგორიაში სპეციალურად შეაპარეს, რათა კრიმინალი ჩაედინა. ამ შემთხვევაში, აშკარად, საბოტაჟის ნიშნები იკვეთება...

— **საერთოდ, დღეს საბოტაჟზე საუბარი და ყველაფრის გაოპოზიციონერებულ „ნაციონალებზე“ გადაბრალება მოდურია...**

— არავინაა დაზღვეული, რომ ამნისტიის, ან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შემდეგ, ადამიანი დანაშაულს აღარ ჩაიდენს, მაგრამ არასწორი იქნება, ამის შიშით კანონით გათვალისწინებული შეღავათი სხვა პირების მიმართ არ განხორციელდეს.

მინდა, კიდევ ერთ პრობლემაზე ვისაუბრო: პროკურატურაში რიგებია — ყოველდღიურად, ათობით განცხადება შედის, უამრავი ადამიანი მზადაა, ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება მისცეს. ასეთ დროს ბრალდება საძებნელი არ უნდა იყოს და ბაჩო ახალაიას, ვაშლის გათლის დროს მომხდარი ინციდენტის გამო არ უნდა აკავებდნენ. სხვათა შორის, უკანონო პატიმარ ზურაბ ბოსტოღანაშვილის ორი საქმე ევროსასამართლოშია გაგზავნილი. ერთზე, ევროპული კონვენციის სამი — არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევისა და ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლების მოსპობის მუხლით, კომუნიკაცია დასრულებულია. 2008 წლის, ანუ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, რომ გიორგი ბოსტოღანაშვილმა უკანონო პატიმრობა სტრასბურგში გაასაჩივრა, მის მიმართ ტერორი განხორციელდა და აიძულებდნენ, ევროსასამართლოში პროცესის გაგრძელებაზე უარი ეთქვა, რაზეც ბოსტოღანაშვილი არ დათანხმდა. შემდეგ, იმის გამო, რომ საკნიდან ჩიტებს პურს აჭმევდა, ადმინისტრაციული პატიმრობა დაუმატეს. მოგვიანებით კი, შეიკერა საქმე, თითქოს ბოსტოღანაშვილის საკანში ჩხუბი მოხდა და გაშველების მიზნით შესულ ციხის თანამშრომელს ბოსტოღანაშვილის ფეხი სახეში მოხვდა, რაც ადმინისტრაციაზე თავდასხმად ჩაითვალა. სისხლის სამართლის საქმე 378-ე მუხლით აღიძრა და ისედაც უკანონო პატიმარს, ხანგრძლივი სასჯელის დამატება ემუქრება. საქმე პროკურორმა ლევან ბაჩიაშვილმა შეთითხნა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მთავარ პროკურორს ხუთჯერ მივმართე და ავუხსენი, რომ ეს შეკერილი საქმეა, მაგრამ ჯერჯერობით, რეაგირება არ ჩანს.

რაც შეეხება მამუკა კოჭლამაზაშვილისა და მამუკა ალადაშვილის საქმეებს, რომელთა განხილვაც ევროსასამართლოში ევროპული კონვენციის მეორე და მესამე მუხლებით მიმდინარეობდა. ალადაშვილმა, რომელიც ისევ სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია, თვეზე მეტია, თეა წულუკიანს მიმართა და კონკრეტული პიროვნებები დაასახელა, ვინც წლების განმავლობაში, მასზე ძალადობას ახორციელებდნენ, მაგრამ რეაგირება არც ამ შემთხვევაში ჩანს... მოკლედ, მაშინ, როცა ბაჩო ახალაიას მიმართ ვაშლის გათლის დროს წარმოშობილ მეათეხარისხოვან დანაშაულზე ახდენენ რეაგირებას, პირველხარისხოვან დანაშაულებრივ ქმედებას რეაგირების გარეშე არ უნდა ტოვებდნენ. ამ პრეტენზიებზე კბილაშვილი აცხადებს, რომ საკითხებს თემატურად ალაგებენ, მაგრამ ყველა საქმე ინდივიდუალურია. პაატა როსტომაშვილთან მიმართებაში ბაჩო ახალაიას სხვა დანაშაულებრივი ქმედება აქვს განხორციელებული, გიორგი მაზანაშვილის მიმართ — სხვა, მამუკა კოჭლამაზაშვილთან — სხვა და, თემატური დაჯგუფების გამო, ამ ადამიანების უფლებები უხეშად ირღვევა. ამასობაში კი, რეჟიმის პროკურორები მუშაობას ისევ ძველი მეთოდებით განაგრძობენ.

— **იუსტიციის სამინისტროს სამსახურეობრივი მოკვლევის სამსახურმა, როგორც ვიცი, რამდენიმე პროკურორის საქმიანობის შესწავლა დაიწყო...**

— როგორც გითხარით, პროკურატურაში კილომეტრიანი რიგია და ადამიანები იმ მოსამართლეებსა და პროკურორებს უჩივიან, რომლებმაც სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეებში კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებები განახორციელეს. არჩილ კბილაშვილმა და თეა წულუკიანმა დამნაშავე პროკურორების შესახებ შესანიშნავად იციან, მაგრამ ვფიქრობ, ყველა ხელისუფლებას სჭირდება ადამიანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მის დაკვეთას შეასრულებს. ამ ადამიანებს იმისთვის ინახავენ, რომ ახალი დაკვეთები შეასრულებინონ. აბა, სხვა რა ახსნა უნდა მოვუძებნო იმ გარემოებას, რომ კონკრეტულ დანაშაულში მხილებული ადამიანები საპროკურორო საქმიანობას დღესაც ახორციელებენ.

## ვერსიანიუსი

### სამართალდამცველებმა ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადებისა და გასაღების ფაქტზე, ლევან ბერიძე დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადებისა და გასაღების ფაქტზე, ლევან ბერიძე დააკავეს.

ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს: **„გამოძიებით დადგინდა, რომ ბერიძემ ერთ-ერთ მოქალაქეს, 7 800 ლარის სანაცვლოდ, 30მ3 ხე-მასალის წარმომავლობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები დაუმზადა, რომლის თანახმად, თითქოს ხე-ტყე ადიგენის სატყეო მეურნეობიდან კანონიერად იქნა ათვისებული და შესაბამისად, მისი რეალიზაცია შესაძლებელი იყო. სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ფაქტზე დააკავეს“.**

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბერიძეს ბრალი გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით წარედგინა, მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა და 5 000 ლარის ოდენობით გირაო შეეფარდა.

*„პირველი“*

### ავღანეთში გაუჩინარებული ქართველი ჯარისკაცის ძებნა გრძელდება

**„ავღანეთში გრძელდება 19 დეკემბერს გაუჩინარებული ქართველი სამხედრო მოსამსახურის ძებნა. ძიება-გადარჩენის ოპერაციას ახორციელებს საერთაშორისო უსაფრთხოების სარდლობა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შექმნილია ძიება-გადარჩენის უზრუნველყოფის საკოორდინაციო ცენტრი. სამხედრო მოსამსახურის ოჯახი ინფორმირებულია ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ. ავღანეთში მყოფ ქართულ ქვედანაყოფებს მიღებული აქვთ უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები“,** — იუწყება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 19 დეკემბერს, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, ავღანეთში გაერთიანებული შტაბის პირველი მოადგილის, ბრიგადის გენერლის, ვახტანგ კაპანაძის მეთაურობით, ქართველი სამხედროების ჯგუფი გაემგზავრა.

როგორც თავდაცვის სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, გაუჩინარებული ქართველი სამხედრო მოსამსახურის ძებნა გრძელდება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ძიება-გადარჩენის უზრუნველყოფის საკოორდინაციო ცენტრია შექმნილი. სამხედრო მოსამსახურის ოჯახი ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებულია. ავღანეთში მყოფ ქართულ ქვედანაყოფებს უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები აქვთ მიღებული.

*„მედიანიუსი“*



### სამართალდამცველებმა ბათუმში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და იარაღი ამოიღეს




აჭარის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გასაღებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ფაქტებზე, ბათუმში მცხოვრები მამუკა ბ. დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ დაკავებული საკუთარ სახლში დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას ინახავდა და დაუდგენელი პირისთვის მისი ნაწილის გადაცემას აპირებდა. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 1 891 აბი ნარკოტიკული საშუალების შემცველი პრეპარატი „კოდეტერპი“, ორლულიანი გადაჭრილი თოფი და 18 ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ამოღებული აბები 15,128 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „კოდეინს“ შეიცავს, ხოლო ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი სროლისთვის ვარგისია.

გაირკვა, რომ ბრალდებული წარსულში ნარკოდანაშაულისთვისაა ნასამართლევი. ამჟამად, მას ბრალი 260-ე მუხლის, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I ნაწილით წარედგინა. მამუკა ბ-ს წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდა.

*„პირველი“*



დოდო გუგეშაშვილი: „მაინტერესებს, ვის ემორჩილება იმ ქვეყნის ჯარი, ვისი ტერიტორიების ერთი მესამედიც ოკუპირებულია, მთავარსარდალს ანუ პრეზიდენტს, რომელიც ოპოზიციაშია?“

# ახალმა ხელისუფლებამ ვეტერანები „გადააგდო“?

თამარ მელქაძე

**1 ოქტომბრის არჩევნებისა და განსაკუთრებით, პარლამენტის მიერ მასშტაბური ამნისტიის კანონის დამტკიცების შემდეგ, სულ უფრო მეტ ადამიანს უჩნდება 90-იან წლებში დაბრუნების შიში. რამდენად რეალურია ეს საფრთხე, ამის შესახებ „ვერსია“ „მხედრიონის“ ერთ-ერთ ლიდერს, დოდო გუგეშაშვილს ესაუბრა:**

— ყველაზე მთავარი არის ის, რომ ხელისუფლების ცვლილება მოხდა არა ტყვიით, ძალისმიერი მეთოდებით, არამედ არჩევნების გზით. მივესალმები ამნისტიის კანონის მიღებას, მაგრამ ნამდვილად ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ ქვეყანაში ამის გამო, კრიმინოგენული ვითარება გამძაფრდება. უბრალოდ, სამართალდამცავ ორგანოებს მეტად მობილიზება მოუწევთ, ვიდრე ჩვეულებრივ რეჟიმში.

ფაქტია, ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოცხადებულმა, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ გარკვეული როლი შეასრულა და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ციხეში აღმოჩნდა. სრულიად ვეთანხმები იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ვინც ამბობს, რომ ქვეყანაში ყველაფერი უნდა ხდებოდეს გამჭვირვალედ. როცა ვინმეს იჭერენ, იმდენად ძლიერი უნდა იყოს ბრალდების არგუმენტები და მტკიცებულებები, რომ არ უნდა ჩნდებოდეს კითხვები.

**— როგორც მებრძოლი, როგორ აფასებთ ბრალდებებს, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსნებს უყენებს?**

— თუ მათ იმის მეტი დანაშაული არ ჩაუდენიათ, რასაც პროკურატურა ედავება, გამოდის, ტყუილად სხედან ციხეში. მეთაურების მხრიდან, ჯარისკაცის ღირსების შელახვა დაუშვებელია, წამება დასჯადია, მაგრამ ადამიანები, რომლებიც შექმნილი იმიჯის ფონზე არიან მონსტრები და ბრალდების მიხედვით, უბრალო დამნაშავეებად გვევლინებიან, ციხეში არ უნდა იყვნენ. სასამართლო არ უნდა იყოს ძალიან მკაცრი მათ მიმართ. შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში გირაოს დავჯერდეთ. ვერ ვიქნები მომხრე, ხალხი გაურკვეველი ბრალდებით ხვდებოდეს ციხეში. ჯერ ამ დაპატიმრებებს სიფრთხილით ვუყურებ.

**— არჩევნების შემდგომმა „დაჭერებმა“ ძალიან გაალიზიანა პრეზიდენტი და მთელი „ნაცმოძრაობა“... არ გამორიცხავენ, პრეზიდენტმა პოლიტიკური კრიზისიც შექმნას.**

— პირველი, რაც სრულიად გაუგებარია ჩემთვის, რას ნიშნავს პრეზიდენტი ოპოზიციაში?

**ქვეყანაში, რომლის ერთი მესამედი ოკუპირებულია, დასაბრუნებელი აქვს ტერიტორიები და ჰყავს ჯარი, მაინტერესებს, ვის ემორჩილება ეს ჯარი, მთავარსარდალს ანუ პრეზიდენტს, რომელიც ოპოზიციაშია? ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი ლაფსუსი და სასაცილო სიტუაციაა.**

დამნაშავე უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, მაგრამ ხელისუფლებას არ უნდა დაავიწყდეს და უნდა შესრულდეს ის დაპირებები, რაც მას არჩევნებამდე ჰქონდა. არის საკითხები, რასაც მოუთმენლად ელოდებოდა მოსახლეობა და მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ამისთვისაც მოიცლის. პირველი, ვინც ამ არჩევნებით დარჩა მოგებული, სააკაშვილია, რადგან დასავლეთმა ერთხმად აღიარა, რომ ქვეყანამ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებით, დემოკრატიული ტესტი წარმატებით ჩააბარა. გინდა თუ არა, ის არის პრეზიდენტი და არა მგონია, არჩევნების შემდეგ შექმნილი იმიჯი, ხელის ერთი მოსმით, დაანგრიოს. თუ სააკაშვილი ისეთ ნაბიჯებს გადადგამს, რაც მასობრივ ქაოსსა და დესტაბილიზაციას გამოიწვევს, ეს ძალიან ცუდი იქნება, თუმცა, ვფიქრობ, ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის.

**— პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას ხომ არ გეგმავთ?**

— ჩვენ პოლიტიკაში არ ვერთვებით.

**ჩვენ ვართ ვეტერანები, სამშობლოსათვის მებრძოლი ხალხი და მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ყაჩაღებსა და ბანდიტებს გვეძახდა, 2008 წელს, ისევ წინა ხაზზე ვიყავით ერთ-ერთ ოფიციალურ სტრუქტურასთან ერთად, ქვეყნის დასაცავად. ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა ხელისუფლებაში ყოფნას. როცა ვიღაც „მხედრიონს“ ბანდად მოიხსენიებს, ის მშიშარაა, ცვედანი და არასრულფასოვნების კომპლექსითაა დაავადებული. ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი ნებით წავიდა აფხაზეთში და სამშობლოს 800 ვაჟკაცი შესწირა, არ შეიძლება იყოს ბანდიტური ორგანიზაცია. მთავარია, დღევანდელმა ხელისუფლებამ სათანადოდ აღიქვას ვეტერანთა პრობლემები, რომლებიც საშინელ მდგომარეობაში არიან და რაიმე სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღოს. ქვეყანა, რომელიც საკუთარ ვეტერანებს არ სცემს პატივს, არ არის შემდგარი სახელმწიფო.**

გვაქვს კანონპროექტები და აუცილებლად მივმართავთ ხელისუფლებას. სამწუხაროდ, 2013 წლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ვეტერანების ხელშეწყობა, რაც გაცხადებული იყო არჩევნებამდე. ამბობენ, 2014-ში იქნებაო, მაგრამ ეს არ ცვლის იმ უკმაყოფილებას, რაც ვეტერანს გააჩნია. თუ რაიმე ცვლილება შევა ბიუჯეტში, ძალიან კარგი. ვიმედოვნებთ, მინისტრთან მოხდება ბევრ საკითხზე შეჯერება და ბიუჯეტშიც შევა შესწორებები. თუ ქვეყანაში არ იქნება ვეტერანის უფლებები დაცული, ყველა ერთხმად ვიტყვით, რომ ჩვენც „გადაგვაგდეს“.

# ნოდარ ხადურის მოგვარე, 79 წლის დევნილი ღამეს ალექსანდროვის ბაღში ათევს!

## „სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომშიც ვიყავი, დამჭრეს... სამხედრო პენსია მქონდა, მაგრამ სააკაშვილმა უსამართლოდ მომიხსნა და მითხრა, რუსებისთვის იბრძოდი და პენსია არ გეკუთვნისო“



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

**ოფიციალური მონაცემებით, დედაქალაქში 3 ათასზე მეტი უსახლკაროა. მათ შორის, ნაწილი ღამეს ქუჩაში, სკვერში, მიწისქვეშა გადასასვლელში ან, სულაც, რკინიგზის სადგურში ათევს. შარშან, ზამთარში, ყინვების დროს, მერიამ უსახლკაროებს უფლება მისცა, რამდენიმე ღამე უფასო სასადილოებში გაეთიათ... ახლახან, სამოქალაქო აქტივისტების ჯგუფმა ალექსანდროვის ბაღში უსახლკაროებისთვის 50-ადგილიანი კარავი გაშალა. „ვერსია“ კარვის ბინადრებს ესტუმრა... უსახლკაროებს კარავში ბაღიდან ძელსკამები შეუტანიათ... ზოგს ძელსკამზე სძინავს, ზოგს კი, სველ მიწაზე ლეიბი გაუშლია... კარავში სამი საწოლი დგას... „კარვის ბინადართ“ საკვებითა და თბილი ტანსაცმლით მოსახლეობა და სამოქალაქო აქტივისტები, ასე ვთქვათ, ამარაგებენ... კარავში ჯერჯერობით, 7 ადამიანი ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანი ქვეყნის ფინანსთა მინისტრის მოგვარეა — 79 წლის ზაურ ხადური უსინათლოა და ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული.**

**ზაურ ხადური:** „ცხინვალიდან დევნილი ვარ და, ოჯახთან ერთად, სასტუმრო „აფხაზეთში“ ვცხოვრობდი. მეტროსადგურ „სამედიცინოსთან“ ჩემი მეუღლე სიგარეტს ყიდდა. ერთხელ, მეზობელმა სიგარეტი ააცალა, ჩემმა მეუღლემ სთხოვა, საიდანაც აიღო, იქვე დაედო. ამაზე უსიამოვნება მოგვივიდა — ჩემს ცოლს შეაგინა, მე კი, ხელში წიხლი დამარტყა და მტევანი მომტყდა. მართალია, არ მიჩივლია, მაგრამ ფაქტი რომ დაფიქსირდა, საქმე აღიძრა, პოლიციამ შინ დასაკითხად მოგვაკითხა. საქმე პოლიციამდე რატომ მივიდაო, — ამის გამო მეზობელი ყოველდღე კარს მიმტვრევდა. მოკლედ, გადავწყვიტეთ, იქაურობას დროებით გავცლოდით. რამდენიმე დღის შემდეგ, შინ დავბრუნდით, მაგრამ ჩვენს ოთახში სხვა დევნილი იყო შესახლებული, რომელსაც ფართი გადაეფორმებინა... ლტოლვილთა სამინისტროში ათასი განცხადება შევიტანე, მაგრამ ჩვენი ოთახი აღარ დაგვიბრუნეს. მერე, წვალებით მოგროვილი 600 დოლარით, ფონიჭალაში კარკასი ვიყიდეთ და კარგა ხანს იქ ვცხოვრობდით. ამ გაუსაძლისმა და არაადამიანურმა პირობებმა ფეხებში მომწყვიტა და დამაბრმავა... მოგვიანებით, ეს კარკასიც გავყიდეთ და ორი წელია, ქუჩა-ქუჩა დავდივართ.

5 შვილი მყავს, ყველას თავისი ოჯახი აქვს, მაგრამ ჩემი მოვლის შესაძლებლობა არც ერთს აქვს. სამი დღეა, ამ კარავში ვარ. მანამდე კი, დღისით ხან მთავრობის სახლის წინ ვიყავი, ხან მეტროში ჩავდიოდი, რომ არ გავყინულიყავი. ღამეს კი, რკინიგზის სადგურში ვათევდი“.

**გიორგი მეზურნიშვილი, 50 წლის:** „სახლ-კარიც მაქვს და ცოლ-შვილიც მყავს, მაგრამ ქუჩაში ვცხოვრობ, რადგან ყველა შვილი შვილი არ არის! 5 წელია ასე ვცხოვრობ და თავს მეწაღეობით ვირჩენ. ღამეს „რუსთაველზე“ ვათევ. ეს კარავი შემთხვევით აღმოვაჩინე — ერთმა ბიჭმა მითხრა, თუ ღამის გასათევი არ გაქვს, შედი და იცხოვრეო. ამბობენ, კარავი 20 აპრილამდე იქნება გაშლილიო... ისე, კარგი იქნება, მთავრობა კეთილ ნებას თუ გამოიჩენს, რომელიმე მშენებარე კორპუსს დაასრულებს და უსახლკაროებს თავშესაფარს მოგვცემს“.

**მარლენ კირაკუზოვი, 50 წლის:** „ყაჩაღობის გამო, 13 წელი ციხეში გავატარე. 2003 წელს კი, სახლი დაგვეწვა, ჩემი ძმა და 6 თვის ფეხმძიმე რძალი დაიწვნენ. ხელოსანი ვარ, თუ სადმე სამუშაო გამოჩნდა, ვმუშაობ და თავს ამით ვირჩენ. ცოლი 7 წლის წინ, მკერდის კიბოთი დამეღუპა... შვილი სამხედრო მოსამსახურეა — ავღანეთში მსახურობდა, ახლა კი, ვაზიანშია. ჩემს სიდედრს სახლი აქვს, მაგრამ მასთან ვერ ვიცხოვრებ... სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დროს, 4 წელი ავღანეთში ვიბრძოდი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომშიც ვიყავი, დამჭრეს... სამხედრო პენსია მქონდა, მაგრამ სააკაშვილმა უსამართლოდ მომიხსნა და მითხრა, რუსებისთვის იბრძოდი და პენსია არ გეკუთვნისო. ახლა ავლაბარში, სომხურ ეკლესიასთან, დანგრეული სახლის სარდაფში ვცხოვრობ. რადიოთი შევიტყვე ამ კარვის შესახებ. მირჩევნია, დროებით, აქ ვიყო — სითბო მაინც არის. ჩემს სარდაფში კი, ისე ცივა, ორი საბანიც არ მათბობს. მართალია, უსახლკარო და უპოვარი ვარ, მაგრამ სოციალური დახმარება არ მომცეს, სახლი არ გაქვს, ქუჩაში ცხოვრობ და ქულებს ვერ მოგანიჭებთო“.



## ვერსიანიუსი

### გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე მოძრაობა აკრძალულია

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროებაა, რის გამოც გზის ამ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო არაგვისპირი-გუდაური(ფოსტა) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა არაგვისპირიდან ფასანაურამდე თავისუფალია. ამავე გზის ფასანაური-გუდაური(ფოსტა) მონაკვეთზე დანარჩენი სხვა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გზის დანარჩენ მონაკვეთებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

*„მედიანიუსი“*




### ევროპის სახალხო პარტიის კრიტიკული დამოკიდებულება რეფლექსურია და არასწორი

# საქართველო: ვერდიქტი სასამართლოს დაწყებამდეა გამოტანილი

EuropeanVoice.com

მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს პრეზიდენტმა 1 ოქტომბრის არჩევნებში მარცხი აღიარა, მაგრამ ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი, ვილფრიდ მარტენსი, როგორც ჩანს, შედეგებს ვერ ეგუება. ევროპის სახალხო პარტიის ლიდერების ამასწინანდელ შეხვედრებზე ბუქარესტსა და ბრიუსელში, მარტენსმა გააკრიტიკა ის ბრალდებები, რომელიც პოლიციამ სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) ზოგიერთ წევრს წაუყენა.

მარტენსის აზრით, უგულებელყოფილი უნდა იყოს მოწმეთა საზარელი ჩვენებები ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე, რომელთა შორის არის, სავარაუდოდ, ბორჯომის მერის განკარგულებით განხორციელებული გაუპატიურების ფაქტი სკამის ფეხით. უგულებელყოფილი უნდა იყოს საქმეები კორუფციის შესახებ. პოლიციამ უყურადღებოდ უნდა დატოვოს ის, რომ ერევანში მიმავალმა ვანო მერაბიშვილმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, აეროპორტში ყალბი პასპორტი წარადგინა. მარტენსი მტკიცებულებათა ან პროცედურების შეფასებას როდი გვთავაზობს. იგი უბრალოდ, აცხადებს, რომ რადგან ვის წინააღმდეგაც გამოძიება დაიწყო, ბევრი მათგანი ენმ-ს წევრია, ე.ი. ბრალდებები პოლიტიკურად მოტივირებულია. ის არ შეყოვნებულა და არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებთან აუცილებლად იქნებოდნენ დაკავშირებულნი ენმ-ს ოფიციალური პირები, რადგან ამ პარტიას თითქმის ათი წლის განმავლობაში ჰქონდა მონოპოლიზებული ძალაუფლება და მის წევრებს მაღალი თანამდებობები ეკავათ. მიაქციეთ ყურადღება მის კომენტარს საქართველოს პენიტენციალური სისტემის სამარცხვინო ვიდეომასალაზე, რომელიც სექტემბერში გავრცელდა და რომელზეც აღბეჭდილია პატიმართა სისტემატური წამებისა და გაუპატიურების ფაქტები. მარტენსი ამ ვიდეოკადრების გავრცელების ვადებს აყენებს ეჭვქვეშ და არაფერს ამბობს შინაარსზე.

როგორც ჩანს, მოვლენათა ნებისმიერ ცვლილებას თბილისში ეჭვის თვალით უყურებენ, მიუხედავად იმისა, რომ ახალი მთავრობა მტკიცედ მიიწევს წინ კანონის უზენაესობის ინსტიტუტის დამკვიდრებისკენ, ჭეშმარიტი ეკონომიკური რეფორმებისკენ, ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების დამყარებისკენ, რათა განაახლოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირები.



მარტენსისგან არ უნდა ველოდეთ მიუკერძოებელ შეფასებებს. სხვა თუ არაფერი, ენმ-ს ევროპის სახალხო პარტიაში დამკვირვებლის სტატუსი აქვს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, იყო მიკერძოებული და მაინც, თავშეკავებულად, პასუხისმგებლობის გრძნობით იმოქმედო. იმავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ვარაუდი (ასეთ ვარაუდს გამოთქვამს ენმ-ს ბევრი წარმომადგენელი), რომლის თანახმად, „ქართულმა ოცნებამ“ გადაუხვია საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსიდან. არიან ისეთები, ვინც ამტკიცებს, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გადარჩენის შანსი ჰქონდა, მაგრამ ახლა, „არასასურველი“ საარჩევნო შედეგების გამო, ეს უკვე შეუძლებელია.

რა შეიცვალა 2008 წლის გამანადგურებელი ომის შემდეგ? ამ ომში საქართველოს საზიარო ბრალეულობა აქვს და ქვეყანამ შედეგად, თავისი სუვერენული ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგა. განა ნატო-ს რომელიმე წევრმა-ქვეყანამ ღიად დაუჭირა მხარი საქართველოს გაწევრიანებას ალიანსში? მოიძებნა კანონიერი შესაძლებლობა იმისა, რომ მიუხედავად ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციისა, ნატო-ში გაწევრიანება შესაძლებელი გახდეს? თუ ნატო ახლა უფრო მზადაა, ვიდრე 2008 წლის ზაფხულში, იმისთვის, რომ აამოქმედოს მეხუთე მუხლი და საქართველოს გამო ომი დაიწყოს? ამგვარი არაფერი მომხდარა. ასე რომც მომხდარიყო, რა გამოდგებოდა იმის მტკიცებულებად, რომ საქართველოს ახალი მთავრობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დგას?

რეალობა ასეთია – „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, საშინაო პოლიტიკაში ცვლილებების, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ძველი დღის წესრიგისა და ორიენტაციის უწყვეტობის დაპირებით მოვიდა. იმისთვის, რომ ეს გავაკეთოთ, ჩვენ უნდა აღვადგინოთ და უზრუნველვყოთ სამართლიანობა. ჩვენი კოჰაბიტაცია სააკაშვილთან არ გულისხმობს იმას, რომ დანაშაულზე თვალი უნდა დავხუჭოთ. ახალი მთავრობა არ ცდილობს ტექნოკრატების შეცვლას: საჯარო სამსახური ახალგაზრდაა, მაგრამ იქ გამოცდილი და გაწვრთნილი პროფესიონალები მუშაობენ, ხოლო საქართველოს თანამედროვე მართვის პროფესიონალები უხვად როდი ჰყავს. წმენდა სტალინისტური პრაქტიკაა. არც ერთ ჩვენგანს არ სურს ასეთი რამ, მაგრამ ანგარიშვალდებულება აუცილებელია. ქართველები ჩათვლიან, რომ უღალატეს, თუ ახალი მთავრობა არაფერს გააკეთებს წინა მთავრობის ავტორიტარული პრაქტიკის გამოსასწორებლად, ბევრი სწორედ, ავტორიტარულად მიიჩნევდა წინა ხელისუფლების მართვას.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკის ფრონტს, არავის სურს საქართველოს დამოუკიდებლობის დათმობა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა სულ რაღაც ერთი თაობის წინ იქნა მოპოვებული, მაგრამ საზოგადოება აშკარად იმედგაცრუებულია მოსკოვთან ამაო ყოყოჩობის გამო, რომელიც ძვირად დაგვიჯდა.

ეს ხელისუფლების პირველი მშვიდობიანი გადაცემაა საქართველოში. ჯერ კიდევ 100 დღეც არ გასულა, რაც მთავრობამ ძალაუფლება ჩაიბარა. დღეს ვითარებას პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. კრიტიკა ფაქტებზე დაფუძნებული და კონკრეტული უნდა იყოს.

ყოველთვის, როდესაც ვიღაცას კორუფციაში ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში დასდებენ ბრალს, არ შეიძლება, დაუფიქრებლად და მტკიცებულებების გარეშე დავაყენოთ ეჭვქვეშ სახელმწიფოს ერთგულება დემოკრატიისადმი. ამ ტიპის არგუმენტები კონსტრუქციული არ არის, თუ ევროპის სახალხო პარტიის მიზნები ისევე, როგორც „ქართული ოცნებისა, ის არის, რომ საქართველომ დემოკრატიული მართვის ევროპულ სტანდარტებს მიაღწიოს.

# საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თავს ესხმის ევროკავშირის მემარჯვენე-ცენტრისტულ პარტიას

EurActiv.com



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი რამდენიმე მემარჯვენე დასავლელ პოლიტიკოსს, მათ შორის, ევროპის სახალხო პარტიის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილის ორი თვის მთავრობის მიმართ არაობიექტურობაში ადანაშაულებს. მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ 20 დეკემბერს EurActiv-ს განუცხადა, რომ კოჰაბიტაცია პრემიერ-მინისტრ ივანიშვილსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის რთული რამ არის.**

ფანჯიკიძემ, რომელიც პროფესიონალი დიპლომატია და გერმანიასა და ნიდერლანდებში საქართველოს ელჩად მსახურობდა, განაცხადა, რომ ამ წლის არჩევნების შემდეგ სააკაშვილი უცხოეთში მოგზაურობის დროს ავრცელებდა გზავნილს, რომ „საქართველოს მთავრობა საშინელებებს სჩადის“. მან თქვა, რომ პრეზიდენტს „ლობისტების დიდი ქსელი“ აქვს, რომელიც დღედაღამ მუშაობს მისი ნარატივის გავრცელებაზე, რომ საქართველოში დემოკრატია საფრთხეშია მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრის პარტია „ქართული ოცნება“ მუშაობას შეუდგა.

**სააკაშვილი, რომელიც 2004 წლიდან არის პრეზიდენტი, გაისად უნდა გადადგეს. რამდენიმე დასავლელმა კონსერვატორმა პოლიტიკოსმა გაიზიარა სააკაშვილის გზავნილი და გააძლიერა ის საერთაშორისო აუდიტორიისთვის, — ამბობს საქართველოს მთავარი დიპლომატი. ის ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტ ვილფრიდ მარტენსს „ქართული ოცნების“ მუდმივ ლანძღვაში სდებს ბრალს.**

ფანჯიკიძემ მაგალითად მოიყვანა წინასაარჩევნო კამპანია ქალაქ ქუთაისში, როდესაც სააკაშვილის ბანაკმა „ქართული ოცნება“ პოტენციური ამომრჩევლების მოსყიდვაში დაადანაშაულა მათთვის თითქოსდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის (მაცივრების, სარეცხი მანქანების) ვაუჩერების დარიგებით. ამ ბრალდებების სიცრუე დადასტურდა, — თქვა მან, მაგრამ მარტენსმა ის რამდენჯერმე გაიმეორა ფაქტების გადამოწმების გარეშე, ამტკიცებს ფანჯიკიძე. მინისტრმა განაცხადა ასევე, რომ მარტენსი უარს ამბობს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. მისი თქმით, ასე იქცევა ევროკავშირის რამდენიმე პოლიტიკოსი, მაგრამ მარტენსი ერთადერთია, რომლის დასახელებასაც ფანჯიკიძე დათანხმდა.

## სხვა ბრალდებები არაობიექტურობაზე

პირველად არ ხდება ის, რომ „ქართული ოცნების“ აქტივისტები ევროკავშირის წრეებში სააკაშვილის მხარდაჭერაზე ჩივიან. „ქართული ოცნების“ აქტივისტები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირის ელჩი საქართველოში და ბულგარეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მემარჯვენე-ცენტრისტებიდან ფილიპ დიმიტროვი, მხოლოდ სააკაშვილის მხარდამჭერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს. ევროკავშირის ჩინოვნიკები ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ. ჩვენ საგარეო საქმეთა მინისტრის ბრალდებებზე, იმ კომენტარებზე, რომელიც მარტენსს მიეწერება ქუთაისის პოლიტიკურ კამპანიაზე, კომენტარი „ევროპის სახალხო პარტიის“ სპიკერს ვთხოვეთ, რომელმაც განაცხადა, რომ მარტენსი ამ ქალაქში არასოდეს ყოფილა. დანარჩენს რაც შეეხება, სპიკერმა „ევროპის სახალხო პარტიის“ ბოლოდროინდელი პრესრელიზი დაიმოწმა, რომელშიც, მისი თქმით, მარტენსი „ადასტურებს სერიოზულ დარღვევებს“ ქართული ოცნების მხრიდან საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში.

7 დეკემბრით დათარიღებულ პრესრელიზში ნათქვამია „ძალიან შემაშფოთებელ მოვლენებზე“ საქართველოში: „შურისმაძიებელი განცხადებები „ქართული ოცნების“ მინისტრების მხრიდან [ერთიანი ნაციონალური მოძრაობის] ლიდერების მიმართ, ჟურნალისტების დათხოვნა, ზეწოლა და სამართლებრივი დევნა ოპოზიციის ლიდერებსა და წარმომადგენლებზე“.

## ბრძოლის ველი ევროპული პოლიტიკური პარტიებისთვის?

თავის მხრივ, მარტენსი თავს დაესხა „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსს ევროპისათვის“, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის გამო.

**„მე მოვუწოდებ სხვა ევროპულ პოლიტიკურ პარტიებს, დაგმონ ივანიშვილი, განსაკუთრებით, მოვუწოდებ „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსს ევროპისათვის“ და მის ლიდერს გრეჰემ ვატსონს, რომელიც ენთუზიაზმით უჭერს მხარს (ზოგჯერ, ფასიანი განცხადებებითაც) ივანიშვილს და მის „ქართულ ოცნებას“, — განაცხადა მარტენსმა.**

კოალიცია „ქართული ოცნების“ ექვსი პოლიტიკური პარტიიდან ორი, პარტიის „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის“ წევრია: საქართველოს რესპუბლიკური პარტია და „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“. კოალიცია „ქართული ოცნების“ მთავარი პარტნიორი, კერძოდ, ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ევროპელი სოციალისტების მემარცხენე ცენტრისტულ პარტიაში გეგმავს გაწევრიანებას, — უთხრა ფანჯიკიძემ EurActiv-ს.

ფანჯიკიძემ თქვა ასევე, რომ „ქართული ოცნება“ არ წყვეტს ურთიერთობას „ევროპის სახალხო პარტიასთან“. მისი თქმით, ბრიუსელის ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ, ის თბილისში გერმანელ პარლამენტარ ელმარ ბროკს ხვდება, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ქრისტიან დემოკრატების პარტიიდან.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობა ნაკლებად დრამატულია. 18 დეკემბრით დათარიღებულ პრესრელიზში ნათქვამია, რომ კომისია „ძალიან“ აფასებს „ახალი მთავრობის გუნდის მზადყოფნას, ხელი შეუწყონ უწყვეტობას“ იმ ძალისხმევაში, რომელიც მიმართულია ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გასაღრმავებლად.

ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ამბიციაა, ხელი მოაწეროს ასოცირების შეთანხმებას ისევე, როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმებას ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე ვილნიუსში, 2013 წლის ნოემბერში. მან იმედი გამოთქვა, რომ პროგრესი მიღწეული იქნება ასევე ვიზების ლიბერალიზაციის პროცესშიც.

*foreignpress.ge*

# დასავლეთ ევროპა რელიგიური თავისუფლების წინააღმდეგ

მერი ენ გლენდონი
აზიზა ალ-ჰიბრი

THE NATIONAL INTEREST

**დასავლეთ ევროპაზე ფიქრისას, ადამიანთა უმრავლესობა მყარ დემოკრატიას წარმოიდგენს ხოლმე, სადაც გარანტირებულადაა დაცული ძირითადი თავისუფლებები. დიდწილად, ეს სწორი შთაბეჭდილებაა, თუმცა თუკი საუბარს დავიწყებთ რელიგიურ თავისუფლებაზე, შარშან და გასულ ათწლეულში ისეთ ტენდენციებს დავინახავთ, რომელიც ასეთ შთაბეჭდილებას უარყოფს.**




2012 წელი სრულდება და ბევრი ქვეყანა დღემდე ზღუდავს რელიგიურ ტრადიციებსა თუ რიტუალებს (რელიგიური სამოსით დაწყებულს, დამთავრებულს ფუძემდებლურ ცერემონიებამდე, როგორიც არის წინადაცვეთა). ეს შეზღუდვები საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ თავისუფლებებს, რომელსაც მთელ მსოფლიოში იცავენ, არამედ ისეთ ატმოსფეროს ქმნის, რომელშიც მორწმუნე ადამიანები, განსაკუთრებით კი — რელიგიური უმცირესობები, საკუთარ ქვეყნებში თავს უცხოებად გრძნობენ. ასეთი დარღვევები გასაოცრად ფართოდ არის გავრცელებული.

მაგალითად, საფრანგეთი და ბელგია სახელმწიფო სკოლების მოსწავლეებსა და საჯარო მოხელეებს უკრძალავენ „თვალშისაცემი რელიგიური სიმბოლიკის" ტარებას, როგორიცაა მუსლიმური თავსაბურავი, სიკხების ჩალმა, დიდი ქრისტიანული ჯვრები და ებრაული „ერმოლკები".

გარდა ამისა, საფრანგეთსა და ბელგიაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აკრძალულია ქსოვილით სახის დაფარვა, ხოლო შვეიცარია, ჰოლანდია და სხვა ევროპული სახელმწიფოები ანალოგიური აკრძალვების მიღების შესაძლებლობას განიხილავენ. შვეიცარიისა და გერმანიის ზოგიერთ რაიონში შეზღუდვები ვრცელდება პედაგოგებზე ისლამური ტანისამოსის ტარებისთვის.

საფრანგეთი უკრძალავს ადამიანებს ოფიციალური დოკუმენტებისთვის ფოტოების თავსაბურავებში გადაღებას. 2011 წელს გაერო-ს ადამიანის უფლებების კომიტეტმა დაასკვნა, რომ აღნიშნული წესი რელიგიურ თავისუფლებას უზღუდავს მამაკაც-სინკხებს, რომლებიც უარს ამბობენ თავსაბურავის გარეშე ფოტოების გადაღებაზე ისეთი დოკუმენტისთვის, როგორიცაა მოწმობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ. საფრანგეთს ეს შეზღუდვა ჯერ არ გაუუქმებია.

შვედეთმა, შვეიცარიამ, ნორვეგიამ და ისლანდიამ დიდი ხნის წინ აკრძალეს ცხოველების რიტუალური მკვლელობა შესაბამისი კერძებისთვის. 2011 წელს ჰოლანდიის ქვედა პალატამ ასევე შემოიღო მსგავსი აკრძალვა, თუმცა მუსლიმური და ებრაული თემების პროტესტმა მთავრობას კომპრომისზე წასვლა აიძულა და მან ცხოველთა რიტუალურ მკვლელობაზე შეზღუდვა გააუქმა. მას შემდეგ, რაც გერმანიაში ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მოზარდი ვაჟების რელიგიური წინადაცვეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ნუსხაში შეეტანათ, საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა, ქვეყნის პარლამენტმა დაიწყო კანონის განხილვა, რომელიც ასეთი რიტუალის ჩატარებას არ კრძალავს.

რელიგიური წინადაცვეთის წინააღმდეგ ზომებს სხვა ევროპულ ქვეყნებშიც იღებენ. ნორვეგიაში „ცენტრის პარტია", რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი, ასევე შეეცადა, წინადაცვეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ნუსხაში მოხვედრილიყო, მაგრამ ბავშვთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო წარმომადგენელმა, რომელიც იმავდროულად დამოუკიდებელია, მუსლიმებსა და იუდეველებს შესთავაზა, წინადაცვეთა შეეცვალათ „სიმბოლური რიტუალით ქირურგიული ჩარევის გარეშე".

გერმანიასა და შვედეთში სახელმწიფო დაწესებულებებმა გააფრთხილეს მშობლები ქრისტიანთა და იუდეველთა ოჯახებიდან, რომ მათ აკრძალული აქვთ რელიგიური მიზეზით, ბავშვებისთვის განათლების სახლებში მიცემა. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოხელეები ხურავენ კათოლიკურ სააგენტოს, რომელიც გაშვილებაზე მუშაობს, რადგან თავიანთ საქმიანობაში ისინი რელიგიური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ.

რა არის ასეთი შეზღუდვების მიზეზი? აქ, მინიმუმ, ორი ფაქტორი მოქმედებს: ისტორიული და დემოგრაფიული.

**პირველი ფაქტორი: დასავლეთ ევროპაში მონოლითური სახელმწიფო რელიგიის ავბედითი ისტორიაა. სეკულარული სახელმწიფოების გაძლიერებას არ შეუცვლია წარმოდგენა რელიგიურ მონოკულტურაზე – უბრალოდ, სახელმწიფოსგან ეკლესიის გამიჯვნის დოქტრინა ერთ-ერთ მონოკულტურად ჩაითვალა. სინამდვილეში, ისეთი სეკულარული სახელმწიფოები, როგორებიცაა საფრანგეთი და თურქეთი, დიდი ხანია, სეკულარიზმს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში ქცევის ერთადერთ ფორმად მიიჩნევენ, ხოლო ნორვეგია თავის ოფიციალურ ეკლესიებს ისე აღიქვამს, როგორც გაქრობის გზაზე მდგარ ინსტიტუტებს. მეორე ფაქტორი: რელიგიური მრავალფეროვნების, მათ შორის, მუსლიმური მოსახლეობის ზრდაა. საერთო ფონიდან გამორჩეული ჩაცმულობა კონსერვატიული მუსლიმებისა, აძლიერებს „უცხოების" შიშს და, ასევე, რელიგიური გრძნობების გამოხატვის მიმართ უკვე არსებულ წინააღმდეგობას. მართალია, სახელმწიფოები საუბრობენ ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებზე, თუმცა რელიგიური სიმპათიის გამოხატვის შეზღუდვამ, შეიძლება, პირდაპირი უკუშედეგი გამოიღოს. ის უთანხმოებას თესავს სახელმწიფოებსა და მათ მოქალაქეებს შორის, ანადგურებს რა მათ შორის თანამშრომლობის იმედს, რაც აუცილებელია მუსლიმური თემების რადიკალიზაციის პრევენციისთვის, მათი ასიმილაციისთვის იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობენ და მათი მხრიდან დემოკრატიული ღირებულებებისა და ევროპული იდენტობის გაზიარებისთვის.**

სახელმწიფო კანონები და აკრძალვის პოლიტიკა, რომელიც ზღუდავს რელიგიური გრძნობების გამოხატვას და რელიგიური რიტუალების ჩატარებას, და თითქოს დამკვიდრებული ღირებულებების დაცვას ისახავს მიზნად, ადამიანის უფლებების დარღვევაა. ასეთი ქმედებებით, სახელმწიფოები უპირისპირდებიან რელიგიური თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და სტანდარტებს, რომელიც ასახულია გაერო-ს შეთანხმებებში და დაცულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტებით და ჰელსინკის პროცესით.

ეს სტანდარტები და ნორმები არა მხოლოდ რწმენის უფლების გარანტიებს ქმნის, არამედ საკუთარი რელიგიური შეხედულებების გამოხატვის გარანტიებსაც, როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად – ლოცვების, ქადაგებებისა და რიტუალების დაცვის გზით. აქ შედის გამორჩეული ატრიბუტიკის ტარება, კვების განსაკუთრებული წესების დაცვა, ცხოვრების გარკვეულ ეტაპებთან დაკავშირებულ რიტუალებში მონაწილეობა. ამ თავისუფლებათა ნებისმიერ შეზღუდვას უნდა ჰქონდეს ძალიან ფრაგმენტული ხასიათი და დასაბუთებული უნდა იყოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის პუნქტებით. ეს შეზღუდვები არ უნდა გამოიყენებოდეს დისკრიმინაციულად და არ უნდა ლახავდეს გარანტირებულ უფლებებს ან გამომდინარეობდეს მხოლოდ ერთი ტრადიციიდან.

რელიგიური რიტუალებისა და წეს-ჩვეულებათა შეზღუდვის გაძლიერება დასავლეთ ევროპაში რელიგიური ჯგუფების მიმართ შეუწყნარებლობის შედეგია და ამ შეუწყნარებლობას აძლიერებს. პირველ რიგში, ეს ეხება რელიგიებს, რომლებსაც ჭეშმარიტებაზე აქვთ პრეტენზია და თავიანთ მიმდევრებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, სამიზნეები მუსლიმები ხდებიან ხოლმე. ასეთი მზარდი მტრული ატმოსფერო, თავის მხრივ, ასეთი ჯგუფების მიმართ პირად ცხოვრებაში ბადებს დისკრიმინაციას და ზოგჯერ — ძალადობასაც კი. ამას ადასტურებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მონაცემები რელიგიური თავისუფლებების მდგომარეობაზე მსოფლიოში. მასში აღნიშნულია, რომ მუსლიმებზე თავდასხმები და მათი დევნა, ასევე ვანდალიზმის სხვა აქტები, 2011 წელს 34%-მდე გაიზარდა.

თუკი ჩვენ არ გვსურს თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლა, დასავლეთ ევროპელებმა აუცილებლად უნდა აღიარონ ის, რომ ოფიციალური მონოკულტურისადმი მორჩილება, როგორც სეკულარულის, ასევე რელიგიურისა, სრულდება. დამდეგ წელს ამ ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი რელიგიური მრავალფეროვნება და რელიგიური თავისუფლება ყველასთვის უზრუნველყონ.

# პასპორტების გამოყენება მტრების შესაქმნელად?

ჰენია დე გრაფი

ISN ETH Zurich

**საბჭოთა კავშირის დაშლიდან ორი ათეული წლის შემდეგაც, რუსეთსა და მის მეზობლებს შორის დაძაბულობა არ ცხრება. ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ყოფილ საბჭოთა სივრცეში ადგილი ჰქონდა დავებსა და დაპირისპირებებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საზღვრების თემა, სამხედრო წვრთნები და ბაზები, ასევე ენერგეტიკული მარშრუტები, თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორიცაა მოქალაქეობის უფლების შელახვა, დიდწილად, უყურადღებოდ და შესაბამისად, რეაგირების გარეშე რჩება.**

## მუდმივი ეჭვი?

რუსეთი საყოველთაოდ მიჩნეულია მთავარ დამნაშავედ მეზობლებთან სიტუაციის დაძაბვასა და მოქალაქეობის საკითხების ირგვლივ დავაში. სკოტ ლითელფილდი აღნიშნავს, რომ რუსულმა პასპორტებმა და მოქალაქეობის თემამ ხელი შეუწყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმს საქართველოში და ის რუსეთის „გეო-სტრატეგიულ მიზნებს" ემსახურება. ზოგიერთი ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომ რუსეთი მოქალაქეობის მინიჭების საკითხს საკუთარ იარაღად იყენებს და ამას იმით ასაბუთებს, რომ მოქალაქეობის მინიჭება მისი სუვერენული „უფლებაა", და რომ მას აქვს ასევე „ვალდებულება", დაიცვას საკუთარი მოქალაქეები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში. მოქალაქეების გადაადგილების მზარდ ტენდენციას და იმას, რომ რუსეთი განაგრძობს მოქალაქეობის მინიჭებას საკუთარი ტერიტორიების მიღმაც, მაგალითად, დნესტრისპირეთსა და ყირიმში, შეიძლება, ანალოგიური სეპარატისტული განწყობების გაღვივება სხვაგანაც მოჰყვეს.

თუმცა, რუსეთი არ არის მსგავს საქციელზე პასუხისმგებელი ერთადერთი ქვეყანა. საქართველოს ასევე ადანაშაულებენ იმაში, რომ მან 2008 წლის კონფლიქტი რუსეთის საერთაშორისო დისკრედიტაციისთვის გამოიყენა, შეეცადა რა, ომი წარმოეჩინა, როგორც ბრძოლა „აღმოსავლეთსა და დასავლეთს" შორის. თბილისი პასუხისმგებელი იყო კონფლიქტის გაჩაღებაზე იმით, რომ საკუთარი არმია ჩრდილოეთ რეგიონებისკენ დაძრა, რითაც დაარღვია შეთანხმება აფხაზებს, ოსებსა და საქართველოს მთავრობას შორის. რუსეთმა შესაძლოა, გადაამეტა თავის ე.წ. დაცვის ვალდებულებას იმით, რომ საკუთარი არმიით საქართველოში შეიჭრა, თუმცა წუხილი იმის თაობაზე, რომ რუსეთის პასპორტის მქონე „მისი" მოქალაქეები დაცვას საჭიროებდნენ, არგუმენტირებულად მოჩანდა.

გარდა ამისა, იმ ფაქტზე, რომ ბევრმა აფხაზმა და ოსმა რუსული პასპორტი მიიღო, ნაწილობრივ, საქართველოსაც ეკისრება პასუხისმგებლობა. თბილისმა უარი განაცხადა იმაზე, რომ 1990-იან წლებში აფხაზეთის მცხოვრებლებზე გაერო-ს პასპორტები გაცემულიყო. ამას რუსული პასპორტების მასობრივი გავრცელება მოჰყვა, რაც ამ ადამიანებს მოგზაურობის საშუალებას აძლევდა. საქართველოს რომ გაერო-ს პასპორტების გაცემა დაეშვა, აფხაზეთის მოსახლეობა რუსულ პასპორტებს არ გამოიყენებდა და, აქედან გამომდინარე, რუსეთი ველარ გამოიყენებდა საქართველოში შეჭრის საბაბად „რუსი" მოქალაქეების დაცვას.

## ევროკავშირის საზღვრებთანაც კი

ლატვიისა და ესტონეთის მთავრობებმა ასევე გამოიყენეს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხი, რათა მათ ეთნიკურად რუს მოსახლეობას პოლიტიკური ძალაუფლება ვერ მიეღო. ორივე ქვეყანა ამტკიცებს, რომ ეთნიკური რუსებისთვის არჩევნებში მონაწილეობისა და სახელმწიფო პენსიების მიღების უფლების მიცემა ლატვიისა და ესტონეთის ეკონომიკურ ინტერესებს შეუქმნიდა საფრთხეს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECHR) კრიტიკამ და ევროკავშირში (EU) გაწევრიანებისთვის სავალდებულო მოთხოვნებმა აიძულა ლატვია და ესტონეთი, საკანონმდებლო რეფორმები განეხორციელებინათ. ორივე ქვეყანამ დაუშვა კატეგორია „არამოქალაქე", რომელიც სარგებლობს ადამიანის საბაზისო უფლებებით, გარდა არჩევნებში ხმის მიცემისა.

ამით პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარდა. ეთნიკური რუსები ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან, უფლებაშეზღუდულ მოქალაქეებად რჩებიან. ლატვიისა და ესტონეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, რეფორმები შეფერხდა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ კანონების აღსრულება დღემდე პრობლემად რჩება. ლატვიის სასამართლოებში გრძელდება „არამოქალაქეთა" დისკრიმინაცია. მაგალითად, პენსიას არ უნიშნავენ ისეთ ეთნიკურ რუსებსაც კი, რომლებიც დაბადებიდან ლატვიაში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ.

საქართველოს მაგალითის ფონზე, ამ დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ რუსეთს, შესაძლოა, ლატვიისა და ესტონეთისგან მტრის ხატის ჩამოყალიბებისკენ უბიძგოს. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მიუღებელია, როდესაც ექვსიდან ერთ ლატვიელს და ცამეტიდან ერთ ესტონელს უარს ეუბნები მის ფუნდამენტურ პოლიტიკურ, საარჩევნო და სოციო-ეკონომიკურ უფლებებზე და რუსული ენის თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობაზე.

## მომავალი დაძაბულობა?

ვიდრე რუსეთი და სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები მიიჩნევენ, რომ მათი ეროვნული იდენტობა საფრთხეშია და საკუთარი თავის განსაზღვრისთვის „სხვები" სჭირდებათ, პასპორტსა და მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავაც დარჩება. ეს საკმაოდ არასტაბილურ და არაპროდუქტიულ ფონს ქმნის ისეთ მწვავე პრობლემებზე შეთანხმებისთვის, როგორიცაა ენერგოუსაფრთხოება, ნატო-ს გაფართოება და საზღვრებთან დაკავშირებული დავები. ჯერ კიდევ გაურკვეველია, აღმოჩნდება თუ არა საკმარისი ევროკავშირის საყვედური, ლატვიის მიერ ალტერნატიული პასპორტების შემდგომი დანერგვა და ადამიანის ევროპული სასამართლოს მუდმივი კრიტიკა იმის აღსაკვეთად, რომ პასპორტებთან დაკავშირებული კონფლიქტი პასპორტების ომში არ გადაიზარდოს.

*foreignpress.ge*



# ჰოროსკოპი
## 26 დეკემბერი

***ვერძი*** — რა საქმითაც ამჟამად ხართ გატაცებული, საერთოდ უმნიშვნელოა თქვენთვის. სჯობს, სხვა საქმეებსაც გადახედოთ და პრიორიტეტები განსაზღვროთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ თავს. რთული არჩევანის წინაშე დადგებით და ამიტომ, კარგად გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი, მაქსიმალურად ეცადეთ, ნაკლები დანაკარგი განიცადოთ. კარგი დღეა ახალი კონტრაქტების გასაფორმებლად.

***კურო*** — ვარსკვლავები აქტიურ და მოულოდნელობებით აღსავსე დღეს გპირდებიან. შესაძლოა, თავი უმნიშვნელო ფინანსურმა სირთულეებმაც იჩინოს, თუმცა ამას ადვილად მოაგვარებთ მეგობრების დახმარებით. არ არის გამორიცხული, სამომავლო პროექტებს ჩაეყაროს საფუძველი. წარმატების შანსი უფრო გაიზრდება, თუკი ხელოვნების სფეროს ან ბეჭდვური მედიის წარმომადგენელი ხართ. კარგი დღეა საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოსავლენად. დღის მეორე ნახევარში საკუთარ თავს დაუთმეთ და არც მაღაზიებში გავლაზე თქვათ უარი.

***ტყუპები*** — ამ დღეს ტყუპები შეძლებენ ბოლომდე გაიაზრონ საკუთარი პრობლემები და მოვალეობები. კარგი დღეა იმისთვის, რომ მიხედოთ ჯანმრთელობას. შეგიძლიათ დაიწყოთ მკურნალობის კურსი. ვარსკვლავები გირჩევენ, ამ დღეს „იჩქაროთ ნელა“, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი შეფერხება თქვენს გეგმებში არ შედის.

***კირჩხიბი*** — დღეს მხოლოდ წინდახედული ნაბიჯები მოგიტანთ წარმატებას. ვნებას საღი გონება ჩაანაცვლებს. სიყვარულშიც სიფრთხილეს იჩენთ, თუმცა არც ეჭვიანობა და კრიტიკული დამოკიდებულება იქნება უადგილო. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ზომიერება აქაც აუცილებელია. კარგი დღეა საქმიანი ურთიერთობებისთვის, საღამო რომანტიკულ შეხვედრას გპირდებათ.

***ლომი*** — თუ დღეს მოთმინებას გამოიჩენთ, მოვლენებს საღად შეაფასებთ და რეალობას არ მოსწყდებით, ეს დადებითად აისახება თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც. საოჯახო ნივთის შეძენას თუ დააპირებთ, დააკვირდით, ხარისხი და ფასი ერთმანეთს შეესაბამებოდეს. ნუ ეცდებით, გაექცეთ ფინანსურ ვალდებულებებს, ამას მაინც ვერ მოახერხებთ. დღის მეორე ნახევარი ოჯახის უმცროს წევრებს დაუთმეთ, ბოლო დროს, მათ თქვენი ყურადღება მოაკლდათ.

***ქალწული*** — დღეს, დადებით სიტუაციებშიც კი, დეპრესიული ფონი მატულობს. ურიგო არ იქნება, გონებრივი სამუშაოს შესრულება რამდენიმე დღით გადადო, ასე გარკვეული უსიამოვნებების თვიდან აცილებას შეძლებთ. ეს დღე წარმატებულია ნებისმიერი საქმიანობისთვის, მხოლოდ ყურადღების კონცენტრაცია გჭირდებათ. ეცადეთ, ნაკლებად სარისკო ნაბიჯები გადადგათ და ფულიც მომჭირნედ ხარჯოთ. საღამოს გატარება კი მეგობრების წრეში სჯობს.

***სასწორი*** — დღეს თქვენი გონება და ემოციები ჰარმონიაშია. ეს კი, დღის განმავლობაში წარმოქმნილი პრობლემების ოსტატურად მოგვარებასა და კოლეგებთან კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებაში დაგეხმარებათ. სპონტანურად ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით საქმიან და ფინანსურ სფეროში. ეცადეთ, დღის მეორე ნახევარი ოჯახის წევრებთან ან უახლოესი მეგობრების გარემოცვაში გაატაროთ.

***ღრიანკალი*** — ამ დღეს გაცილებით გაგიადვილდებათ მოვალეობების შესრულება. ეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ და ემოციები მოთოკოთ. დღეს აქტუალურია პროფესიული ფორმის შენარჩუნება. საკმაოდ ეკონომიური ხართ, რაც ამ ეტაპზე, გამართლებულია. შესაძლოა, თქვენს პარტნიორს ეს მომჭირნეობა სულაც არ მოეწონოს, მაგრამ თუკი მიზეზს აუხსნით, პრობლემა თავისთავად მოგვარდება. კარგი დღეა საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის. საღამოს საყვარელ ადამიანთან ერთად, სუფთა ჰაერზე გაისეირნეთ.

***მშვილდოსანი*** — საქმიანი კუთხით, საკმაოდ რთული დღე გელით. შეეცადეთ, ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას, ცივი გონებით იმოქმედოთ და ემოციებს არ აყვეთ. გახსოვდეთ, პროფესიულ ასპარეზზე წარმატებას მხოლოდ თქვენი მოთმინების წყალობით შეძლებთ. მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაშიც, ნუ დაიწყებთ რაღაცების გარკვევას, ეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და პრობლემების მოგვარება მომავლისთვის გადადეთ.

***თხის რქა*** — მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითი პოტენციალისა და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად რეალიზების შესაძლებლობა ნაკლებად მოგეცემათ, თუმცა ნაწილობრივ, მაინც მოახერხებთ საკუთარი მიზნების განხორციელებას. ვარსკვლავები გირჩევენ, სიფრთხილით მოეკიდოთ საქმიან დოკუმენტაციასა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ოპერაციას. საბედისწერო შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. პოზიტიური დღეა გარშემომყოფებთან გახსნილი საუბრისა და რომანტიკული შეხვედრებისთვის.

***მერწყული*** — ამ დღეს თქვენში სიახლისა და ცვლილებების სურვილი იმდენად დიდია, რომ შეგიძლიათ, ნებისმიერი ახალი საქმე თამამად წამოიწყოთ. მართალია, დღის ბოლოს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც ვერ აუხსნათ, სად ან რაში დახარჯეთ ამდენი ფული, მაგრამ ფინანსური საკითხები მერწყულებისთვის დღეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ. საღამოს შეგიძლიათ გართობისთვისაც მოიცალოთ.

***თევზები*** — დღეს ყურადღებით იყავით — თქვენი შეხედულებები სხვა ადამიანების ცხოვრებაზე, შესაძლოა, ძალზე მკაფიოდ განსხვავდებოდეს რეალობისგან. ისეთ სფეროებში, როგორიცაა რელიგია და ხელოვნება, შესაძლოა, კვლავ იმედგაცრუება გელოდეთ. კარგი განწყობის შესანარჩუნებლად, სჯობს, ნაკლებად გაერთოთ იდუმალი და ამოუცნობი საქმეებით. დღის მეორე ნახევარში ქრონიკული დაავადებების გამწვავების რისკი მოიმატებს, ამიტომ სჯობს, საღამო შინ, ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატაროთ.

## ამინდის პროგნოზი

| | ოთხშაბათი | ხუთშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +3 | +7 |
| ქუთაისი | +13 | +18 |
| ბათუმი | +15 | +20 |
| სოხუმი | +13 | +18 |

| | ოთხშაბათი | ხუთშაბათი |
|---|---|---|
| თელავი | +2 | +6 |
| გუდაური | -3° | +2 |
| ბაკურიანი | -2 | 2 |
| მესტია | 6 | 12 |

## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com






# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 5 | 7 | 9 | 3 | 6 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 2 | 8 | 4 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 9 | 7 | 6 | 5 | 2 | 1 | 4 | 3 | 8 |
| 1 | 6 | 3 | 4 | 5 | 2 | 8 | 9 | 7 |
| 8 | 5 | 7 | 3 | 1 | 9 | 2 | 6 | 4 |
| 2 | 9 | 4 | 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 3 |
| 7 | 4 | 1 | 2 | 6 | 5 | 3 | 8 | 9 |
| 6 | 3 | 9 | 1 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 |
| 5 | 2 | 8 | 9 | 3 | 4 | 7 | 1 | 6 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 4 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 |
| 7 | 3 | 9 | 2 | 8 | 5 | 6 | 4 | 1 |
| 8 | 6 | 1 | 9 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 1 | 8 | 3 | 5 | 7 | 6 | 4 | 2 | 9 |
| 9 | 2 | 7 | 8 | 1 | 4 | 5 | 3 | 6 |
| 5 | 1 | 2 | 6 | 3 | 8 | 9 | 7 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 1 | 5 | 7 | 2 | 6 | 3 |
| 3 | 7 | 6 | 4 | 9 | 2 | 8 | 1 | 5 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | 6 | 9 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 |
| 7 | 4 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 |
| 3 | 2 | 8 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 4 |
| 9 | 6 | 5 | 8 | 2 | 1 | 4 | 7 | 3 |
| 4 | 1 | 2 | 7 | 6 | 3 | 9 | 5 | 8 |
| 8 | 7 | 3 | 5 | 9 | 4 | 2 | 6 | 1 |
| 6 | 3 | 4 | 2 | 8 | 9 | 5 | 1 | 7 |
| 5 | 8 | 7 | 4 | 1 | 6 | 3 | 2 | 9 |
| 2 | 9 | 1 | 3 | 5 | 7 | 8 | 4 | 6 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 1 | 2 | 8 | 3 |
| 4 | 5 | 8 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 |
| 1 | 3 | 2 | 6 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 |
| 6 | 2 | 1 | 9 | 3 | 5 | 4 | 7 | 8 |
| 3 | 8 | 7 | 2 | 6 | 4 | 9 | 5 | 1 |
| 9 | 4 | 5 | 8 | 1 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 2 | 7 | 9 | 4 | 8 | 6 | 3 | 1 | 5 |
| 8 | 6 | 3 | 1 | 5 | 9 | 7 | 2 | 4 |
| 5 | 1 | 4 | 7 | 2 | 3 | 8 | 6 | 9 |

# სათვალე ძილის მომგვრელ აბებს შეცვლის

ავსტრალიელმა მეცნიერებმა ახალი გამოგონება — სათვალე **Re-Timer** წარმოადგინეს. ავტორის განცხადებით, სათვალე ადვილად გაუმკლავდება ცირკადული რიტმების ცვლას ხანგრძლივი ფრენების დროს და ადამიანს სიმხნევეს შეუნარჩუნებს ზამთრის პერიოდში, როცა მზის შუქი ნაკლებია. **Re-Timer** რბილ, თვალისთვის უსაფრთხო, მწვანე ფერის შუქს ასხივებს, რომელსაც ტვინი მზის სხივად აღიქვამს. შედეგად ადამიანის შინაგანი საათი ტყუვდება და ცირკადულ რიტმებს — ბიოლოგიური პროცესების აქტიურობის რყევას, რაც დღისა და ღამის ცვალებადობას უკავშირდება, თავიდან აარიდებს. ავსტრალიელი სწავლული ამ გამოგონებაზე თითქმის 25 წელი მუშაობდა. მისი მტკიცებით, თუ სათვალეს დილაობით გაიკეთებთ, ნებისმიერი ადამიანი „ტოროლა“ გახდება. სათვალის ღირებულება 250 დოლარია.





# ჰოროსკოპი 27 დეკემბერი

***ვერძი*** — შესაძლოა, დღეს საქმისადმი ინტერესი გაგინელდეთ. ძველ მიზნებს ახალი შეცვლის, თქვენს ცხოვრებაში სერიოზული გარდატეხის მიზეზი გახდება. ამან არ შეგაშინოთ — პირველად ხომ არ რისკავთ?! შეეცადეთ, სწორად შეაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები. დღეს განსაკუთრებით რომანტიკულად ხართ განწყობილი, რაც ახალ ნაცნობობას გიქადით. არ არის გამორიცხული, გრძნობებს აყვეთ და თავი დაკარგოთ.

***კურო*** — დღეს მოგიწევთ თქვენთვის უინტერესო და რთული საქმის კეთება. მუშაობას ჩვეული გულმოდგინებით შეუდექით და შეეცადეთ, დაწყებული საქმე დროულად მიიყვანოთ ბოლომდე. ასეთივე მიდგომას საჭიროებს პირადი ცხოვრებაც. ნუ გაექცევით მტკივნეული თემების განხილვას — რაც ადრე მოაგვარებთ მათ, მით სწრაფად მიიღწევა ჰარმონია ურთიერთობებში.

***ტყუპები*** — ზოგიერთ საქმეში პრობლემები იჩენს თავს, რამაც, შესაძლოა, ხასიათი გაგიფუჭოთ, მაგრამ არ ინერვიულოთ, გაურკვევლობაში დიდხანს არ დარჩებით. მალე ახალი იდეები გაგიჩნდებათ, რაც სწრაფ განხორციელებას ითხოვს. დიდია სარისკო ღონისძიებებისადმი და საეჭვო პროექტებისკენ სწრაფვა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ვარსკვლავები დღეს თქვენს მიმართ ნაკლებად კეთილგანწყობილნი არიან. შედარებით უკეთაა საქმე პირად ცხოვრებაში. აქ სწორ გადაწყვეტილებებს იღებთ, რაც აუცილებელია ახლობლებთან ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის.

***კირჩხიბი*** — ელით, რომ თქვენი საქმე სხვამ მოაგვაროს, რაც, შესაძლოა, სერიოზული შეცდომა აღმოჩნდეს. ნუ გაართულებთ სიტუაციას — ჯერ კარგად გააანალიზეთ ყველაფერი და შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილებები. როგორც საქმიან, ისე პირად ურთიერთობებში ძალიან მნიშვნელოვანია გულწრფელობა. მხოლოდ პარტნიორის ყურადღებით მოსმენა არაფერს მოგიტანთ.

***ლომი*** — ეს დღე არასასურველია მასშტაბურ პროექტზე მუშაობის დასაწყებად, საქმიანობის ახალი სფეროს ასათვისებლად. საკუთარი ინტერესების დაცვაც მოგიწევთ. დიდ დროს დახარჯავთ იმ საკითხების გარკვევაზე, რაც უმნიშვნელოდ მიგაჩნიათ. მსხვილი გარიგების დოკუმენტაციაზე მუშაობა, შესაძლოა, ჩიხში შევიდეს და სიტუაცია გართულდეს, მაგრამ გახსოვდეთ, რომ არ ღირს ძველი წყენის გახსენება.

***ქალწული*** — ამ დღეს უმნიშვნელოვანესია, არჩევანში არ შეცდეთ. ფიქრისთვის საკმაო დრო გაქვთ და იმის უნარიც შეგწევთ, თქვენს ირგვლივმყოფნი აიყოლიოთ. პარტნიორად კი მხოლოდ ის ადამიანი შეარჩიეთ, ვინც საკუთარი აზრის დაფიქსირებას არ ერიდება. დღეს თქვენი ემოციური ფონი შედარებით მომატებულია. ერთი მხრივ, ეს პირად ცხოვრებას მრავალფეროვნებას შესძენს, მეორე მხრივ კი, დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმის ალბათობას გაზრდის.

***სასწორი*** — ძალიან ბევრს ზრუნავთ სხვებზე, საკუთარ საქმეს კი ნაკლებ დროს უთმობთ. დადგა დრო, სიტუაცია შეცვალოთ და გააცნობიეროთ, რომ მხოლოდ სხვისი პრობლემების მოგვარება, სხვა თუ არაფერი, მოსაბეზრებელია. საჭიროა, სწორად გათვალოთ პრიორიტეტები და ამავდროულად, მომავლის გეგმებზეც იფიქროთ. კარგი დღეა რომანტიკული შეხვედრისთვის.

***მორიელი*** — ოჯახური პრობლემები და ახლობლებთან უთანხმოება ხელს შეგიშლით ყურადღების კონცენტრირებაში. გაითვალისწინეთ, რომ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთება სასურველ შედეგს არ მოგიტანთ. მხოლოდ თქვენი მოხერხებულობის წყალობით შეძლებთ, დიდ შეცდომებს აარიდოთ თავი და სიტუაციაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. მოერიდეთ ხმაურიან წვეულებებს, უფრო დიდ სიამოვნებას მეგობრებთან ურთიერთობა მოგგვრით.

***მშვილდოსანი*** — დღეს ვარსკვლავები არ გირჩევენ სერიოზული საკითხების გადაჭრას, რადგან ნეგატიური დღეა. ნურც ოჯახის მომავალთან დაკავშირებულ საკითხს გადაწყვეტთ მარტო. ნუ იჩქარებთ საქმიანი ურთიერთობების წამოწყებასა და კონტრაქტების გაფორმებასაც. შესაძლოა პრობლემები შეგექმნათ ახლობლებთანაც, სიტუაციას ვერც ახალი ინფორმაცია გამოასწორებს და პირად ცხოვრებაში ცვლილებებისკენ სწრაფვაც კარგს არაფერს მოგიტანთ.

***თხის რქა*** — დღეს დასვენება, სიმშვიდე გსურთ, მაგრამ სიტუაცია თქვენგან აქტიურ მუშაობას მოითხოვს. ყურადღების ცენტრში იქნებით, იმისდა მიუხედავად, რომ ჩრდილში დარჩენის სურვილი გექნებათ. კოლეგები არაერთხელ მოგაკითხავენ რჩევისთვის და მხოლოდ თქვენი დიდი მოთმინების დამსახურებაა, რომ მათ კითხვებს უკმეხად არ უპასუხებთ. თქვენზეა დამოკიდებული ოჯახური პრობლემების მოგვარების საკითხიც. თუკი ამ ტვირთის მოცილებას შეეცდებით, ახლობლებთან უსიამოვნო საუბრისთვის მოემზადეთ. მთავარია, მოთმინებით მიუდგეთ და იმედი დაიტოვოთ, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

***მერწყული*** — არჩეულ გზას მიჰყევით და ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვიოთ. ვარსკვლავები გამოცდას გიწყობენ, რადგან ბევრი ცდუნება იქნება. შემოგთავაზებენ სამოგზაუროდ წასვლას, გასართობ ღონისძიებაზე დასწრებას, თუმცა, თქვენი მოლოდინი არ გამართლდება, უსიამოვნო შთაბეჭდილებები კი გარანტირებული გექნებათ. ოჯახის წევრებთან დაძაბული ურთიერთობის გამო, ნებისმიერი საკითხის წამოჭრა კამათს იწვევს. საჭიროა, დიპლომატია გამოიჩინოთ და კომპრომისი მოძებნოთ.

***თევზები*** — დღეს სიტუაცია, შესაძლოა, უიმედოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში, ასე არ არის. მხოლოდ საკუთარ თავში ნუ ეძებთ ყველა პრობლემისა და უბედურების მიზეზს, იმაზე იფიქრეთ, როგორ დააღწიოთ თავი ამ ყველაფერს. ზოგიერთმა თქვენგანმა შესაძლოა იფიქროს, რომ წარმატების მისაღწევად სამსახურის ან საქმიანობის სფეროს შეცვლაა საჭირო, მაგრამ არ ღირს ასეთი გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღება. ახლობელი ადამიანები თქვენს მიმართ ყურადღებას იჩენენ, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორც გსურთ. ნუ განაწყენდებით ამაზე. სჯობს, დღის მეორე ნახევარი დასვენებას მიუძღვნათ და მეგობრების წრეში დრო სასიამოვნოდ გაატაროთ.

## ადამიანის კლონირებას ნახევარი საუკუნეღა გვაშორებს



სერ ჯონ გორდონი. რომელმაც ნობელის პრემია მიიღო მედიცინის დარგში, კერძოდ კი ღეროვანი უჯრედების გამოკვლევის სფეროში, ამტკიცებს, რომ ადამიანის კლონირების თემა დიდი ხანია, სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს აღარ მიეკუთვნება. ერთ-ერთ ინტერვიუში სწავლულმა აღნიშნა, რომ რეპროდუქტიულ კლონირებას სხვადასხვა პრობლემა მოყვება, რაც ანომალიების გამოვლენას უკავშირდება, თერაპევტული კლონირება კი ადამიანს უფრო მეტ შესაძლებლობებს ანიჭებს. თუ კლონირების ტექნიკა სიზუსტის სრული დაცვით განხორციელდება, გორდონის თქმით, ადამიანის არსების კლონირება ეთიკურადაც მისაღები გახდება მთელ მსოფლიოში. ნობელის ლაურეანტი აღნიშნავს, რომ 50 წლის შემდეგ უკვე რეალურ სცენარზე შეიძლება ვილაპარაკოთ. მაგალითად, ბავშვის ტრაგიკულმა სიკვდილმა, შესაძლოა, კლონირებისკენ უბიძგოს. საამისოდ საკმარისი იქნება, დედის კვერცხუჯრედი და გარდაცვლილი ბავშვის ეპითელის უჯრედების გარკვეული რაოდენობა. მეცნიერის თქმით, კლონირების მექანიზმი ძალიან მარტივია — ლაპარაკია იმის ასლზე, რაც უკვე შექმნა ბუნებამ.



## კოცნის სპეციალისტები იტალიელები არიან



ასოციაცია „ქალი და ცხოვრების ხარისხის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კოცნის საკითხში პირველი ადგილი იტალიელებს უკავიათ. კოცნის საკითხზე ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სუსტი სქესის სამი ათასზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მათ უნდა შეეფასებინათ მსგავსი კონტაქტების ხარისხი რამდენიმე პარამეტრის მიხედვით: ვნებიანობა, მძიმე წუთებში დამშვიდების უნარი, კოცნის ხანგრძლივობა, პირის ღრუს ჰიგიენის დაცვა, გულის მოსაგებად საჭირო სიტყვების მოძებნის უნარი. როგორც აღმოჩნდა, ყველა პარამეტრით იტალიელები ლიდერობენ. მათი კოცნის ოსტატობას გამოკითხვის მონაწილეთა 28%-მა მაღალი შეფასება მისცა. რეიტინგში იტალიელებს ფრანგები მოყვებიან, რომელთაც 17% დააგროვეს, მესამეზე კი ესპანელები რიან 13%-ით. კოცნის ოსტატების ტოპ-ათეული კი სრულად, ასე გამოიყურება: იტალიელები — 27, ფრანგები — 17, ესპანელები — 13, ბერძნები — 10, ბრაზილიელები — 9, ჰოლანდიელები — 8, შვედები — 6, ინგლისელები — 4, გერმანელები — 3, დანიელები —2.

## ყველაზე საშიში ხიდი გახსნეს



ნერვების „შეღიტინების“ მსურველებს ვურჩევთ, უახლოეს მომავალში შვეიცარიაში გაემგზავრონ, სადაც ახალი „ატრაქციონი“ გაიხსნა — ეს დაკიდული ხიდია, რომელსაც შეიძლება, მსოფლიოში ყველაზე საშიში ვუწოდოთ. ხიდი **Titlis Cliff Walk** მთა ტიტლისზე, ზღვის დონიდან დაახლოებით, სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ნაგებობიდან დაუვიწყარი ხედი იშლება შვეიცარიის ალპებზე, კარგ ამინდში კი შეიძლება იტალიაშიც „შეიჭყიტოთ“. ახალი ხიდის მშენებლობა ხუთ თვეს გაგრძელდა. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. კონსტრუქცია სიგრძეში 100 მეტრია, სიგანეში კი — ერთ მეტრზე ნაკლები. ხიდი იმდენად მყარია, რომ მშენებლების მტკიცებით, მას შეუძლია 500 ტონამდე თოვლის სიმძიმისა და ქარიშხლის გაძლებაც. ჩინოვნიკები იმედოვნებენ, რომ ახალი კონსტრუქცია დიდ პოპულარობას ზაფხულის პერიოდში მოიპოვებს, თუმცა ადრენალინის მოყვარული ტურისტების დაინტერესება არც ზამთარში წარმოადგენს პრობლემას.

## საახალწლო ნაძვის ხე ფოსტად აქციეს

იტალიაში, მილანის ცენტრალურ სადგურზე საახალწლო ნაძვის ხე დადგეს, რომელსაც სანტასთვის განკუთვნილი ბარათებით მორთავენ. ეს გზავნილები სხვადასხვა ენაზეა დაწერილი და სხვათა შორის, საკმაოდ კურიოზული ნატვრებიც შედის. მაგალითად, ერთ-ერთმა იტალიელმა ისურვა, ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე მეტად აღარ იხილოს სილვიო ბერლუსკონი, ანდა მიიღოს სამუშაო მილანში, შეხვდეს მისი ცხოვრების სიყვარულს, ან — პირველად გახდეს ბებია.



## დიეტა ნაწლავის კიბოს იწვევს



დიეტა ნახშირწყლების დაბალი შემცველობით, მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარების რისკს ზრდის, — აცხადებენ აბერდინის (დიდი ბრიტანეთი) მიკრობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები. მათ ნახშირწყლების სხვადასხვა რაოდენობის შემცველი დიეტა ბუტირატის მოკლეჯაჭვური ცხიმმჟავას დონეზე შეისწავლეს. ამ ნივთიერებას, რომელსაც კიბოს საწინააღმდეგო აქტიურობა ახასიათებს, მსხვილ ნაწლავში არსებული ბაქტერია-ანაერობები გამოიმუშავებენ. ექსპერიმენტში მონაწილეობა ჭარბი წონის მქონე 12-მა მამაკაცმა მიიღო. მათი ერთი ნაწილი ისეთ დიეტას იცავდა, რომელშიც ნახშირწყლების დღეღამური რაოდენობა 24 გრამს შეადგენდა. მოხალისეთა მეორე ჯგუფი კი, ამავე პერიოდში, საკვებთან ერთად, 400 გრამ ნახშირწყლებს იღებდა. გარკვეული დროის შემდეგ, გამოკვლევის მონაწილეებს ნაწლავის მიკროფლორას უმოწმებდნენ. აღმოჩნდა, რომ ვინც ნახშირწყლების მინიმალურ რაოდენობას იღებდა, „კიბოს საწინააღმდეგო“ ნაწლავური ბაქტერიების დონე 4-ჯერ ჰქონდა შემცირებული. საბოლოოდ, ასეთი დიეტა შეიძლება მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბოს განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად იქცეს, — ამბობენ ბრიტანელი სწავლულები. მათი თქმით, ამ ლოკალიზაციის სიმსივნე ისეთ დაავადებებს მიეკუთვნება, რომელთა თავიდან აცილება სწორად შედგენილი კვების რაციონისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგადაა შესაძლებელი. ნახშირწყლების დაბალი შემცველობის დიეტა ითვალისწინებს ნახშირწყლების მაღალი შემცველობის მქონე საკვების შეზღუდვას და უფრო მეტად ცილების მიღებას, კერძოდ, ხორცის, თევზის, ყველის მოხმარებას. ასეთი დიეტა საკმაოდ მძიმე დასაცავია და შესაძლოა, უამრავი გვერდითი ეფექტი გამოიწვიოს.

## ასპირინი სიბრმავეს იწვევს?



ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, ის ადამიანები, ვინც რეგულარულად მოიხმარენ ასპირინს, უფრო ხშირად დგებიან თვალის დაავადების — ბადურას ასაკობრივი დეგენერაციის წინაშე, რომელიც საბოლოოდ, სიბრმავეს იწვევს. სწავლულებმა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან ეს დამოკიდებულება აღმოუჩინეს პაციენტებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში მაინც იღებდნენ ასპირინს, ვიდრე მათ თვალის დაავადება არ აღმოუჩინეს. ეს ადამიანები კვირაში ორჯერ სვამდნენ ამ პრეპარატს სისხლის გასათხელებლად, თრომბოზის პროფილაქტიკისთვის. მედიკოსების განცხადებით, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით, ერთი პროცენტი ადრე თუ გვიან, თვალის ამ პრობლემას აწყდება. მკვლევარებმა 20 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ შეისწავლეს 43 წელს გადაცილებული 5 ათასი პაციენტის ავადმყოფობის ისტორია და აღმოაჩინეს, რომ ასპირინის მიღების პერიოდში მათ ამ ოფთალმოლოგიური დაავადების სხვადასხვა ფორმა გამოუვლინდა. ამასთან, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში, ამ პრეპარატით მკურნალობა არ იწვევს მსგავს რისკს.

## აზიელი გოგონები თავს „ბრეკეტებით“ იწონებენ



ბევრი ადამიანი დაგვეთანხმება, რომ კბილებზე გაკეთებული „ბრეკეტები“ საშინლად გამოიყურება, თუმცა ამაში ტაილანდელ, ჩინელ ან ინდონეზიელ გოგონებს ვერ დაარწმუნებთ. ისინი მიიჩნევენ, რომ კბილების საჭერები მათ შვენის. სინამდვილეში კი, „ბრეკეტები“ მხოლოდ ერთ ფაქტორს, ადამიანის სტატუსსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას უსვამს ხაზს — ნამდვილი ორთოდონტული სამაგრები იაფი სულაც არ ღირს. ვანგკოკის ერთ-ერთ კლინიკაში მათი დაყენება, საშუალოდ, 1 200 დოლარი ჯდება. ამის გამო, დაბალი ფენის წარმომადგენლები კუსტარულად დამზადებულ „ბრეკეტებს“ ანიჭებენ უპირატესობას. მიუხედავად იმისა, რომ ამან რამდენიმე ახალგაზრდის სიცოცხლე უკვე შეიწირა და სახელმწიფომაც აკრძალა მსგავსი პროდუქციის გავრცელება. მოზარდები კი მზად არიან, გარისკონ, ოღონდ კი თანატოლების თვალში მდიდარი ოჯახისშვილებად წარმოჩინდნენ.

## მოოქროვილი აბები მდიდრებისთვის

ამერიკულმა კომპანიამ **Citizen** გასაყიდად აბები გამოუშვა, რომელიც 24-კარატიან ოქროს შეიცავს. ეს ყვითელი ფერის კაფსულები, რომლის სიგრძეც 2 სანტიმეტრია, 425 დოლარი ღირს. ერთ შეფუთვაში კი მხოლოდ სამი აბია. „საკმარისია ერთი ასეთი კაფსულა გადაყლაპოთ, რომ თქვენს ექსკრემენტებს ძვირფასი მეტალების ბაზარზე ფასი დაედოს — აბის გადაყლაპვის შემდეგ ხომ ის მოოქროვილი იქნება. პირველად ოქროს კაფსულები 2005 წელს, ნიუ-იორკელმა დიზაინერებმა შექმნეს შეძლებული ადამიანებისთვის და ის არტ-პროექტის ნაწილი იყო. დიზაინერთა გასაკვირად, პროექტი კომერციულად წარმატებული აღმოჩნდა. ზოგიერთი ადამიანი ამ აბებს, მხიარული სუვენირის რანგში, „ოქროს“ ექსკრემენტების მისაღებად ყიდულობს, თუმცა კომპანიის კლიენტთა უმრავლესობა ფუფუნების საგნებზე გიჟდება.



## შვილიშვილს სახლი ხეზე აუშენა



ინგლისში, კენტის საგრაფოში მცხოვრებმა არქიტექტორმა, კრის უაილიმ საკმაოდ კომფორტული სახლი ააშენა ხეზე. საამისოდ, მას შვიდი თვე და 60 ათასი გირვანქა სტერლინგი დასჭირდა. შენობა კუნძებზე დგას, სახლის ინტერიერშიც ხის ელემენტებია გამოყენებული. თანამედროვე ინვენტარს ძველი ავეჯი გემოვნებით ერწყმის და ერთი შეხედვით, პატარა, მყუდრო სახლი, მდიდრულ, ხუთვარსკვლავიან სასტუმროს ჰგავს. 4 შვილიშვილის ბაბუას უჩვეულო სახლის აშენების იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ნახა, როგორ თამაშობდნენ მისი პატარები ამ ხის ირგვლივ. ერთ-ერთმა შვილიშვილმა ხეზე ასვლა სცადა, შეშინებულმა ბაბუამ კი დაუყვირა და გოგონა ჩამოიყვანა. პატარამ ტირილი დაიწყო და სწორედ მაშინ დაპირდა კრისი ბავშვს, რომ ამ ხეზე სახლს აუშენებდა და მის კენწეროზე საძინებელი ექნებოდა. ბაბუამ შვილიშვილს პირობა შეუსრულა და ახლა გოგონას მართლაც, ყველასგან გამორჩეული „სათამაშო“ ადგილი აქვს.

## სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 9 | | | | 1 |
| | | | | | 6 | | 7 | 5 |
| | 7 | | | | | 4 | | |
| | 6 | 3 | 4 | | 2 | 8 | | |
| 8 | 5 | | | | | | 6 | 4 |
| | | 4 | 6 | | 8 | 1 | 5 | |
| | | 1 | | | | | 8 | |
| 6 | 3 | | 1 | | | | | |
| 5 | | | | 3 | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | | 9 | | | | | |
| | 4 | | | 3 | | | 8 | |
| 3 | | | 1 | 7 | | | 9 | |
| 9 | | 5 | | | | | 7 | 3 |
| | | | | | | | | |
| 8 | 7 | | | | | 2 | | 1 |
| | 3 | | | 8 | 9 | | | 7 |
| | 8 | | | 1 | | | 2 | |
| | | | | | 7 | | 4 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 6 | 1 | | 9 | 8 |
| | 3 | | 2 | | | | | 1 |
| | | 1 | 9 | | | | 5 | |
| | 4 | | 3 | | | | | 7 |
| | | | | | | | | |
| 9 | | | | | 4 | | 3 | |
| | 1 | | | | 8 | 9 | | |
| 4 | | | | | 7 | | 6 | |
| 3 | 7 | | 4 | 9 | | | 1 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | 1 | | 8 | |
| 4 | | | | | | 1 | | |
| | 3 | 2 | | 9 | | 5 | | |
| | | | | 3 | 5 | | | |
| | | 7 | | | | 9 | | |
| | | | 8 | 1 | | | | |
| | | 9 | | 8 | | 3 | 1 | |
| | | 3 | | | | | | 4 |
| | 1 | | 7 | | | | 6 | |




უცვლელად გემრიელი და სასარგებლო ნატურალური მინერალური წყალი ნაბეღლავი განახლებულ - უფრო მოსახერხებელ, მსუბუქ და შესაბამისად უფრო "მწვანე" ბოთლში!

იჩქარეთ თქვენი www.versia.ge

# ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მჭედლაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com

® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით